345/2
2000

# საქართველოს ქალი

3 - 4
2000



„მე ვამაყობ ჩემი ხალხით"-ედუარდ შევარდნაძე
ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პრეზიდენტით

მესამე ათასწლეულის მხატვარი

მაგული გორდელაძის გერმანელი პაციენტები „საქართველოს ქალს"

„კატერინა გორდელაძე-
საფორტეპიანო ტალანტი"

ზაირა არსენიშვილის ვიოლინო შვეიცარიაში

მსოფლიოს უმდიდრესი ქალბატონები

როსა ბაუში
ქალადოზის მსხვერალი ხდება

# მადლობა

ქალბატონ მაგული გორდელაძეს ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ. ჩვენს ჟურნალში სხვადასხვა დროს დაბეჭდილი არა ერთი წერილი მის საოცარ ფენომენზე მოუთხრობდა მკითხველს.

უკვე რამდენიმე წელიწადია ქ-ნი მაგული ნაყოფიერად მოღვაწეობს გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში გინეკოლოგიურ პრაქტიკულ საზოგადოებაში. მის მუშაობაზე ცალკე წერილში მოგითხრობთ.

დღეს გვსურს მადლობა გადავუხადოთ ქ-ნ მაგული გორდელაძეს და მის გერმანელ პაციენტებს, რომლებმაც მატერიალური დახმარება გაგვიწიეს. ამ დახმარებით გამოდის ჩვენი ეს ნომერი.

აქვე გთავაზობთ წერილს, რომელიც ჟურნალის რედაქტორმა გაუგზავნა ქ-ნ მაგულის და მის პაციენტებს.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველს ბიოენერგოინფორმატიკის დარგში ქ-ნ მაგული გორდელაძეს შილერშტრასე, 2., 60313 მაინის ფრანფურტი თბილისი 1.04.2000 წ.

ძვირფასო ქალბატონო მაგული!

დიდ მადლობას გიხდით იმისათვის, რომ თქვენ და თქვენმა პატივცემულმა პაციენტებმა მატერიალური დახმარება აღმოუჩინეთ ჟურნალ „საქართველოს ქალს“, რამაც საშუალება მოგვცა ერთი ნომერი გამოგვეცა. ამ ფაქტს ჟურნალშიც აღვნიშნავთ. ჩვენი ჟურნალი გამოდის ქალებისა და ოჯახისათვის, იგი დამოუკიდებელია და ფინანსურ სირთულეებს განიცდის, მისი გამოცემა სპონსორებსა და ქველმოქმედებაზე დიდად არის დამოკიდებული.

ქალბატონო მაგული, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ თქვენ თქვენი მაღალპროფესიული და განსაკუთრებით საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის, რასაც როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში ყოფნისას ეწევით, წარდგენილი ბრძანდებით ქვეყნის უმაღლეს ჯილდოზე — ღირსების ორდენზე. თქვენ არჩეული ხართ აგრეთვე საქართველოს ქალთა საბჭოს წევრად.

კიდევ ერთხელ გულითადი მადლობა თქვენ და თქვენს გერმანელ მეგობრებს ქველმოქმედებისათვის. ასეთი აქციები უთუოდ უწყობს ხელს გერმანელი და ქართველი ხალხის მეგობრობის განმტკიცებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

პატივისცემით

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის თანამშრომელთა, ავტორთა და მკითხველთა სახელით

**ნარგიზა მგელაძე**
ჟურნალ „საქართველოს ქალის“
მთავარი რედაქტორი.

Spende von Gynokologische Praxis
Frankfurt/M Deutschland. Für: Georgische
Zeitschrift „Sakartvelos Kali" - Chef
Redakteurin Frau Nargiza Mgeladze
zur humanitären Hilfe
(Patienten von Bioenergetische Beraterin
Frau Maguli Gordeladze)




ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
**ნარგიზა მგელაძე**

**სარედაქციო კოლეგია:**

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ნინო ჯავახიშვილი

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

გარეკანის პირველ გვერდზე – შვიდი ახალგაზრდა მხატვრის გამოფენა. „ძველ გალერეაში“. მასალა იხ. მე-17 გვ-ზე.

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

“Sakartvelos Kali”
Georgian Woman
a Magazine for Woman

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მე ვამაყობ ჩემი ხალხით“ – ედუარდ შევარდნაძე

## ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პრეზიდენტით

**ბატონო პრეზიდენტო!**

უკვე მერამდენედ არ გიმტყუნათ თქვენმა ალღომ და შეუმცდარმა გუნებამ.

საპრეზიდენტო არჩევნების მარათონის დაწყების წინ ბრძანეთ: ჩემი დასაყრდენი ჩემი ხალხიაო და მართალიც აღმოჩნდით.

თქვენ ყოველთვის, ყოველი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას, თქვენ ხალხს ეყრდნობოდით, მისი ბრძნული ალღოს იმედი გქონდათ. საბედნიეროდ, ყოველთვის გიმართლებდათ.

ბევრს ჰქონდა იმედი, უფრო სწორად სურვილი, რომ ეკონომიური სიდუხჭირე დააკარგვინებდა ამომრჩეველს პოლიტიკურ ალღოს, ხელს ჩააქნევინებდა ყველაფერზე, ინდიფერენტულს გახდიდა არჩევნების მიმართ, რაც თქვენი მოწინააღმდეგეების წისქვილზე დაასხამდა წყალს, მაგრამ არა, ხალხმა ერთადერთი სწორი არჩევანი გააკეთა.

თქვენზე უკეთ ვინ იცის, რომ „ქვეყნად ყველაზე ბედნიერი ის პრეზიდენტია, რომლის ქვეყნის მოქალაქენიც ბედნიერნი არიან“. თქვენზე მეტად ვის სურს ეს, მაგრამ... ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ხალხმა ამჯერადაც დაუჯერა თქვენს მოწოდებას: „მოგიწოდებთ ყველას, ვისაც გულით უყვარს ჩვენი ნატანჯი და ნაწამები ქვეყანა, გაერთიანდეთ მისი უკეთესი მომავლისათვის“.

ეს უკეთესი მომავალი თქვენი გათვლით 3-5 წელიწადში, ანუ თქვენი პრეზიდენტობის ამჟამინდელ ვადაში უნდა დადგეს.

ჩვენ დიდი იმედი და სურვილი გვაქვს საქართველოში ისეთი სიტუაცია შეიქმნეს, რომ ადამიანი მწვავე სინანულმა არ შეიპყროს პატიოსნად გავლილი ცხოვრების გამო, რომ ცნება პატიოსნება საზოგადოებაში საქირქილო ანაქრონიზმად არ აღიქმებოდეს.

ჩვენ ეს გვჯერა!

ჩვენ ეს გვსურს!

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პრეზიდენტით!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მედიამ პასუხისმგებლობისაგან თავი გაითავისუფლა



## ენის სიწმინდის დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია

*ყოველდღიურად გვესმის და წარმოვთქვამთ:*

*„... მაწყობს... მეტი შანსი აქვს ... ადგილი აქვს, ... რეზონანსი მოჰყვა, ...დისონანსი შეიტანა ...გაგებით შეხვდნენ ... საკითხი მომწიფდა ... დომინირებს საკითხი... თანხები მიზერულია... არგუმენტად მოიშველია... პრიორიტეტი მიანიჭა ... ეს აზრი მუსირებდა... რეფორმა მტკივნეულია... აკონტროლებს სიტუაციას... ყველა ვარიანტში... რაზეა საუბარი?..“ უცხო შეგრძნებების კორიანტელში ვიბნევით და ვიკარგებით, ვგრძნობთ, რაღაც აკლია ჩვენს ნათქვამს, სიტყვის მადლი და მარილი აკლია... სასაუბრო ენა ივსება ათასნაირი წარმოშობის სიტყვებით, ფრაზებით, შეგრძნებებით, ხასიათებით. განწყობილებებით...*

*ენა მდიდრდებაო, — ამგვარ განმარტებასაც მოისმენთ.*

*თურაშაულის პატრონი ტყეში რომ პანტას ეძებდა, ისე უნდა იყოს საქმე.*

*როგორც ცნობილია, ერთი ენიდან მეორე ენაში რაიმე ფორმის ან მოდელის გადმოღების, სესხების ერთი სახეა კალკი. ეს სიტყვა ლათინური წარმოშობის გახლავთ და ნიშნავს: „ფეხს ვაბიჯებ, ვქელავ“. სიმბოლურადაც ჟღერს!*

*ჩვენი დღევანდელი მეტყველების ზოგიერთ საკითხზე გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ქ-ნი შუქია აფრიდონიძე:*

**— ქალბატონი შუქია, ალბათ ყურადღებას აქცევთ დღევანდელ სასაუბრო ენას, როგორ მეტყველებენ დღეს? რა ცვლილებებია ცოცხალ მეტყველებაში? რას იტყოდით დღევანდელი საინფორმაციო საშუალებების ენაზე?**

— ჯერ შევთანხმდეთ იმაზე, რა ენას ეხება საუბარი. ზოგადად მთელი მოსახლეობის მეტყველების შესახებ ძნელია მსჯელობა, რადგანაც ეს მეტყველება ჭრელია; მისი ამპლიტუდა – უაღრესად ფართო. ჩვენი ინტერესის საგანი ამ შემთხვევაში უნდა იყოს ის ენა, ის მეტყველება, რომელიც გავლენას ახდენს ფართო მოსახლეობის მეტყველებაზე და რომელსაც ხელთ უპყრია ამ ზემოქმედების სადავეები. დღესდღეობით ეს ენა გახლავთ ჟურნალისტიკის ენა. ჟურნალისტებს მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ, თუმცა ენობრივი ზეგავლენის თვალსაზრისით იგი არც ერთ მის წინამავალ ხელისუფლებას არ ჩამოუვარდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ტელე და რადიო ჟურნალისტიკის ენაზე, ნაკლებ – პრესის ენაზე, ვინაიდან ჩვენი მოსახლეობა დღეს უფრო უყურებს და უსმენს, ვიდრე კითხულობს. ეს რეალობაა და მას, დარწმუნებული ვარ, დაადასტურებს როგორც სოციალური გამოკითხვა, ისე (და განსაკუთრებით) თვით ბევრი ტელე-რადიოჟურნალისტის მეტყველებაც. სამწუხაროდ, გარდა რამდენიმე ჟურნალ-გაზეთისა ანდა თვით ჟურნალისტისა, თანამედროვე პრესისა და, განსაკუთრებით, ტელე-და რადიოჟურნალისტიკის ენა კრიტიკას ვერ უძლებს. მოგეხსენებათ, საბჭოურ პერიოდში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის წნეხის ქვეშ იყო მოქცეული.

დღეს ვითარება შეიცვალა. საინფორმაციო საშუალებები გათავისუფლდა იდეოლოგიური კონტროლისაგან, რაც დემოკრატიზაციის პროცესის დიდი შენაძენია. მაგრამ მედიამ ჩვენში, ნაცვლად იმისა, რომ ახალი პასუხისმგებლობა ეტვირთა, სამწუხაროდ, მთლიანად გაითავისუფლა თავი მისგან. კრიტიკა ლანძღვა-გინებად გადაიქცა და ეს კარგ ტონად იქნა მიჩნეული, – აქაოდა, პირობითობა არ გვზღუდავსო. თვით ინტელიგენციის გაზეთიც კი აივსო უწმაწური სიტყვებით. სხვათა შორის, ინგლისურ ენაში ამგვარ სიტყვებს „დაუბეჭდავ“ სიტყვებს უწოდებენ. იგულისხმება, რომ უხამსმა და უწმაწურმა სიტყვა-თქმებმა დღის სინათლე არ უნდა ნახოს. ჩვენ კი ყურს ვიხედნით და სხვასაც ვუხედნით ასეთ სიტყვებზე. როცა ასეთი დამოკიდებულებაა მკითხველისადმი (და ეს თითქმის იგივეა, რაც დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი), გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეს დაუდევრობა თუ აგდებული დამოკიდებულება თავისებურ ასახვას პოვებს ენაშიც. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ცნობილი ფრანგი მოღვაწის ჟ. მესტრის გამონათქვამი: „ყოველი პიროვნებისა თუ ერის გადაგვარება მყისვე პირდაპირპროპორციულად აისახება მისი ენის გადაგვარებაში“. ამ მხრივ ენა ერთგვარი ლაკმუსია ყოველი ჩვენგანის კულტურისა თუ უკულტურობისა.

მრავალრიცხოვან ენობრივ შეცდომათაგან გვაქვს ისეთი სასინჯი სიტყვები, რომელთა დამახინჯებით წარმოთქმა ამა თუ იმ პირის პროვინციალობაზე მეტყველებს (პროვინციულობა, ცხადია, სოციალური ცნებაა, და არა გეოგრაფიული). ასეთებია – საკუთრივ ქართული სიტყვა-თქმებიდან: „მადლობა მოუხადა“ (გადაუხადას ნაცვლად), „ბოლობოლო“, ანდა „რამეთუ“ კავშირი ან „რუდუნება“ და მისთ. მათი განუკითხავი ხმარება უადგილო ადგილას ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მათი წარმომთქმელის სოციალურ კუთვნილებაზე, რომელსაც სხვას ვერაფერს დავარქმევდი, თუ არა „მდაბიურს“.

მდაბიური მეტყველება ენის სხვადასხვა სფეროში ვლინდება და მათ შორის ფონეტიკაშიც. ერთი ნაწილი ახალგაზრდობისა ქართული ვ თანხმოვნის ნაცვლად უმარცვლო უ-ს წარმოთქვამს, ალბათ, ინგლისური W-ს მიბაძვით (აქაოდა ინგლისური ვიცითო). მაგ.: **პირველი, მიყვარს** ზმნა და სხვა ამ პირთა მეტყველებაში ჟღერს, როგორც: **პირუელი, მიყუარს,** ა. შ. ეს ერთგვარ მოდად გადაიქცა. ანდა თუ დაკვირვებიხართ სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას, როგორ წარმოთქვამენ **ჩ**-ს სიტყვაში **„გამიჩერეთ“**! – საგანგებო გამოყოფით და გაშლილად. როცა ამგვარად წარმოთქმული **ჩ** ისმის, თვალდახუჭულმა შეიძლება გამოიცნო მთქმელის მოწაფურ-სტუდენტური ასაკი...

მაგრამ, ერთია ქუჩა და მეორე – ტელევიზია და რადიომაუწყებლობა. დიქტორების მეტყველებას თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა. ზოგს ყველა კბილი აქვს გამოფენილი ინფორმაციის გადმოცემისას, რის გამოც აშკარად ხელოვნურ ბგერებს წარმოთქვამს; ზოგი თავის სინორჩის ხაზგასასმელად ენას უჩლექს და ეს კარგი რამ ჰგონია... სხვები პაუზებს არ სვამენ იქ, სადაც საჭიროა: ახალ წინადადებას შეუსვენებლივ მიაყოლებენ ხოლმე წინამავალს და, სადაც სუნთქვა უწყდებათ (ახალი წინადადების შუაში), იქ ჩერდებიან, ჩაისუნთქავენ და მომდევნო, შემთხვევით პაუზამდე ისევ სხაპასხუპით მიაყოლებენ – სიტყვათა აზრობრივი კავშირების გაუთვალისწინებლად; ზოგი დიქტორი სრულიად ვერ ფლობს ინტონაციის, ხმის აწევ-დაწევის ხელოვნებას. ამგვარი მეტყველება აბრკოლებს აღქმას. განსაკუთრებით ეს ეხება საინფორმაციო პროგრამებს, თუმცა ფართო გაგებით ყველა გადაცემა, გარდა მუსიკალური ნომრებისა, საინფორმაციო ხასიათისაა. მახსენდება არტურ ჰეილის მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „ღამის (თუ საღამოს?) ახალი ამბები“, რომელიც ჟურნალისტების ცხოვრებას ეხება. იქ, ერთგან, საგანგებო მსჯელობაა იმაზე, თუ ინფორმაციის მიწოდებისას რა თანამიმდევრობით უნდა დალაგდეს სიტყვები, რათა მსმენელს აქცენტირებულად მიეწოდოს ფრაზის ძირითადი სათქმელი, სინონიმურ ზმნებს შორის რომელი უნდა შეირჩეს ან სად უნდა მოთავსდეს იგი და ა. შ. ძალიან ვნანობ, რომ თავის დროზე არ მომიფიქრებია მეთარგმნა სათანადო ნაწყვეტები, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებდა, როგორი პასუხისმგებლობით მუშაობენ ჟურნალისტები ენაზე, – მათ შორის, არა მარტო წერით ენაზე, არამედ ზეპირზედაც.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საერთოდ არა გვყავს კარგი დიქტორები. ცხადია, არიან. მათ შორის – ახალგაზრდებიც, ამ მხრივ რადიომაუწყებლობა უკეთ გამოიყურება – უთუოდ რადიოს ხანგრძლივი ტრადიციების გამო.

**— დღეს ქართულ მეტყველებაში განსაკუთრებით მოჭარბებულად ხმარობენ სხვა ენებიდან ნასესხებ უცხო სიტყვებს, ფრაზებს...**

– უცხოური ნასესხობები ძველადაც და ახლაც უპირატესად ტერმინოლოგიური საჭიროებით არის შეპირობებული. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას კალკების შესახებაც, რომელთაც „ნაწილობრივ სესხებას“ უწოდებენ, მაგრამ როგორც ერთის, ისე მეორის შემოსვლა ენაში მაშინ არის გამართლებული, როცა მსესხებელ ენას ადეკვატი არ გააჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია; ენას სჩვევია „სიცარიელის“, „ცარიელი უჯრების“ შევსება – სესხებით, კალკებით, ჟარგონიზმების შექმნით.

ქართული ენისათვის უცხოური, ფაქტობრივად – საერთაშორისო სიტყვების სესხება არ არის საშიში და, მით უმეტეს, საგანგაშო: ჩვენს ენას ხომ არაჩვეულებრივად მდიდარი სიტყვაწარმოებითი საშუალებები მოეპოვება და ისინი, როგორც წესი, უცხოურ ფუძეზე დართვისას, „აქართულებენ“ ნასესხობებს. ავიღოთ სანიმუშოდ სიტყვა „ორგანიზაცია“. ნახეთ, რამდენი ახალი ფორმა შეგვიძლია ვაწარმოოთ მისგან: საორგანიზაციო, ორგანიზება, ორგანიზებული, მაორგანიზებელი, ორგანიზატორული...; ასეთი შემთხვევა უცხოური ლექსიკის „გაქართულებისა“ უამრავია და ამგვარ ნასესხობებს არ უნდა ვუფრთხოდეთ. სხვა საქმეა, როცა ჩვენს მაღაზიებსა და რესტორნებს, სატელევიზიო გადაცემებს, კომპანიებსა და ფირმებს უცხოურ სახელებს ვარქმევთ მათი მნიშვნელობის გაუაზრებლად. აქ მეტი დაფიქრება გვმართებს...

**– ქალბატონო შუქია, თქვენ უცხოური სიტყვების „გაქართულებაზე“ ბრძანეთ, რას იტყოდით „ქართულად ჩაცმული“ არაქართული გამოთქმების შესახებ? სანიმუშოდ რამდენიმეს დაგისახელებთ: *„...ადგილი აქვს, მაწყობს, ეს აზრი მუსირებდა, რბილად რომ ვთქვათ, დომინირებს საკითხი, აკონტროლებს სიტუაციას, რაზეა საუბარი? ვეჯახებით პრობლემას, ზედაპირული ცოდნა, ყოვლად დაუშვებელია, დისონანსი შეიტანა, რეზონანსი მოჰყვა, კომპრომისზე წავიდა, ამაში პოლიტიკას დებდა, რომ მოხდეს მისი რეალიზება, დიდი ძალისხმევით შეიქმნა, ეს მომენტი ნიშანდობლივია, ამისაგან შორს ხართ,...“***

**აგრეთვე ამგვარი ფრაზები:... *„რომელზედაც მოხდება სწორება, მოსახლეობის დაწოლა მოხდა ადგილებზე, ბაზრის ათვისებაზე ვმუშაობთ, პრობლემების ფართო წრე იკვრება, საინტერესო ფაქტი დავაფიქსირე, რეფორმა არ არის შესაბამისობაში კონსტიტუციასთან, მის აზროვნებაში მყარად ზის ის, რაც ასწავლეს და უჭირს გადააბიჯოს მასში ჩამჯდარ სტერეოტიპს, წყალი აბსოლუტური აუცილებლობაა და სხვ.“***

**როგორ ფიქრობთ ეს (და სხვა მსგავსი) ფორმები აუცილებელი და საჭიროა ჩვენი ენისათვის?**

**რა უნდა იყოს ამ მოვლენის მიზეზი?**

– უმეტესობა თქვენს მიერ დასახელებული ფრაზებისა მართლაც ძალიან გავრცელებულია და ზოგი მათგანი – დაუმსახურებლადაც. მიზეზი სხვადასხვაა. ერთია სიმოკლე-ლაკონიურობა. მაგ. **მაწყობს** ზმნა, რომელიც რუსულის კალკია, ქართულში უფრო „გრძელი“ – ორსიტყვიანი იდიომით გადმოიცემა: **ხელს მაძლევს.** მეორე მიზეზია – ლექსიკური სიმწირე, რომელსაც ემატება უცხოური ნასესხობებისათვის გაუმართლებელი უპირატესობის მინიჭება, ბრმა მიმბაძველობა. მაგ. გვაქვს **მოგვარება, მოწესრიგება,** შეიძლება ზოგჯერ „დარეგულირებაც“ ვიხმაროთ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ქართული სინონიმები თითქმის სულ განდევნა და ეს შეუწყნარებელია. ასეთივეა სიტყვათშეხამება **ადგილი აქვს** – განსაკუთრებით საწყისებთან შეხამებისას (ადგილი აქვს – **დატაცებას, გაფლანგვას** და ა. შ.) სრულიად უგულებელყოფილია – **გვხვდება, ხდება, დასტურდება** და სხვა. ამგვარი „მარგალიტები“ ძირითადად ე. წ. „კაზიონური“, „ელიტარულ-ჩინოვნიკური“ მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და სწორედ ამ „ჩინოვნიკურ“ წიაღში ჩასახული ამჟამად ესოდენ გავრცელებული „გადმომირეკე“, „გადაურეკე“ ფორმებიც, რუსული პერეზვანი-ს გავლენით რომ მოიკიდა ფეხი.

თუმცაღა, თქვენი მაგალითებიდან ყველა ერთნაირად დასაწუნებელი როდია. სავსებით ბუნებრივია, მაგალითად ფრაზები: რბილად რომ ვთქვათ (რბილი მარტო სავარძელი ხომ არ არის!), ზედაპირული ცოდნა (არსებობს ღრმა ცოდნა, ზედაპირული ცოდნა), ყოვლად დაუშვებელია, ამომწურავი ინფორმაცია, ამინდს ვერ ქმნის, ფაქტი დავაფიქსირე...

ამასთანავე, ყველა შემთხვევაში ჩვენს მეტყველებითს უუნარობას უცხოურ გავლენას ვერ დავაბრალებთ, ასეთია, მაგ. ფრაზა – **მე იმას ვიძახი,** როცა გულისხმობენ დაბეჯითებით და ერთთავად რისამე მტკიცებას, და მეტი „ენერგიისათვის“ – „მაღალხმიანობის“ გამომხატველ სიტყვას ამჯობინებენ, ან რად ღირს თუნდაც „პოლიტიკის ჩადება“ და სხვა.

**– როგორც ცნობილია, დიალექტი ენის მასაზრდოებელი წყაროა, მაგრამ კუთხური სიტყვები და გამოთქმები სალიტერატურო ენაში იშვიათად გადმოგვაქვს მაშინ, როდესაც ჩვენს ენაში დაუბრკოლებლად, განუკითხავად შემოდის უცხო ფორმები...**

– რაც შეეხება დიალექტიზმებს, ცალკე უნდა შევჩერდეთ გრამატიკულ დიალექტიზმებზე; კერძოდ ისეთი ფორმები, როგორიცაა: **წევიდა, შაჭამა, ყორიფელი, ნავხავ, კერამს** და მისთ., სალიტერატურო ენაში უკუსაგდებია. სალიტერატურო ენა მონოლითური და უნიფიცირებული, მოწესრიგებული და დახვეწილი უნდა იყოს. სხვაგვარად ის ვერ შეასრულებს გამაერთიანებელ ფუნქციას.

სულ სხვაა ლექსიკური დიალექტიზმები და ჩვენი მიდგომა ამგვარი ერთეულებისადმი განსხვავებული უნდა იყოს, ვინაიდან დიალექტიკური სიტყვები (და არა გრამატიკული ფორმები) მუდმივი რეზერვია ახალი ტერმინების შესაქმნელად. გადახედეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ტრადიციული დარგების (მშენებლობა, მეთუნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა და სხვ.) ტერმინოლოგიას და ამაში ადვილად დარწმუნდებით. ამასავე მოწმობს უკვე გამოქვეყნებული „შინამრეწველობის მასალები“ ივ. ჯავახიშვილისა და სხვა მრავალი წყარო.

**– მდიდრდება თუ ღარიბდება ენა უცხო ფორმების შემოტანით?**

– რაოდენ პარადოქსალურადაც უნდა ჟღერდეს ჩემი პასუხი, მეჩვენება, რომ ამ ურთიერთგამომრიცხველ პროცესთაგან – თუნდაც არათანაბრად – ორივე მიმდინარეობს. ერთი მხრივ, ლექსიკა უდავოდ მდიდრდება, რაც ძირითადად ტერმინოლოგიის ხარჯზე ხდება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და უცხოეთის ქვეყნებთან გაცხოველებულმა ურთიერთობამ – ახალი კონტაქტების დამყარებამ და ძველის განმტკიცებამ – ბევრი საერთაშორისო ტერმინი შესძინა სალიტერატურო ქართულს. ამ ათიოდე წლის წინათ ჩვენში თითქმის არ იხმარებოდა: კონსენსუსი, ბარტერი (ბარტერული), ბროკერი, მენეჯერი, მენეჯმენტი... თვით **ვალუტაც** ფართო მოსახლეობაში ნაკლებ იხმარებოდა. ახლა ამ სიტყვების გარეშე არათუ ოფიციალური, სასაუბრო ენაც კი წარმოუდგენელია.

მაგრამ, ამასთანავე, ისიც უდავოა, რომ ჩვენი ენა ღარიბდება კიდეც. აქ ორი მიმართულება უნდა გამოიყოს: ერთია ზემოთ ნახსენები დამახინჯებანი, ხოლო მეორე – დესინონიმიზაცია, უკეთ, გარკვეული სინონიმების გასვლა აქტიური ხმარებიდან. ორიოდე ნიმუშს დაგისახელებთ.

ქართულში რისამე დაკარგვა ორი ფორმით შეიძლება გამოიხატოს: **დავკარგე** და **დამეკარგა.** მეორე ფორმა პირველს იმით ემიჯნება, რომ ხაზს უსვამს მოქმედების უნებლიობას. ყოველი დანაკარგი, იქნება ის ფული თუ ძვირფასეულობა, ქოლგა თუ კოვზი, დამკარგავისათვის ზარალია. ამიტომ მსგავს შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ უნებლიობის გამომხატველი ფორმა **დამეკარგა,** და არა **დავკარგე,** რომელიც მიუთითებს მოქმედების აქტიურ ჩამდენს. სამაგიეროდ, ეს აქტიური ფორმა თავის ადგილზეა, როცა მეორე პირს უსაყვედურებენ ურიგო საქციელის გამო, რომელიც მან შეგნებულად ჩაიდინა: **სად დაკარგე** სინდისი? დღეს უნებლიობის კატეგორიის გამომხატველი ფორმა **დამეკარგა** თითქმის აღარ იხმარება. მიზეზი მარტივია: რუსულმა ორსავე კონტექსტში ერთადერთი ფორმა – ПОТЕРЯЛ – იხმარება. და ჩვენც, ქართველებმა, რუსულიდან სწორედ ეს ერთადერთობა გადავიღეთ, იმის მაგივრად, რომ ამ ენისათვის მიგვებაძა იქ, სადაც სიმდიდრე და მრავალფეროვნებაა.

**– დასასრულ, მთავარი საკითხი: როგორ უნდა მოვუაროთ ენას დღევანდელ პირობებში?**

– რა თქმა უნდა, კომპლექსურად: სკოლამ კიდევ უფრო უნდა აამაღლოს სწავლების დონე, იგივე ითქმის უმაღლეს სასწავლებლებზე, ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა სახის ლიტერატურის (სახელმძღვანელოების, ცნობარების, ლექსიკონების, სპეციალური ტესტების) გამოცემას, სპეციალური რადიო და ტელეგადაცემების მომზადებას. ამ მხრივ, დადებითი როლი შეასრულა და ახლაც ასრულებს თ. ხმალაძის რადიოგადაცემა, სხვადასხვა დროს ჟურნალ-გაზეთებში შემოღებული რუბრიკები, ამ ორი წლის წინ წამოწყებული სატელევიზიო გადაცემათა ციკლი „ჩვენი ენა ქართული“ და ა. შ.

მაგრამ ეს მხოლოდ პროფილაქტიკური საშუალებებია, თავი და თავი წიგნიერებაა. საზოგადოების დემოკრატიზაციის არცთუ მოწესრიგებულ პროცესში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უამრავი ახალგაზრდა მიეძალა, რომელთაგან უმეტესობა საამისოდ პროფესიულად მოუმზადებელი აღმოჩნდა. თანამედროვე პრესის ფურცლებზე და ეთერში ახალი შეცდომები გაჩნდა, რომელთაც კვალიფიციური კადრების უქონლობა ამრავლებს და განამტკიცებს. დღეს წიგნი პატივში აღარ არის, ხოლო უწიგნურობას მხოლოდ წიგნიერება შველის, სიტყვა „წიგნიერება“ კი „წიგნიდან“ მომდინარეობს.

მახსოვს, ერთხელ დავეკითხე ივანე გიგინეიშვილს, უწიგნურობის აღმოსაფხვრელად ყველაზე ეფექტურ საშუალებად რა გესახებათ-მეთქი.

– პატარაობიდანვე შეაჩვიეთ ბავშვი წიგნების კითხვას და წერილების წერასო, – ბრძანა ბატონმა ივანემ.

ეს მაქსიმა დღესაც აქტუალურია...

ესაუბრა **ნანა ჯაფარიძე**

**რედაქციისაგან**: **ქართული ენის სიწმინდის, მეტყველების კულტურის საკითხებზე მსჯელობას კვლავ განვაგრძობთ. გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.**

21734



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ორი წელიწადია მსგავს სათაურებს ხშირად ნახავთ გერმანული გაზეთების ფურცლებზე. გერმანელი მუსიკის მოყვარული კი, მოგეხსენებათ, ჯერ ერთი განებივრებულია მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩასულ ნიჭიერ შემსრულებელთა კონცერტებით და ამიტომ მისი გაოცება და, მით უფრო, აღფრთოვანება ძნელია. მერე მეორე – ძალზე თავშეკავებულია შეფასებაში და შეცდომაც ნაკლებად მოსდის.



ერთი კია – გერმანულ პრესას, ჩვენგან განსხვავებით, შეუფასებელი არ რჩება არც ერთი ღირშესანიშნავი მოვლენა ქვეყნის კულტურულ, განსაკუთრებით კი მუსიკალურ ცხოვრებაში. საბედნიეროდ, ასევე ჩვენგან განსხვავებით, მისთვის უცხოა ნაცნობ-მეგობრობით, „ჩაწყობით" რეცენზიის გამოქვეყნება.

ჩვენს ხელთ არსებულ გაზეთებში „ოფენბახ პოსტ", „დარმშტეიდტერ ეხო", „ნორდვესტ მელნბურგი", „ჰანაუერ ანცაიგენი", „ვორმისერ კრაიზმბლატში", ისეთი ეპითეტები გვხვდება ეკას გვარის წინ, რომ ჩვენ, ქართველებს, მით უფრო ეკას თაყვანისმცემლებს, უსათუოდ სიამაყეს მოგვგვრის. „სრულყოფილი პიანისტი", „ვირტუოზული ტექნიკის საშუალებით, დიდი ძალითა და ტემპერამენტით გამოხატავდა იგი თავის შინაგან სულიერ სამყაროს". „შოპენის სრულყოფილი შემსრულებელი", „როცა მუსიკა დღესასწაულად იქცევა", „მუსიკალური ვუნდერკინდი", „შთამბეჭდავი ტალანტი" და სხვა.

# „კატერინა შორდელაძე –

გერმანული პრესის ამგვარი შეფასებანი ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა, რადგან ეკას ბავშვობიდანვე ვიცნობ. ჩვენი ოჯახები მეგობრობდნენ და მე და ეკას ზაფხულის არაერთი ცხელი კვირა გაგვიტარებია ერთად წყნეთში, ბაზალეთის ტბაზე. ჩვენ თითქმის თანატოლები ვართ და მაშინაც კი, ბავშვობისას, ვხვდებოდი, რომ იგი არ იყო ჩვეულებრივი ბავშვი.

ძალზე გაწონასწორებული, ემოციებში თავშეკავებული, თავის შინაგან სამყაროში ღრმად წასული, ყოველთვის მოწესრიგებული. მას თითქოს ნაკლებად აღელვებდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

რაღაც განუსაზღვრელად უფრო მთავარი, ალბათ ის, რისთვისაც ეს გოგონა იყო შექმნილი, ზედაპირზე, ყველას დასანახად არ ტივტივებდა. ჩვეულებრივი თამაშის ან ყავის სმის დროს, იგი უცებ თითქოს მიდიოდა ჩვენგან და იმ თავის სამყაროში ჩაღრმავდებოდა, ან უცებ მოინდომებდა თბილისში წასვლას. აქ კი ყველა ვხვდებოდით, რომ მისთვის აუცილებელი იყო თავის ინსტრუმენტთან განმარტოება და ვერც ვერაფრით შეაჩერებდი.

ზედაპირული ადამიანები ასეთ ნატურას უემოციოს უწოდებენ. სინამდვილეში პირიქითაა. ეკას ემოციურობა იმდენად ძლიერი იყო, იმდენად სიღრმისეული, რომ მისი ზედაპირზე ამოტანა და ადექვატურად, სიტყვებით გამოხატვა ძალზე ძნელი იყო, ან ხელოვნების სხვა დარგში – სიტყვიერების დარგში დაოსტატებას მოითხოვდა.

ერთი გოგონასაგან კი ორი დიდი მუზის მსახურება



ერთმა ჭაბუკმა მოცარტს ჰკითხა:

– მითხარით, როგორ დავწერო სიმფონია. თქვენ ხომ ათი წლისაც არ იყავით, როცა სიმფონიის წერა დაიწყეთ?

– მართალია, – უპასუხა მოცარტმა, – მაგრამ მე არავისთვის მიკითხავს, როგორ დამეწერა იგი.

***

ერთმა ბანოვანმა ბერნარდ შოუს ჰკითხა, როგორ გავხდე ბრძენიო.

– ძალიან იოლია, – უპასუხა მწერალმა, – რაც შეიძლება კარგად უნდა დამალოთ თქვენი ბრიყვული აზრები.

მეტისმეტი იქნებოდა. ის, რასაც, ვთქვათ, მე სიტყვით გამოვხატავდი, მას როიალთან უნდა ეთქვა.

იმ დროისათვის – 14-15 წლისას ეკას უკვე ჰქონდა ხელშესახები წარმატებანი. რვა წლისამ დაუკრა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ათისამ გამართა პირველი საფორტეპიანო საღამო.

პირველი ადგილი ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა საქალაქო კონკურსში, ტურნე მოსკოვში.

მომსწრე ვარ იმისა, როგორ ემზადებოდა ეკა კონსერვატორიაში მისაღები გამოცდებისათვის.

რამდენადაც ჩვენ ყველა დარწმუნებული ვიყავით მის უეჭველ წარმატებაში, („შენ თუ არა, აბა ვინ უნდა მიიღონ"), იმდენად თავდაუზოგავად მეცადინეობდა ეკა. არ ახსოვდა არც ჭამა, არც დასვენება.

ეს თვისება – არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა მას აქამდე მოჰყვა, და ვფიქრობ, დღეს ამ თვისების გარეშე ვერანაირი ნიჭი ვერ მიაღწევს ნამდვილ აღიარებას და ვერ დაიპყრობს ხელოვნების მაღალ მწვერვალებს.

ამას ერთვის მისი თავმოყვარეობა. ეკა არ დაკმაყოფილდება ჩვეულებრივი, თუნდაც კარგი შესრულებით. მან ძალიან კარგად უნდა დაუკრას.

ეს ორი არაჩვეულებრივი თვისება – შრომისმოყვარეობა და თავმოყვარეობა პიანისტისათვის ის თვისებებია, შემდეგ ეკა ფილარმონიის სოლისტი გახდა.

წარმატებული იყო მისი გამოსვლა ბელგრადში.

ნამდვილად გაუმართლა ნიჭიერ ქალიშვილს, როცა დედასთან ქ-ნ მაგული გორდელაძესთან ერთად გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში გაემგზავრა. ქ-ნ მაგული მიწვეული იყო იქაურ გინეკოლოგიურ-პრაქტიკულ საზოგადოებაში სამუშაოდ ბიოენერგოინფორმატიკის დარგში, სადაც დღემდე წარმატებით მუშაობს, ეკამ კი სწავლა განაგრძო ფრანკფურტის მუსიკალურ უმაღლეს სასწავლებელში არტისტული დახელოვნების (ფორტეპიანო) ფაკულტეტზე პროფესორ ბერნარდ ვერცის კლასში. ნიჭი ყველგან ნიჭია. არც აქ დარჩა იგი შეუმჩნევლად. ეკას ჯერ გროტეს სახელობის, შემდეგ ადენაუერის, ბოლოს კი როტარის კლუბის სტიპენდია დაენიშნა.

ევროპაში მიღებული ცოდნა სასიკეთოდ დაეტყო მისი საშემსრულებლო ხელოვნების არტისტულ მხარეს. იგი თითქოს გათავისუფლდა ემოციური თავშეკავებულობისაგან. უთუოდ გამდიდრდა მისი შესრულების არტისტული პალიტრა. მაღალი შეფასება მისცეს მის კონცერტებს საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, ბელგიასა და ნიდერლანდებში. ესპანეთში, კუნძულ მაიორკაზე იგი მიიწვია შოპენის საზოგადოებამ. მან კონცერტი გამართა შოპენისა და ჟორჟ სანდის სახლ-მუზეუმში.

# საფორტეპიანო ტალანტი"

რაც ძველი ქართველი ფილოსოფოსის სიტყვებს თუ მივუსადაგებთ, „არა განიზომების, არა განიმტკავლების".



რაღა თქმა უნდა, ეკამ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა კონსერვატორიაში, პროფესორ ნოდარ გაბუნიას კლასში (ეს ეკას დიდი სურვილი იყო).

აქედან მოყოლებული უკვე მართლაც რომ სერიოზული წარმატებები წარმატებებს მიჰყვა.

არაერთხელ დავსწრებივარ კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ ეკა გორდელაძის საფორტეპიანო საღამოს, რომლებიც ყოველთვის დიდი წარმატებით მთავრდებოდა.

ამ ხნის მანძილზე ეკა გორდელაძემ არაერთ, ქვეყნის ცნობილ პროფესორ-პედაგოგთა „მასტერკურსებში" მიიღო მონაწილეობა, ხოლო ორიოდე წლის წინ გერმანიაში გამოვიდა მისი პირველი კომპაქტ-დისკი.

წარმატებანი მართლაც რომ შთამბეჭდავია!

და, რაც მთავარია, ეკას ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა და გამორჩეული ტალანტი იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ მისი დიდების ვარსკვლავი ზენიტისკენ მიდის.

**ნათია გვასალია**

***

ახალგაზრდა კაცი სთხოვს იუველირს საქორწინო ბეჭედზე გააკეთოს წარწერა: „კლარას ჰენრისგან".

– გირჩევთ, – უთხრა იუველირმა, – წავაწეროთ მოკლედ „ჰენრისაგან". რა იცით, ცხოვრებაში რა არ ხდება.

***

გაძეძგილმა ავტობუსმა მკვეთრად დაამუხრუჭა.

დარბაისელმა კაცმა მის წინ მდგომ ქალს მკლავზე წაავლო ხელი.

– სხვას ვერაფერს სტაცეთ ხელი? – გაჯავრდა ქალი.

– ნუ მაცდუნებთ, ქალბატონო!

***

ნაცნობი პარიკმახერი ეუბნება კაცს:

– ბოლო ხანებში შესამჩნევად გაგცვივდათ თმა. რაიმე ღონისძიებას არ მიმართავთ?

– დიახ, ცოლს ვეყრები.

# კრინტიც არ დაუძრავს

## როგორ მოვიქცეთ, თუ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა?



*ბავშვზე სექსუალური ძალადობა, სამწუხაროდ, საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. თუ ფარულ გამოკითხვას დავუჯერებთ, დაახლოებით ყოველი მეხუთე ქალი და ყოველი მეათე კაცი ბავშვობაში ან სიყმაწვილეში სექსუალური ძალადობის ობიექტად აქციეს და, უმრავლეს შემთხვევაში, ეს მათმა ახლო ნაცნობებმა ჩაიდინეს.*

*კიდევ უფრო სამწუხაროა შემთხვევები, როცა მოძალადეებად საკუთარი მშობლები გვევლინებიან.*

*როგორც წესი, ძალადობის მსხვერპლი ამჯობინებს, ეს საშინელი საიდუმლო დამალოს, მაგრამ მათ სულში სამუდამოდ რჩება გადატანილი სტრესის კვალი.*

*რა იგულისხმება ბავშვზე სექსუალურ ძალადობაში, რატომ ხდება და როგორ ავიცილოთ თავიდან ეს უბედურება?*

სექსუალურ ძალადობად ითვლება ნებისმიერი სექსუალური ქმედება, რომელიც ბავშვს, მოზარდის მუქარით, შეშინებით, იძულებით ჩაადენინეს.

სექსუალურ ძალადობად ითვლება არა მხოლოდ უშუალოდ სექსუალური აქტი (მათ შორის ორალური ან ანალური), არამედ სხვა, ბავშვის ღირსების შემლახველი, გამრყვნელი ქმედებანიც, მაგალითად:

ბავშვის სასქესო ორგანოების გაშიშვლება და დათვალიერება;

ამ ორგანოზე მოფერება;

ბავშვის სხეულზე სასქესო ორგანოთი შეხება (უშუალო კონტაქტის გარეშეც) იძულება მასტურბაციის ჩასატარებლად.

და ბოლოს, სექსუალურ ძალადობად უდავოდ ითვლება სექსუალური აქტი, აგრეთვე ბიჭებისა და გოგონების იძულება, შევიდნენ სექსუალურ კონტაქტში უფროსებთან, ან მათზე უფროს მოზარდებთან, პორნოგრაფიულ ფოტო და ვიდეოგადაღებებში მათი ჩათრევა ან მათ წინაშე ასეთი მასალების დემონსტრირება.

ვისგან ემუქრებათ ეს საშიშროება ბავშვებს? სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, პირველ რიგში ახლო ნათესავებისაგან, ზოგჯერ მშობლების ან უფროსი და-ძმისაგან. პატარის იძულება შეუძლია ნებისმიერ უფროსს, ან ფიზიკურად უფრო ძლიერ მასზე უფროს მოზარდს. მოძალადე ამ ქმედებას ზოგჯერ წარმოადგენს როგორც ახალ საინტერესო თამაშს. თუკი ეს „თამაში“ მოზარდთა წრეში წამოიწყეს და რომელიმე ბავშვმა უარი თქვა მასში მონაწილეობაზე, ის უსათუოდ ჯგუფური ძალადობის მსხვერპლი ხდება.

ასე რომ, საშიშროება ბავშვს უფრო ნაცნობი უფროსებისაგან ემუქრება. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბავშვზე ძალადობის 10 შემთხვევიდან 8 მისთვის კარგად ნაცნობ პირზე მოდის. როცა ბავშვი ხვდება, რას უპირებენ, უკვე გვიანია. ხოლო თუ ბავშვი აქტიურ წინააღმდეგობას უწევს მოძალადეს, მაშინ კამფეტისა და სათამაშოს ჩუქების პოლიტიკას დაშინების პოლიტიკა ცვლის. ბავშვს ან მართლაც სცემენ, ან შეშინებით აიძულებენ შეწყვიტოს წინააღმდეგობა.

როგორ დავიცვათ ბავშვი ამ კოშმარისაგან და ასევე მისი შედეგებისაგან? ყველაზე მთავარია ყოველთვის ვაკონტროლოთ იგი. კარგად უნდა იცოდეთ თქვენი შვილის გატაცებები, ნაცნობთა წრე, ადგილები, სადაც ის სათამაშოდ დადის.

როცა თქვენ გოგონას ან ბიჭს უთქვენოდ უშვებთ სადმე, უნდა დაარიგოთ, არ ითამაშოს „ცუდი“ თამაშები, არ გამოელაპარაკოს უცნობ ძიებს, ხოლო თუ ძალადობა მაინც მოხდა, ეს უსათუოდ უნდა შეიტყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ დაიცავთ ბავშვს მომავალში მსგავსი შემთხვევებისაგან და, რაც აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია, ვერ აღმოუჩენთ შვილს საჭირო თერაპიულ თუ ფსიქოლოგიურ დახმარებას. ე. ი. აუცილებელია, ყურადღებით მოუსმინოთ, რას და როგორ ჰყვება საბავშვო ბაღიდან თუ სკოლიდან დაბრუნებული შვილი. რაც ხშირად არ ხერხდება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბავშვები გულჩათხრობილნი არიან და თუ თქვენი ბიჭი ან გოგონა მორცხვიც არის, მისგან რაიმეს გაგება უფრო შეუძლებელი ხდება. ამას გარდა მოძალადეები, როგორც წესი, აშინებენ მსხვერპლს: „კრინტი არ დაძრა, თორემ!“

გარდა ამისა, სექსუალური ძალადობა ბავშვისათვის ყოველთვის შოკია და მისთვის ძალზე ძნელია სიტყვებით გადმოსცეს, რაც უქნეს.

**მაგრამ არის ნიშნები, რის მიხედვითაც მშობელი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი შვილი ძალადობის ობიექტად იქცა.**

**ეს ნიშნებია:**

**– იმ ადამიანებისა და ადგილების უეცარი შიში, რომლებისაც ბავშვს მანამდე არ ეშინოდა.**

**– თავის არიდება შეკითხვაზე, ხომ არავინ იძალადა მასზე.**

**– სხეულის გასინჯვის (ვთქვათ ბანაობისას) შიში.**

**– საქციელის ნებისმიერი უცნაურობანი (გაღიზიანება, ზედმეტი პასიურობა, ფიქრში წასვლა და ა. შ.).**

**– მისი ასაკისათვის მოულოდნელი გათვითცნობიერებულობა სქესობრივ ურთიერთობებში, უცენზურო სიტყვები, დამახასიათებელი ჟარგონი და სხვა.**

**– ვენერიულ დაავადებათა სიმპტომები, სასქესო ორგანოების, უკანა ტანის გარშემო დამახასიათებელი დაზიანება.**

**– ბავშვის მცდელობა „ახალ თამაშებში“ ჩააბას სხვა ბავშვები.**

დავუშვათ, რომ შეიტყვეთ საშინელი სიმართლე. ბუნებრივია, შოკში ჩავარდებით. ამის მიუხედავად, უნდა ეცადოთ თავი ხელში აიყვანოთ, რადგან თქვენი პირველი რეაქცია ბავშვს ან ფსიქოლოგიურ დახმარებას აღმოუჩენს, ან მდგომარეობას კიდევ უფრო გაამწვავებს. თქვენი არასწორი საქციელი ბავშვს აიძულებს თავი დამნაშავედ მიიჩნიოს და უფრო ჩაიკეტოს თავის თავში.

თუ შვილმა გულახდილად გაგანდოთ, რაც შეემთხვა, უსათუოდ შეაქეთ ნდობისა და გულახდილობისათვის.

**– აუცილებელია გავაკეთოდ შემდეგი:**

**1. გაასინჯეთ ბავშვი ექიმს ტრავმების ან დაავადებების გამოსავლენად.**

**2. განაცხადეთ მილიციაში მომხდარის შესახებ, რათა დამნაშავე მიცემულ იქნას პასუხისგებაში.**

**3. ბავშვს განსაკუთრებული სითბოთი და ყურადღებით მოექეცით. დიდი დრო დაჰყავით მასთან, რადგან ასე უფრო მალე დააღწევს თავს სტრესს.**

**4. ბავშვის ჩვეულ გასართობებს დაუმატეთ რაიმე ახალი – შინაური ცხოველი, კომპიუტერი. თუ ამანაც არ უშველა, რამდენიმე ხნით წაიყვანეთ დასასვენებლად.**

**რისი გაკეთება არ შეიძლება:**

**1. ბავშვის დასჯა.**

**2. მის მიმართ უნდობლობის გამოჩენა.**

**3 მცდელობა, სიტუაციას თვითონ მოუაროთ და არ ჩართოთ მასში ექიმი, სამართალდამცავები და ა. შ.**

### რითია საშიში ეს შეცდომები?

დასჯა ბავშვისა, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა – აბსურდია. რადგან დასჯით არაფერი გამოსწორდება, ხოლო ერთხელ ძალადობის გადამტანი, ახლა უკვე მეორე – ფსიქიკური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ხდება, რაც იწვევს უმწვავეს სტრესს, მშობლებთან ურთიერთობების გაფუჭებას.

არანაკლებ გავრცელებული შეცდომაა – მშობლების უნდობლობა ძალადობის შესახებ ბავშვის მონაყოლის მიმართ. ეს იმ კატეგორიის მშობლებს ემართებათ, რომლებიც ბრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მათ შვილებს არაფერი მსგავსი არ შეიძლება შეემთხვეს იმიტომ, რომ... იმიტომ.

და ბოლოს, ცნობილია, ბევრი მშობელი ყველაფერს მალავს და პირადად აპირებს ექიმის, გამომძიებლის, პოლიციის დამსჯელის ფუნქციის შესრულებას. ამგვარ ქმედებას არ შეიძლება დადებითი შედეგი მოჰყვეს, რადგან თვით ექიმი მშობლებიც კი ყველა დარგში ერთნაირად გაცნობიერებულნი არ არიან. ბავშვს კი ზოგჯერ სჭირდება პედიატრის, გინეკოლოგის, ქირურგის, ვენეროლოგის დახმარება. რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა ჩავრთოთ ფსიქოლოგი, რადგან ცნობილია, რომ ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგები ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე– ფიზიკური.

თუ გამომძიებლის და მოსამართლის ფუნქციას აიღებთ თქვენს თავზე, სერიოზული უსიამოვნებანი გელით.

ბავშვის მონათხრობი ერთადერთი სამხილი როდია. საჭიროა სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზა, რაც ბევრად უფრო უტყუარი და საიმედოა.

სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, მოძალადე ცდილობს მოგისყიდოთ ფულით, სხვა საშუალებებით. ნუ წახვალთ ამაზე, რადგან საშიშროებისაგან, რომელსაც მოძალადე წარმოადგენს, არც თქვენი და არც სხვისი შვილები დაზღვეული არ არის.

**როგორ ავაცილოთ ბავშვს შემდგომი სექსუალური ძალადობა**

1. კარგად გაერკვიეთ მომხდარის მიზეზებში. კარგად გაეცანით სიტუაციას სკოლაში, სპორტულ სექციაში, აუზში, მეზობლის სახლში, სადაც თქვენი ბავშვი დადის.

აუხსენით, როგორ უნდა მოიქცეს სექსუალური ძალადობის მუქარის დროს და როგორ მოიქცეს, თუ ძალადობა მაინც მოხდა.

2. მუდმივი კონტაქტი გქონდეთ მასწავლებლებთან, აღმზრდელებთან. დაე იცოდნენ, რომ მათი იმედი გაქვთ.

3. გაანათლეთ ბავშვი. ასწავლეთ სწორად წარმოთქვას სხეულის, მათ შორის ინტიმური ადგილების სახელებიც. ასაკის გათვალისწინებით აუხსენით, როგორ დაიხსნას თავი სექსუალური ძალადობისაგან, როგორ უთხრას მტკიცე უარი მოძალადეს. მისაწვდომ ფორმებში უპასუხეთ იმ შეკითხვებზე, რაც ეხება უფროსების ინტიმურ ურთიერთობას.

ასწავლეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში უსაფრთხოების ღონისძიებები.

**ნადეჟდა იუდინა**
**ექიმი-სექსოლოგი**
**„ჩასტნაია ჟიზნ" № 5, 2000**



# ჯანსაღი სული სხეულსაც აჯანმრთელებს

ცხოვრება, მითუმეტეს ჩვენი დღევანდელობა უამრავ ექსპერიმენტს გვიწყობს – ავსა თუ კარგს, და, სამწუხაროდ, მათგან უმრავლესი ცუდია.

გულისტკივილისათვის თავზესაყრელი მიზეზები გვაქვს (ახალს რას ვიტყვით), მხოლოდ ყოფითი ჩამოთვლი: უშუქობა და სუსხიანი ზამთარი შინ (!) და გარეთ, ისედაც მცირე ხელფასის უხელფასობა, ათასგვარი ავადმყოფობა და ყველაზე მთავარი: შიში ხვალინდელი დღისა – რა გვეშველება!

და ვნერვიულობთ, ვნერვიულობთ, ვნერვიულობთ!

ჩვენმა სიმშვიდემ ეკლები დაისხა – ვჩხვლეტთ საკუთარ თავსა და ერთმანეთს გამეტებით და დაუნდობლად, მერედა რისთვის – ვითომ გულის მოსაოხებლად?

მოარული გამოთქმაა – ყველა ავადმყოფობის დასაბამი ნერვებიაო.

ჰოდა, რა ექნათ მოვიკლათ თავი?

მართალი არ ვიქნებით, ჩვენი უხასიათობა მხოლოდ ცუდ ცხოვრებას დავაბრალოთ. განა ცოტა შეგვხვედრია ყველაფრით უზრუნველყოფილი, მაგრამ უხასიათო ადამიანი?

***

...ისიც მოარული გამოთქმაა: ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულიაო.

პირიქით კი ყოფილა თურმე: ჯანმრთელი სული სხეულსაც აჯანმრთელებს.

და თუ როგორ შევეცდებით, დავისაბუთოდ:

ამერიკელმა მეცნიერებმა მ. ფრიდმენმა და რ. როუსმა გამოსცეს მეტად საინტერესო წიგნი „ა და ბ ტიპის ქცევები და თქვენი გული". დაყოფა რა თქმა უნდა პირობითია.

ა ტიპის ადამიანები უხეშად ავლენენ შინაგან ღელვასა და უკმაყოფილებას. ასეთები უმეტესად მოწუწუნენი, ცხვირჩამოშვებულნი და წარბშეჭმუხნულნი არიან, მათი ყველაზე საიმედო იარაღი მწარე სიტყვაა, დაუნანებლად და დაუზოგავად რომ იყენებენ, ყველაზე უწყინარ იუმორსაც მწარედ განიცდიან, დარწმუნებულნი არიან, რომ ყოველთვის მართალნი არიან; და ხშირად სულ უბრალო რამის გამოც ჩხუბობენ და დიდ ნეტარებას ანიჭებთ სხვისი განერვიულება.

ბ ტიპის ადამიანები კი მშვიდები და მომთმენნი არიან, თუმცა უფრო მგრძნობიარენი და გაცილებით მეტად განიცდიან უხეშად მოქცევის სიმწარეს, მაგრამ ცდილობენ წყენა შეძლებისდაგვარად დამალონ – უფრთხილდებიან სხვის ნერვებს და ... ამით – საკუთარსაც... გარშემომყოფებთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ. თუმცა გარეგნულად შეიძლება დაჩაგრულადაც გამოიყურებოდნენ (მათი ფარი სიალალმართლე, სიამაყე და კეთილგანწყობაა), რომელიც მედგრად უმკლავდება ღირსების შემლახველ მრავალგვარ იარაღს.

საკვირველია, მაგრამ ბ ტიპის ადამიანები, თურმე, ბევრად ჯამრთელნი არიან, ვიდრე ა ტიპისა.

საკვირველს იმიტომ ვამბობთ, რომ პირიქით გვსმენია: ხშირი თავშეკავებით უარყოფითი ემოციები გროვდება და ნერვიულ სისტემას ძალიან აწვალებს, ერთი სიტყვით, ორგანიზმისათვის სერიოზული ზიანი მოაქვსო; ხოლო უარყოფითი რეაქციების გამოფრქვევას დადებითი შედეგი მოსდევს – ადამიანს განმუხტავსო. ამით იმშვიდებენ თავს შფოთისთავები.

სულ ტყუილად: ამერიკელი მეცნიერების აზრით, ასეთი სახის აფეთქებები მხოლოდ დროებით ამსუბუქებს მდგომარეობას და მხოლოდ მოჩვენებითია, რადგანაც თავის ტვინში წარმოქმნილი იმპულსების ძლიერი ნაკადი ქაოტურ რეაქციას იწვევს ნერვიული სისტემის ცენტრებში და საგრძნობლად არღვევს ჯანმრთელობას.

შფოთისთავების გასაგონად ვიტყვით: ჩვენო კარგებო, ნეტარებას ნუ განიჭებთ სხვისი განერვიულება, თუ გაუფრთხილდებით თქვენს ირგვლივ მყოფთა ჯანმრთელობას, ამით გაუფრთხილდებით თქვენს ჯანმრთელობასაც. ეცადეთ უარყოფითი ემოციები დადებითისაკენ წარმართოთ. როცა შეატყობთ, რომ სადაცაა გაცხარდებით, ცოტა შეიცადეთ. სულ მცირე პაუზაც კი აგზნებაზე ცეცხლჩამქრობ საშუალებად მოქმედებს. თუ თავს ვერ ერევით, ეცადეთ დაიხარჯოთ ფიზიკური შრომით (ფიზიკური დაღლილობა საოცარი წამალია), ახლობელთან გულის გახსნით, სხვაზე ზრუნვით... სხვას რომ ვაკრიტიკებთ, ჩვენ თავსაც შევხედოთ სხვისი თვალით. გვაქვს კი ამის უფლება, სხვა ადამიანების ჩვენებურად გარდაქმნას რომ ვცდილობთ? რას მოვიმკით! შეიძლება ჩვენი ეშინოდეთ კიდეც (ვის სიამოვნებს უმართებულო ლანძღვა, რაც ასე გვემარჯვება), თავისებურად პატივსაც გვცემდნენ, მაგრამ თავს გვარიდებდნენ. გვინდა კი ეს?

რატომ არ გვსურს მოყვასში დავინახოთ ღირსება და ურთიერთობებისას მხოლოდ დადებით თვისებებს დავეყრდნოთ, ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოვაჩენთ, რომ ბევრი ჩვენს გარშემომყოფი „ხელახლა აღიზარდა".

და კიდევ ერთი: შორს ჩვენგან ბოროტები, შურიანები, სხვისთვის ავის მდომნი... მაგრამ მათ გასაგონად მაინც ვიტყვით: ნუ ანგრევთ საკუთარ ჯანმრთელობას, ნუ იკლავთ თავს, მოიშორეთ სულის მომწამლავი ნაგავი და გახუფთავდით. რამეთუ: სულის ჯანმრთელობა პირველი წამალია ავადმყოფი სხეულისათვის.

და რომ: სხეული არ წარმოადგენს ჩვენი ბოროტების მიზეზსა და წყაროს, არამედ იგი დაზარალებულია და მოწმე იმისა, რაც ჩვენ სულსა და სამშვინველში ხდება. ცოდვა ჩვენს სხეულს ანგრევს და ბილწავს.

ხშირად ყოველგვარი ბოროტების წყაროდ სხეული მიგვაჩნია, მაგრამ ეს წყარო ჩვენს გაუწმენდავ, გაუნათლებელ სულშია... ასე ფიქრობდა ქართველთა სულიერი მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი.

ასე რომ, ცნობილი სენტენცია „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია", ასეთ ჟღერადობას იძენს: „ჯანმრთელი სხეული ყალიბდება ჯანმრთელი სულის წყალობით".

**მანანა ზარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ჩემი ვიოლინო“

*თხუთმეტი წელი თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრში ვიოლინოზე უკრავდა, რამდენიმე ფილმი მისი სცენარით გადაიღეს. სამჯერ სახელმწიფო პრემია მიიღო: 1979 და 1984 წლებში კინოსცენარებისათვის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ და „დღეს ღამე უთენებია“, 1998 წელს რომანისათვის „რექვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის ანუ ახალგაზრდა მთხზველის პორტრეტი“.*

*ზაირა არსენიშვილის ეს მრავალპერსონაჟიანი ნაწარმოები თავისი საინტერესო მხატვრული ფორმით დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს მკითხველს. ძირითადი თემაა საბჭოთა რეპრესიების წლებში თბილისის საოპერო ორკესტრის მუსიკოსთა მძიმე ცხოვრება. ახალგაზრდა მთხზველი, ამავე ორკესტრის მევიოლინე — ირგვლივ გამეფებულ წყვდიადს კაცთმოყვარეობის შუქით ანათებს. მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს — ასეთია მწერლის მრწამსი.*

*შინაგანად მოწესრიგებული, მუდამ ღიმილიანი და სტუმრის მოყვარე სასაუბროდ სიამოვნებით მიწვევს.*

**– როგორ იწერებოდა რომანი? როგორ შეარჩიეთ თემა? იგი ალბათ 37-ში მამის უსამართლო დახვრეტამაც განაპირობა.**

– იწერებოდა დიდხანს, წვეთ-წვეთად, ყოველდღიურად. მოგეხსენებათ, წერის დროს მთავარი მოთმინებაა. თემა როგორ შევარჩიე? ეს ბუნებრივი, მაგრამ რთული პროცესია, პიროვნების ძირეულ ინტერესებთან და პრობლემებთან დაკავშირებული. დაკარგული მამის გამო ადრეულ ბავშვობაში მიღებული განცდა დღემდე არ მტოვებს. თემაც ამან მიკარნახა.

**– მალე ალბათ თქვენს მეორე რომანს ვიხილავთ. მის შესახებ რას გვეტყოდით?**

– მეორე რომანი ფაქტიურად პირველია, დაწერილი თითქმის ოცი წლის წინ, შემდეგ კი გადამუშავებული. ვფიქრობ, მალე გამოვა. ყოველ შემთხვევაში, წელს აუცილებლად. რომანის სათაურია „კახური ქრონიკები“, მოიცავს გასული საუკუნის ბოლოდან ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე პერიოდს, მაგრამ არა მიყოლებით, არამედ შერჩევით, ძირითადი კატაკლიზმების გათვალისწინებით.

**– ვინ არის თქვენი მხატვრული ნაწარმოების პირველი მკითხველი?**

– სანამ ჩემი დაუვიწყარი ბატონი გრიშა (გრიგოლ კიკნაძე) ცოცხალი იყო, მას ვუკითხავდი ხოლმე ჩემს მოთხრობებს და ზღაპრებს. „შაჰაბაზაც“ ბატონმა გრიშამ და ლეილა სულხანიშვილმა წაი-

# როგორც თვალს



*ცნობილი საბავშვო მწერალი გუგული ტოგონიძე ბევრი საინტერესო ზღაპრის ავტორია. მის შემოქმედებას კარგად იცნობს მკითხველი, მაგრამ მისი პიროვნების შესახებ თითქმის არაფერი დაბეჭდილა. ალბათ მისი თავმდაბლობაცაა დამნაშავე, მწერალი ძლივს დავითანხმეთ ინტერვიუზე „საქართველოს ქალისათვის“.*

**– ქ-ნო გუგული, როდის დაიწყეთ წერა?**

– ბავშვობაში ლექსებს ვწერდი, მაგრამ ოჯახმა ხელი შემიშალა. ჩემმა ქართულის პედაგოგმა თამარ შერვაშიძემ მისაყვედურა კიდეც, რატომ გაჩუმდიო. ეს საყვედური შთაგონების წყაროდ მექცა და კვლავ მოვკიდე კალამს ხელი. დავწერე რამდენიმე მოთხრობა, რომლებიც 70-იან წლებში დაიბეჭდა.

**– რატომ აირჩიეთ საბავშო მწერლობა?**

– ეს არის ჩემი მოწოდება, მოთხოვნილება. ამით ვსულდგმულობ, ამით ვწყნარდები. როგორც ცრემლი მოადგება ადამიანს თვალზე, ისე მოდის ჩემთან ზღაპარი.

**– თქვენი ზღაპრების რომელი გმირი გიყვართ და რატომ?**

– „ვარდისფერი ჭინკა“. ვთვლი, რომ ბავშვებს ენამოჩლექით არ უნდა ველაპარაკოთ. ჩემი მსოფლმხედველობა ყველაზე მეტად მასში ჩანს – მშვენიერებას თუ ეზიარები, შენც მშვენიერი გახდები. ასევე ძალიან მიყვარს „უთავო ასანთის ღერი“ და „ოდოია“. იგი 1978 წლის 14 აპრილის ღამეს დავწერე. თვითონ ვიყავი აქციის მონაწილე.

**– რატომ უწოდეთ თქვენს წიგნებს „ვარდისფერი ჭინკა“, „ვარდისფერი ზღაპრები“ და არა ვთქვათ, „სიკეთის ზღაპრები“ ან სხვა?**

– დასაბამიდან მოდის ორი ნაკადი – სინათლე და სიბნელე. ორივე თავისი ბილიკით, ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული. ისინი ერთმანეთს ვერასდროს გადაკვეთენ, მაგრამ დღეს თითქოს სიბნელე მეტია. საჭიროა, ბავშვები გავზარდოთ სიკეთით. მათ სულში უნდა შევიდეს მშვენიერება: სიკეთე, სიყვარული, სიხარული. უნდა ვუკითხოთ ისეთი წიგნები, რომელიც მათ ცხოვრებას გაანათებს, ვარდისფერს გახდის. ცუდზე თვალის დახუჭვა არ შეიძლია, მაგრამ მასზე წერა მთრგუნავს. ვეძებ ვარდისფერში სულის თავშესაფარს და მსურს, ბავშვებიც ამ შუქში გავატარო. მინდა ვიზრუნო თითოეული ბავშვის სულის გადარჩენისათვის, მივიყვანოთ სინათლემდე, ჭეშმარიტებამდე.

**– წერის გარდა რაში პოულობთ სულის თავშესაფარს?**

– ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს ვეთაყვანები. კინოფილმები რაინდულ-რომანტიკული მიზიდავს. ჩემი სამაგიდო წიგნებია: რეზო ინანიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ქართული ხალხური ზღაპრები, ოსკარ უაილდის ზღაპრები, ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“. განსაკუთრებით მიყვარს ისტორიული რომანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაპარუქე“

ღეს „ცისკარში“. მახსოვს „შაჰაბაზა“ რომ დავწერე, საგანგებოდ ჩავედი თელავში და ჩემს საყვარელ ბიძას, ლონგინოზს, რომელიც ჩემთვის მშობელივით იყო, წავუკითხე. ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაღიმებული სახე. ცხადია, მეგობრებსაც ვაკითხებ...

**— მახსოვს, თქვენი პირველი მოთხრობა „შაჰაბაზა“ როგორ მოიწონა მაშინდელმა ახალგაზრდობამ. მკითხველები ალბათ გეხმიანებოდნენ.**

— რა თქმა უნდა, მილოცავდნენ... უხაროდათ. მწერალმა იროდიონ ქავჟარაძემ ქუჩაში გამაჩერა. ჩემი მოთხრობა წაეკითხა და გულითადად დამილოცა გზა მწერლობისაკენ. განსაკუთრებით გამიხარდა, ჩვენს შესანიშნავ ისტორიკოსს, ნიკო ბერძენიშვილს რომ მოეწონა მოთხრობა.

**— სამაგალითოა თქვენი და ლანა ღოღობერიძის თანამშრომლობა (ვგულისხმობ თემის შერჩევას, აზრთა ჭიდილს). როდის დაიწყო იგი და როგორ გადაიზარდა მჭიდრო, თითქმის ნათესაურ ურთიერთობაში?**

— 1971 წელს კინოსტუდიაში, რეზო ჩხეიძის შემოქმედებით გაერთიანებაში უფროს რედაქტორად დავიწყე მუშაობა. ლანაც იქ გავიცანი. დღეს უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ლანა არის ჩემთვის, როგორც რუსთაველი იტყოდა, „დაცაზედა უფრო დესი“. ახლა დავშორდით. ის ევროსაბჭოში ჩვენს ქვეყანას წარმოადგენს. საფრანგეთში წასვლა უფრო იმიტომაც მიხარია, რომ სტრასბურგში ჩავალ და ერთად ვიქნებით. სამწუხაროდ, შექმნილმა მდგომარეობამ, ჩვენმა სიდუხჭირემ ჩვენი საქმიანობა შეაფერხა. კინოს გადაღებას, მოგეხსენებათ, საკმაო თანხა სჭირდება. მაგრამ იმედს არ ვკარგავთ. უთუოდ კვლავ შევებმებით იმ წარმტაც უღელში, ფილმზე მუშაობა რომ ჰქვია... ღმერთმა ინებოს! თავად ჩვენ, ჩვენი ყოველდღიური სამუშაოს მიუხედავად, მზად ვართ კვლავ შევერკინოთ ერთმანეთს, ვიკამათოთ სიუჟეტის აწყობისას პერსონაჟთა დიალოგების ჩამოყალიბებისას, ვიბობოქროთ, ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები ვუმტკიცოთ, სანამ არ შევთანხმდებით და ჩვენი მუშაობაც საბოლოო სახეს არ მიიღებს.

**— ყველაზე მეტად რომელი ფილმი გიყვართ?**

— წარმოიდგინეთ, ინტერესით ვუყურებ ხოლმე ჩვენს ფილმებს. ზოგჯერ – სიამოვნებით, ზოგჯერ – ჩასაფრებით. ზოგჯერ რაღაც სიტყვა, რაღაც ფრაზა მაბრაზებს, ზოგჯერ პირიქით, მომწონს. ამით იმის თქმა მინდა, რომ დროის გასვლის მიუხედავად, ცოცხალი დამოკიდებულება არ დამიკარგავს ჩვენს ნამუშევრებთან და შემართებული ძაფიც ჩვენს შორის არ გაწყვეტილა. განსაკუთრებით მიყვარს „ვალსი პეჩორაზე“, რომლის სცენარზე მუშაობაც შთამაგონა ლანას დედის, ქალბატონი ნუცას შესანიშნავმა მოთხრობებმა, იქ, გადასახლებაში რომ დაწერა.

**— მწერლობაში დამკვიდრებამდე თქვენ თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრში უკრავდით. როგორ მოხვდით იქ და რა მოგცათ მუსიკის დარგში მოღვაწეობამ?**

— ძალიან უბრალოდ. გასინჯვაზე დავუკარი სენსანსის სავიოლინო კონცერტი, ფურცლიდან კითხვისას, ჩაიკოვსკის „ორლეანელი ქალწულის“ სავიოლინო პარტია და მიმიღეს. თუ რა არის ჩემთვის მუსიკა და რა მომცა, ვფიქრობ, საკმაოდ ამომწურავად ჩემს რომანშია ნათქვამი.

**— როგორც მწერალი, ხომ არ გამოეთხოვეთ ვიოლინოს?**

— ჩემს ვიოლინოს მართლაც გამოვეთხოვე. სანამ ჩემთან იყო, ხშირად ვუკრავდი. გამოჩნდა 14 წლის ვუნდერკინდი, თელაველი ანა ხოსროშვილი, ვიოლინოსათვის დაბადებული. იგი უცხოელმა სპეციალისტებმა როგორც მომავლის მუსიკოსი, შვეიცარიაში წაიყვანეს სასწავლებლად. ანას ვიოლინო არ ჰქონდა, მას რომ შეეფერებოდა, ისეთი. არ დავინანე და ჩემი ვაჩუქე. მე კი, ყოველდღე ცოცხალი მუსიკა რომ არ მოვისმინო, არ შემიძლია – ან კონცერტზე მივდივარ, ან ფირფიტას ვუსმენ.

**— რას აპირებთ ახლო მომავალში?**

— მაისში საფრანგეთში მივემგზავრები. ქალაქ სენ-დენერში სხვადასხვა ქვეყნებიდან მწერლები შეიკრიბებიან. მათ შორის მეც ვიქნები. ჩემი რომანიდან რამდენიმე ნაწყვეტი ფრანგულ ენაზე უთარგმნეს და წააკითხეს მწერალ ნიკოლ ზანდს. მან მოიწონა და მიმიწვია. სამუშაო პროგრამა საინტერესოა. ვფიქრობ, იქიდან ახალი იდეებით დავბრუნდები...

ესაუბრა **ლია კაკაბაძე**

# მომდგარი ცრემლი

**— ქ-ნო გუგული, თქვენ ორი შვილის დედა და სამი შვილიშვილის ბებია ბრძანდებით. როგორ თვლით, რა პრინციპებით უნდა აღიზარდონ ბავშვები?**

— ჩემთვის აღზრდის მეთოდად სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისაა“ ამოსავალი. მინდა, ბავშვებს უყვარდეთ წიგნი. იგი ასწავლის რა არის კარგი და ცუდი. იკითხონ ქართული კლასიკა. ის შეაყვარებს სამშობლოს, ტრადიციებს, მიწას, ბუნებას, ენას, ხალხს. როდესაც ჩემი ვაჟი ერთი წლით ქუვეითში მიიწვიეს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად, ნოსტალგიამ შეიპყრო და უარი თქვა კონტრაქტის გაგრძელებაზე, სამშობლოსაკენ გამოუწია გულმა. ყველაფერი ბავშობიდან იწყება – სიყვარულიც, სიძულვილიც.

**— როგორ გესახებათ საქართველო 50 წლის შემდეგ?**

— თუ ეროვნული გზით ვივლით, ძალიან კარგად. საქართველო დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის მქონე ქვეყანაა. ჩვენს წინაპრებს ღმერთამდე უნდოდათ მისვლა. ევროპიდან და ამერიკიდან კი უმეტესად შემოდის დამახინჯებული, ჩემი აზრით, ჩვენთვის მიუღებელი ცხოვრების კანონები და ქვემოთ გვეწევა. ვნატრობ, ილიას რომ უნდოდა, ისეთი დედები გვყავდეს

**— რა არის თქვენთვის ყველაზე ძვირფასი და სასიამოვნო საჩუქარი?**

— ამაღლებული, სასიამოვნოდ დამუხტული ვბრუნდები სახლში, როცა ცქრიალა, კარგად აღზრდილ და ნაკითხ ბავშვებს ვხვდები. მათ გვერდით გული სიამაყით მევსება. ასეთი ბავშვების საზოგადოება ჩემთვის ყველაზე დიდი და ძვირფასი საჩუქარია.

**— წარსულში დაბრუნების საშუალება რომ მოგეცეთ, რა პროფესიას აირჩევდით?**

— ვიმუშავებდი სათნოების ან ბავშვთა სახლში. ბავშვები და მოხუცები ხომ ყველაზე დაუცველი, ნაზი, მგრძნობიარე და საყვარელი ადამიანები არიან. საჭიროა მოვეფეროთ, დავუყვავოთ და ხშირად ვიყოთ მათთან.

**— თქვენი აუხდენელი ოცნება?**

— მოგზაურობა მინდოდა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერასოდეს მოვახერხე. ისე, ერთხელ მქონდა ამის საშუალება, მაგრამ ფული ჩემთვის ვერ გავიმეტე, შვილებისათვის გადავინახე. ვოცნებობ, სოფელში მქონდეს მწვანეში ჩაფლული ოტია იოსელიანის ოდის მსგავსი სახლი. სიამოვნებით მივატოვებდი ქალაქს და სიცოცხლის ბოლომდე იქ დავრჩებოდი.

**— როგორ თვლით, იხარჯებით ბოლომდე?**

— ამ შეკითხვაზე პასუხს ჩემი „პრასისა და ნიახურის“ ქალი გაგცემთ. ისე, საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები ხოლმე, სხვადასხვა კრიტიკულ მომენტში როგორ მოვიქცეოდი? თავს გავწირავდი ნებისმიერი, თუნდაც უცხო ბავშვის სიცოცხლისათვის. დიდზე ამას ვერ ვიტყოდი, მაგრამ ნორჩი სიცოცხლის გადასარჩენად ბოლომდე ვიბრძოლებდი საკუთარის სანაცვლოდაც. ეს კითხვა ბევრჯერ დამისვამს ჩემი თავისათვის და პასუხი უყოყმანოდ ყოველთვის ერთია.

**— თქვენი აზრით, ვინ არის გუგული ტოგონიძე?**

— სამშობლოს მოსიყვარულე ადამიანი, სხვა არაფერი. სამშობლო ჩემთვის ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვანია. იგი ჩემთვის ღმერთია.

**— თქვენი ნაწარმოებები „კესანე“, „მაშ რა გინახავს“, „ირემი“, „ალვა და ჯაგრცხილა“, „ცისფოლიო და უკადრისა“ შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოებში, დიდი აღიარება მოგიტანათ „ვარდისფერმა ზღაპრებმა“. გამომცემლობა „ნაკადულმა“ ბოლო წლების საუკეთესო საბავშვო წიგნის ავტორად დაგასახელათ. ეს მეტად საპატიოა და ალბათ ბევრსაც გავალებთ.**

— ჩანაფიქრი ბევრი მაქვს. ახალ წიგნებზე მსურს მუშაობა. ეს იქნება ცოტა ვრცელი მოთხრობა ცეროდენაზე ანუ ბავშვის თვალით დანახული დღევანდელობა. რა გამომივა არ ვიცი . ამას მკითხველი შეაფასებს.

**— მე ღრმად მწამს, ქ-ნო გუგული, რომ წიგნს ინტერესით წაიკითხავენ. ის ალბათ თქვენი ყველაზე კარგი წიგნი იქნება. ჩვენ, მკითხველებს ასე გვსურს. წარმატებას გისურვებთ.**

**ნანა კლიმიაშვილი**

# სექსუალური ორიენტაცია ბავშვის თამაშში ვლინდება

**როცა ბიჭი ოჯახობანას თამაშში ქალის როლს ირჩევს, ხოლო გოგონას თანატოლი ბიჭები „ჩვენ ძმას“ ეძახიან, მშობლებს ყურადღების გამახვილება მართებთ.**



ახლა, როცა სექს-ბიზნესი მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიან წყაროდ იქცა და „აკრძალულთან შეხება“ ბავშვებისთვისაც კი ნებადართული გახდა, საჭიროა ყურადღების მეტი გამახვილება და გარკვეული პროგნოზირებაც კი იმ უარყოფითი ზეგავლენისა, რაც სექსუალური მორალის ლიბერიზაციამ შეიძლება თავს მოგვახვიოს.

ადამიანები სექსუალური პრობლემებით უხსოვარი დროიდან ინტერესდებოდნენ. ძველი ჩინური და ინდური ტრაქტატები — უძველესი ერეტოლოგია, გახლავთ ამის დასტური.

იცვლებოდა ეპოქა, საზოგადოებრივი მორალი, ადამიანები და მათი დამოკიდებულებაც საზოგადოებრივი აზრის შესაბამისად. დროდადრო ეს პრობლემები „საჩოთირო“ საკითხად იქცეოდა და ადამიანებიც გაუმართლებელი გულგრილობით გვერდს უვლიდნენ მას; მათ შორის 70-წლიანმა საბჭოურმა ყოფამ შესაშური მოჩვენებითი გულგრილობა გამოამჟღავნა. როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემის თავიდან აცილებამ პრინციპით „არ შეიძლება, იმიტომ რომ არ შეიძლება“ ვერ დაიცვა მოზარდი და, რადგან სატკივარმაც თავი ველარ დაფარა, დღეს ხელში შემოგვრჩა დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება, დანგრეული ოჯახები, მარტოხელები, შედარებით „გაახალგაზრდავებული“ ვენერიული დაავადებები, ახალგაზრდათა იმპოტენცია, სექსუალური დარღვევების გახშირება და თვითმკვლელობები ამ ნიადაგზე, ჰომოსექსუალიზმი, აქა-იქ „ბებისექსიც“ (ბავშვთა გარყვნილება). სექსუალურ დარღვევათა გახშირება ჩვენი რეალობაა და ამაზე თვალის დახუჭვა თავის მოტყუებას ნიშნავს.

„ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“ და, ბუნებრივია, ჩვენი ფსიქოსექსუალური ბიოგრაფიაც ბავშვობიდანვე იწყება. მოზარდის ასაკი ის ნიადაგია, სადაც საფუძველი ეყრება ყველაფერ იმას, რასაც ინგლისელმა ექიმმა ჯეიმს პრიჩარდმა მორალური შერყევა უწოდა.

პათოლოგიის წარმოშობა ავტომატურად, არაფრისაგან არ ხდება. ყველაფერს თავისი მიზეზი და საფუძველი აქვს. მოზარდის ორიენტაციის, ადექვატური არჩევანისა და სექსუალური ქცევების ფორმირებაში უდიდესი როლი ენიჭება მიკროსოციალურ გარემოს, ოჯახს, სკოლას, საურთიერთო წრეს, თანატოლთა მისწრაფებებს, სექსუალური ინფორმაციის მიღების წყაროებს და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რასთანაც ემოციურადაა დაკავშირებული და რაც ხანგრძლივი დროით ფიქსირდება მის შეგნებაში.

არსებობს ცნება — „მოზარდის ინტერსექსუალიზმი“, როცა სექსუალური აღგზნებადობა მაღალია, ხოლო სწრაფვის ობიექტი — გაურკვეველი. ამიტომაც, რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება ლიბიდოს (ლტოლვის) აღგზნება, მით უფრო მოუმზადებელი ხვდება ბავშვის ფსიქიკა და მისი ქცევაც ნაკლებად ჯდება საზოგადოებრივი მორალის ნორმებში. სამედიცინო მონაცემებით, 11-12 წლის ასაკიდან უკვე შესაძლებელია სექსუალური ლტოლვის რეალიზება და, სწორედ ამ ასაკშია საშიში, რომ უყურადღებოდ დარჩენილმა, ბედს მინდობილმა, სოციალურად უმწეო და დაუცველმა პატარამ შემთხვევითი მასწავლებლის, სიტუაციისა და სხვათა გავლენით „სიძვა იგემოს“ (ჰომოსექსუალური კავშირი, ჯგუფური გარყვნილება და სხვა). ამასთან, დადებითად სიამოვნებით აღნიშნული სექსუალური გამოცდილება იწვევს მისი განმეორებისა და შემდგომი გაგრძელების სურვილს, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს კიდეც პიროვნების სექსუალურ ორიენტაციას.

პიროვნების ფორმირება საზოგადოების მორალის შესაბამისად მრავალსაფეხურიანი, მრავალგანზომილებიანი პროცესია და ამ გზაზე ყველაფერს უნდა მიექცეს ყურადღება, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალსაც კი... მაგ. ბავშვის თამაშობებს, რომლებსაც მშობლები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. არადა, დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოზარდის თამაშსა და მოზრდილის სექსუალურ ქცევას შორის გარკვეული კორელაცია (ურთიერთდამოკიდებულება) არსებობს და, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვის ქცევაში ლატენტურად (ფარულად) ვლინდება შემდგომი (მოზრდილის) სექსუალური ორიენტაცია.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ბავშვის ყველა „უცნაური“ საქციელი, ბოლოს და ბოლოს, პათოლოგიად ჩამოყალიბდება (ისე, როგორც ვერ დაარქმევ მოზრდილს ქურდს, თუ მან ბავშვობაში სათამაშო მოიპარა). სექსუალური როლის ტრანსფორმაციას არასწორი აღზრდა უფრო იმ შემთხვევაში უდევს საფუძვლად, როცა მას თან ახლავს ფსიქოპათოლოგიური დატვირთვა... და მაინც, ერთგვარი „რისკის ჯგუფის“ გამოყოფა უპრიანი იქნებოდა, რათა მათზე გამახვილდეს ყურადღება.

მაღალი სექსუალური აქტივობით (როცა ცენტრალური ნერვიული სისტემის დაზიანებას აქვს ადგილი) გამორჩეული ბავშვების გარდა, ამ ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ ის ბიჭუნებიც, რომლებიც იდეალური ბავშვების შთაბეჭდილებას ტოვებენ — რბილი ხასიათის და ალერსიანები არიან, არასოდეს ჩხუბობენ, თავს არიდებენ შეჯიბრებსაც (ეშინიათ ტრავმების), თამაშობენ გოგონებთან „ოჯახობანას“ და თამაშისას ყოველთვის ქალის როლს ირჩევენ (მაშინ, როცა სხვა ბიჭუნები ამის გამო პროტესტის ნიშნად თამაშსაც კი ტოვებენ), აიდიალებენ ღონიერ ბიჭებს; ისინი ზედმეტად ფემინიზებულნი (მათში ბევრი ქალური ელემენტია) არიან.

გოგონები კი, პირიქით, მამაკაცურები და ჩაკეტილები არიან, არ მეგობრობენ თანატოლ გოგონებთან, ტანსაცმელსა და მაკიაჟს ყურადღებას არ აქცევენ, ხანდახან მკერდსაც კი იკრავენ (მალავენ). ბიჭები მათ „ჩვენს ძმას“ ეძახიან, რადგან მათ აქვთ ქცევის მკვეთრად გამოხატული მამაკაცური სტილი.

„რისკის ჯგუფს“ განეკუთვნებიან ის გოგო-ბიჭებიც, რომლებიც სქესობრივი სხვაობის გაცნობიერების პირველსავე ეტაპზე თავს საპირისპირო სქესს მიაკუთვნებენ (ტრანსსექსუალიზმი) და შესაბამისად მათ ტანსაცმელს იცვამენ, მათ სახელებს ირქმევენ.

ამ ფონზე საოცრად სცოდავენ ის მშობლები, რომლებიც, გაუმართლებელი ახირების გამო, თავიანთ პირმშოს თავს ახვევენ მათთვის სასურველ სქესს (უნდოდათ გოგონა და ბიჭს გოგოსავით ზრდიან ანდა პირიქით)

ყველაზე დიდი ცოდვა კი „საჩოთირო“ საკითხისადმი გულგრილობამ ჩაიდინა (მან გახადა პორნოინდუსტრია ხელმისაწვდომი ბავშვებისათვისაც).

საკუთარი პრობლემებით დაკავებული უფროსები გულგრილად იცილებენ აბეზარ მოზარდებს, და ისინიც ჩვეული მაქსიმალიზმით უკვე გარეთ ეძებენ გამგებელს და მფარველს, ხოლო, როცა იპოვნიან, ხშირად ძლიერ და ვნებიან მეგობრობას გააბამენ ხოლმე უღირს პიროვნებასთან (აქედან იწყება ჰომოსექსუალური კავშირიცა და უბედურებაც). ზოგჯერ ზედმეტი მზრუნველობაც აშავებს... მაგ: ხშირად დედები, თავის დაზღვევის მიზნით შვილებს უნერგავენ მოპირდაპირე სქესის წარმომადგენლებისადმი შიშსა და სიძულვილს („ბიჭები არამზადებია, გოგონები — მაცდურები“) და შვილებს ბერბიჭებად და შინაბერებად (ან სულაც იმპოტენტებად) ტოვებენ.

უფროსების მიერ მიღებული „ქმედითი“ ზომები მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს თუ მათ თან ახლავს ცოდნა და ტაქტი. ძალადობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ასე ხდება ბავშვის ტრავმირება და მისი ფანტაზიის არასწორად წარმართვა.

პროფილაქტიკის პედაგოგიური ასპექტი, პირველ რიგში ითვალისწინებს ბავშვების აღზრდას იმ მიმართულებით, რომ მათ ადრეულ ასაკშივე გააცნობიერონ სქესობრივი სხვაობა.

თანდათან (ასაკის შესაბამისად) ბავშვს უნდა ჩავუნერგოთ სიყვარული და ღრმა პატივისცემა მოპირდაპირე სქესის წარმომადგენლებისადმი. ეს მეცადინეობა კი მაშინ გამოიღებს სასიკეთო შედეგს, როცა ის იქცევა არა შემთხვევით „მორალურ საუბრებად“, არამედ ყოველდღიური ზრუნვის საგნად...

მე ამ წერილში დიდი პრობლემის უმცირეს ნაწილს შევეხე. ვფიქრობ, მკითხველს გაუჩნდება ინტერესი და შემაშფოთებელი ეჭვიც კი ამ საკითხისადმი; ეჭვმა არ უნდა დაგვაშინოს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. სჯობს, ფხიზლად ვიყოთ და დავეხმაროთ მოზარდებს, რათა უმტკივნეულოდ, უტრავმოდ ჩაიარონ მათი გარდამავალი ასაკის ტკბილ-მწარე პერიოდმა და ამით ნორმალურ (უკომპლექსო) პიროვნებად ჩამოყალიბების საშუალება მიეცეს მათ.

ბიჭებს ბიჭების შესაბამისი მოვალეობა უნდა დავაკისროთ; ბიჭები უნდა გაიზარდონ ბიჭებად; ვაჟკაცებად. გოგონები — გოგონებად, ქალებად, მომავალ დედებად. ოჯახში მათაც შესაბამისი დატვირთვა უნდა ჰქონდეთ.

**მანანა კეიდია**

# ჰომეოპათია მთავრდება იქ, სადაც რიგები და ფულის კეთება იწყება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენს ჰომეოპათია, მედიცინის ერთ-ერთი ურთულესი დარგი, რომელიც 200 წლის წინათ დრეზდენის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰანემანმა თანამოაზრეებთან ერთად შექმნა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ გერმანიის მოსახლეობის 80 პროცენტი სწორედ ჰომეოპათიას ანიჭებს უპირატესობას.

საქართველოში ჰომეოპათია უშუალოდ გერმანიიდან შემოვიდა და მეოცე საუკუნის დასაწყისში იმდენად ბევრი მიმდევარი ჰყავდა, რომ თბილისში ჰომეოპათიური აფთიაქების ქსელიც კი არსებობდა თურმე. კომუნისტური რეჟიმის დროს ჰომეოპათია არ აუკრძალავთ, მაგრამ ჩრდილში კი მოექცა, რადგან მაშინდელი მსოფლმხედველობის ჩარჩოებში არ თავსდებობა.



საქართველოში დღეს ინტერესი კვლავ ღვივდება მედიცინის ამ დარგისადმი, თუმცა ხშირად ჰომეოპათიას ხალხურ მედიცინასთან და ბალახეულით მკურნალობასთან აიგივებენ. ამან, ბუნებრივია, ბევრ თვითმარქვია ჰომეოპათს ხელფეხი გაუხსნა და, როგორც საქართველოში ჰომეოპათთა საზოგადოების დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი, პარლამენტის სამედიცინო კომისიის ექსპერტი, გერმანიის ჰომეოპათიის ინსტიტუტის თანამშრომელი (იძულებული ვარ, წოდებების ჩამოთვლა აქ შევწყვიტო, სიმრავლის გამო) ქ-ნი თინათინ თოფურია ამბობს:

– ჰომეოპათია საქართველოში ლამის ავანტიურისტების ხელში ჩავარდა, რადგან არ არსებობს კანონები, რომელიც დაარეგულირებს ამ უმართავ პროცესებს.

ჰომეოპათია მთავრდება იქ, სადაც რიგები და ფულის კეთება იწყება, და თუ ჰომეოპათიური კაბინეტების წინ გაჭიმულ რიგებსაც გადავხედავთ, ბუნებრივია, საქმეში ჩაუხედავ ადამიანს გაუჩნდება კითხვა: ნუთუ საქართველოშიც არ არსებობს ჰომეოპათია?

და კიდევ უფრო დაიბნევა, თუ ცნობილი ინგლისელი ჰომეოპათის კეტრინ ჰეფინგის სიტყვებსაც დაუმატებთ: „ის, რასაც საქართველოში ჰომეოპათიად მიიჩნევენ, სულაც არ არის ჰომეოპათია!“

**გისმენთ და მეც უფრო მეტად ვიბნევი... მაინც რა არის ჰომეოპათია და მართლაც არსებობს თუ არა საქართველოში?**

– საბედნიეროდ, საქართველოში ჰომეოპათიის ძლიერი სკოლა არსებობს. 1988 წელს ჩვენი ინიციატივით შეიქმნა ჰომეოპათთა საზოგადოება, სწორედ ამ ცენტრის ინიციატივით 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები ჩამოვიდნენ და მოწამლულებს და დეპრესირებულებს სრულიად უსასყიდლოდ უმკურნალეს.

შემდეგ იყო აფხაზეთის ომი. 1991-94 წლებში ათასობით ლტოლვილსა და მეომარს აღმოვუჩინეთ დახმარება. შედეგი არაჩვეულებრივი იყო. ვისაც მკურნალობა ჩაუტარდა, სტრესის შემდგომი სინდრომისაგან დააღწია თავი.

1993 წელს ჯანდაცვის სამინისტრომ აღიარა ჰომეოპათია, როგორც მედიცინის დარგი. სწორედ ამის შემდეგ შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკური ჰომეოპათიის ცენტრი, სადაც გაერთიანდა ყველა წამყვანი სპეციალისტი. თითოეულ მათგანს ჰომეოპათია საზღვარგარეთ აქვს შესწავლილი.

ცენტრში კომპლექსურად გამოიყენება ჰომეოპათიური და ტრადიციული მედიცინის მეთოდები. ვმკურნალობთ მთელ რიგ დაავადებებს: ნევროზს, დეპრესიას, ქრონიკულ გადაღლას, ალერგიას, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, კანის, ყელ-ყურის, სისხლძარღვთა, გინეკოლოგიურ დაავადებებს.

უპირველესად ავადმყოფებს ჰომეოპათიური წამლებით ვმკურნალობთ, თუმცა თუ საჭიროა, პარალელურად ვიყენებთ ქიმიურ პრეპარატებსაც. სამწუხაროდ, ზოგიერთი ვაი- ჰომეოპათი ხსნის ექიმის მიერ დანიშნულ მკურნალობას, რასაც ხშირად სავალალო შედეგებამდე მივყავართ. უცხოეთში ასეთი ქმედებისათვის, როგორც წესი, ისჯებიან, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ჰომეოპათად მუშაობა არაპროფესიონალებსაც შეუძლიათ. ეს ისევ კანონების არქონის შედეგად ხდება. ჰომეოპათად პროფესიონალი ექიმი უნდა მუშაობდეს, რადგან წამლების არასწორი მიღება საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს.

ჰომეოპათიის მთავარი პრინციპია პაციენტთან ინდივიდუალური მიდგომა. არ არსებობს ზოგადი წამალი. თითოეულ პაციენტს ინდივიდუალური დანიშნულება მიეცემა.

რამდენიმე ათასი ჰომეოპათიური წამალი მზადდება ბუნებრივი ნივთიერებებისაგან – მცენარეების, მინერალების, მეტალებისაგან. წამლები ახდენს იმუნური სისტემის სტიმულირებას და მიმართავს ორგანიზმის ძალებს ამა თუ იმ დაავადებასთან საბრძოლველად.

**– ამბობენ, რომ საქართველოში შემოდის ისეთი წამლები, რომელთა გამოყენებაც აკრძალულია განვითარებულ ქვეყნებში. რა არის ეს – დივერსია თუ მავანთა უპასუხისმგებლობა?**

– ალბათ ერთიც და მეორეც. სამწუხაროდ, დღეს ათასგვარ მანკიერებასთან და უკანონობასთან ბრძოლას უფრო მეტი დრო მიაქვს, ვიდრე ჩვენს უშუალო საქმიანობას.

კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. შეუმოწმებლად ჰომეოპათიური წამლების იმპორტისა, კონტრაბანდული გზით შემოტანილი წამლების ნაწილი შეიცავს ძლიერ ფსიქოტროპებს, რაც თავდაპირველად არაჩვეულებრივ შედეგებს იძლევა, დაავადება თითქოს უკვალოდ ქრება, მაგრამ შემდგომში სხვა ფორმით იჩენს თავს და ნერვულ მოშლილობებს იწვევს.

ხშირად არაკეთილსინდისიერი ჰომეოპათები პაციენტებს 10-15 წამალს უნიშნავენ, არადა ჰომეოპათიური მეთოდით მკურნალობისათვის ერთი ან ორი მედიკამენტიც კი საკმარისია.

**– დღეს იშვიათია აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანი. ნერვოზით თითქმის ყოველი მეორეა დაავადებული. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენს ცენტრში მკურნალობა და რა შედეგებს პირდებით პაციენტებს?**

– სტრესულ საუკუნეში ვცხოვრობთ და ნებისმიერ დაავადებას სტრესული ფაქტორი უძღვის წინ. ჩემი სადოქტორო დისერტაციაც ამ მწვავე პრობლემას – ნერვოზებსა და სტრესებს ეხება. ჩვენც საქართველოს შვილები ვართ და კარგად ვიცით თანამემამულეების მატერიალური შესაძლებლობები. კონსულტაცია უფასოა, მკურნალობის ფასები კი სხვადასხვა, თუმცა თანხები მიზერულია. ხშირად უფასოდაც ვმკურნალობთ პაციენტებს.

ჩვენგან უკვდავების წამალს მოითხოვენ, იდეალური ჯანმრთელობის აღდგენა შესაძლებელია, მაგრამ ორ-სამ კვირაში – შეუძლებელი. მკურნალობა ხანგრძლივ პროცესს მოითხოვს. პაციენტებმაც ხელი უნდა შეგვიწყონ, მიყვნენ ჩვენს დანიშნულებას და რჩევებს. დარღვეული სულიერი წონასწორობის აღდგენა დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

**– საოცარია, ჰომეპათიით დაინტერესდით მაშინ, როცა საქართველოში თითქმის მივიწყებული იყო და ფაქტიურად ნულიდან დაიწყეთ მისი აღორძინება. საიდან ასეთი ინტერესი?**

– ბაბუა, დათიკო თოფურია საქართველოში კანისა და ვენსნეულებების სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. მამა გოგა თოფურია, ბიძები ირაკლი თოფურია და თამაზ თიკანაძე ცნობილი ქირურგები იყვნენ. ექიმობა ბავშვობიდან მინდოდა. თუმცა ჰომეოპათიით ჩემი დაინტერესება ბებიაჩემის დამსახურებაა. ბებია კიეველი იყო. უკრაინიდან სისტემატურად უგზავნიდნენ ჰომეოპათიურ წამლებს და შემიძლია ვთქვა, რომ ამ წამლებით გავიზარდე. ასე რომ, ამ მეთოდით მკურნალობა უშუალოდ ჩემზე მაქვს გამოცდილი და ამდენად, ვფიქრობ, ბუნებრივია ამ დარგით ჩემი დაინტერესება.

**– თქვენ ბრძანდებით ჯორჯ ვიტულკასის მოწაფე. მას მსოფლიოში „ჰომეოპათიის მამად“, „მასწავლებელთა მასწავლებლად“ იცნობენ. რა შეგძინათ მასთან ურთიერთობამ?**

– უპირველეს ყოვლისა, უდიდესი ცოდნა და გამოცდილება. იგი მსოფლიოში ჰომეოპათიის დარგში ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაა. მან შექმნა ჰომეოპათიის საერთაშორისო აკადემია, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩადიან უძლიერესი ჰომეოპათები „დიდი მასწავლებლის“ მოსასმენად. მე ბედნიერი ვარ, რომ მის მოწაფედ ვითვლები.

ბ-ნი ჯორჯ ვიტულკასის კეთილი ნებით საქართველოში ჩამოყალიბდა ჰომეოპათიის აკადემია, სადაც სწავლება იქნება მისივე პროგრამით.

ჰომეოპათიას საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, დიდი მომავალი აქვს.

**მარინე ნაკაიძე**

# ჩემი ვარსკვლავი გაბრწყინდება



**დიდ ჯანო ბაგრატიონს, სახელოვან ქორეოგრაფს მკითხველთან წარდგენა არ სჭირდება. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს მის მშვენიერ შვილიშვილს ლიზასაც.**

**– ლიზა ორიოდე სიტყვა თქვენს დიდ ოჯახზე, ბაბუაზე გვითხარით. ბაბუა კარგად გახსოვთ?**

– ათი სული დიდხანს ერთად ვცხოვრობდით. ასე უნდოდა ბაბუას, გაუგებრობა არასოდეს გვქონია, ბიძაშვილები ნინო და ეკა ნამდვილი დებივით მიყვარს. ბაბუას ოცნება იყო ერთი ვაჟი შვილიშვილი ჰყოლოდა, არ გაუმართლა.ყველაზე ნაბოლარა მე ვარ, ნებიერა. ასე მეგონა ყველაზე მეტად მე ვუყვარდი, შეიძლება არც იყო ასე, მაგრამ... ჩუმად მაჭმევდა ნაყინს, შოკოლადის ფილა სულ ჰქონდა ჩემთვის გადანახული. ტკბილზე ტკბილი იყო ბაბუა. ოთხივეს შემოგვსხამდა ფანჯრის რაფაზე, უკრავდა დოლს, ჩვენ ვცეკვავდით, გაუთავებელი სიმღერა და მოლხენა იყო ჩვენს ოჯახში, ბაბუა იყო გამორჩეული თამადა, სუფრა ჩვენს ოჯახში ნამდვილი ფეიერვერკი იყო, სწავლობდნენ სიყვარულს, ერთმანეთის გატანას, კაცობას, იყო ჯანსაღი იუმორი. სათნო, ალალი, მოსიყვარულე,სანყალი გულის პატრონი, არ მახსოვს ვინმეზე ავუგი ეთქვას, თუმცა გული ბევრჯერ დაუმსახურებლად ატკინეს, მეფის გვარის შთამომავალი ხარო, გასაქანს არ აძლევდნენ. არ ეპუებოდა, რამდენიმე ანსამბლი ჩამოაყალიბა, არცერთი არ შეარჩინეს, ყველა დაშალეს და გააუქმეს. ნიაზ დიასამიძე გახუმრებია, შედით კომუნისტურ პარტიაში, იქნებ დაიშალოსო. არცერთ პარტიას არ გაკარებია, ერთხელ თბილისში თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსვეს, თამარ ციციშვილი მოსკოვიდან დააბრუნეს, როგორც პოლიტიკურად„ არასანდონი“. არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა, რესპუბლიკას არ გასცდენია. არ გვახსოვს ხმისათვის აენიოს, წონასწორობა დაეკარგოს, ნუთუ არაფერი ადარდებდა? ბაბუა თავისი გვარიშვილობით ნამდვილად ამაყობდა, თავდაჭერაც სხვანაირად იცოდა, დედაც კარგი წარმომავლობის ჰყავდა – ოლღა ამირეჯიბი. კარგად მახსოვს, სულ სამსახურს ეძებდა, გზები მისთვის გადაკეტილი იყო. ჭეშმარიტი, ეროვნული ქორეოგრაფი იყო. ბაბუაჩემის და თამარი ნიკოლო მინიშვილის მეუღლე გახლდათ; ყოველ დღესასწაულზე ბაგრატიონები მათთან იკრიბებოდნენ.ერთხელ საზღვარგარეთულ პრესაში სენსაციისათვის დაიწერა, საქართველოში მეფის შთამომავალი ქორეოგრაფია, ნამდვილი ცეკვის ჯადოქარიო, მისი მოღვაწეობა ასეთი მწირი ინფორმაციით იფარგლებოდა.

**– ვინ არიან თქვენი ოჯახის წევრები?**

– მამაჩემი გიორგი – ინჟინერია, დედა – ეთერ ბაქრაძე – პედაგოგია, და თამუნა ფეხბურთელ მიხეილ ყაველაშვილის მეუღლე, ორი შვილით ციურიხში ცხოვრობს.

**– როდის დაიწყეთ სიმღერა; სიმღერა სპეციალობაა თუ ჰობი?**

– ინგლისური ენის სპეციალისტი გახლავართ. არცთუ ურიგოდ ვფლობ ენას. სამჯერ ვიყავი ამერიკაში სხვადასხვა მისიით. პირველად 14 წლისამ კონკურსში გავიმარჯვე, სამი თვე ვცხოვრობდი ოჯახში ნიუ-ორკში. სიმღერაზე რაც თავი მახსოვს, ვოცნებობდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ისე, ჩემთვის ვმღეროდი ვიწრო წრეში, მეგობრებში. სცენა კარგა ხანს აუხდენელ ოცნებად რჩებოდა. ყველაფერი კი ბუნებრივად მოხდა...

ზოგჯერ რომ დავფიქრდები, ასე მგონია ორი რამისთვის თუ ვინატრებდი სიკვდილს – თუ დედობა არ მინერია ან ვერ ვიმღერებ. თუ ერთხელ სცენაზე მდგარხარ, ტაში დაუკრავთ, ამას ვერასოდეს შეელევი. თუმცა არავითარი პრეტენზია არა მაქვს სცენის. ჩემზე უკეთ ვინ იცის ჩემი შესაძლებლობა, თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, ყველა ემოციის გამოვლენა მხოლოდ სიმღერით შემიძლია. ამისათვის ბევრი რამ შემასწავლა გიული დარახველიძემ.

...ჰო, სიმღერაზე მკითხეთ... ბიძაჩემ ჯანოზე გადაცემა იყო. მე და ჯანომ ერთად ვიმღერეთ გურამ ბზვანელის „შიში“, გურამმა თავის შემოქმედებით საღამოზე მიგვიწვია – ჯანო ბაგრატიონი, ეკა მამალაძე, გოგი დოლიძე და მე. თავი უმწიფარი მეგონა. ვღელავდი, მუხლები მიკანკალებდა. ვინ იცის, სახეზე რა ფერი მედო. კულისებიდან მამხნევებდნენ, დიდი ტაში დავიმსახურეთ. აქედან გავთამამდი, გზა გამეხსნა. მალე ჯემალ სეფიაშვილმა კონცერტი გამართა „ბრავო, მაესტრო“. მე და მამუკა ჩარკვიანმა პირველად მაშინ ვიმღერეთ „მუხამბაზი“. ჯემალი პატარაობიდანვე მათამამებდა, მომღერლობას მიწინასწარმეტყველებდა, მის ქალიშვილთან ცისანასთან ვმეგობრობდი. ბედი ნამდვილად მწყალობს. ამას მოჰყვა მამუკას შემოქმედებითი საღამო. ბასა ფოცხიშვილი ისე არ გააკეთებს კონცერტს, არ მიმიწვიოს. გული მტკივა, დღე არ გავა, რადიომ ჩემი და მამუკას დუეტი არ გაიმეოროს. მეტისმეტი მეჩვენება, მსმენელს უნდა მოენატროს.

**– მართლაც მშვენიერი დუეტია – ლიზა ბაგრატიონი და მამუკა ჩარკვიანი. კიდევ ვინ არიან თქვენი პარტნიორები?**

– ბიძაჩემი ჯანო, მერაბ სეფაშვილი, თემურ თათარაშვილი... ყველანი სხვადასხვანაირები არიან. თემურისთან უფრო ლირიული დუეტი გამომდის, ჩვეული. მომღერალი ფონოგრამის გარეშეა პოპულარული. „ორერას“ და „ივერიას“ იმიტომ ჰყავდათ ბევრი თაყვანისმცემელი, რომ ცოცხალ ორკეს-



ლიზა ბაგრატიონი ნიკიტა მიხალკოვთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრთან მღეროდნენ.

**– ლიზა, მაინც რა არის თქვენთვის სიმღერა, პოპულარული ხომ სიმღერით გახდით?**

– რა პოპულარული მე ვარ. ძალიან მიყვარს მეგობრებთან, სუფრასთან, ბუხართან წყნარი, ლირიული სიმღერები. თუმცა არ ვპირფერობ, სიმღერა ჩემთვის ყველაფერია, წლების აუხდენელი ოცნებაა.

**– რაიმე ახირება, უცნაურობა თუ გაქვთ. რა არის თქვენი ძლიერი და სუსტი მხარე?**

– ეს ალბათ დედაჩემს უნდა ჰკითხოთ. ვარ ზედმეტად ენერგიული, ხმაურიანი, დამღლელი. ოჯახის წევრებს ვქანცავ ჩემი აქტიურობით, მოუსვენარი ბუნებით.

**დედა – ეთერ ბაქრაძე:** ჩემი შვილები სრულიად განსხვავებულები არიან. ლიზა უფრო პირდაპირი, მიზანსწრაფული და პრინციპულია, ამავე დროს ემოციური, ლალი და არათავხედი ბუნებისაა. როცა საჭიროა, უკან დახევაც იცის, ბოდიშსაც მოიხდის, თვითკრიტიკულია, ნამდვილი მეგობრის ფასი იცის, თუმცა განწყობილებას ადვილად იცვლის, თუ რაიმე ამოიჩემა, აუცილებლად უნდა შეისრულოს.

**– მშვენიერი გარეგნობა, ლამაზი სული, გვარიშვილობა, რას გვეტყვის ლიზა ბაგრატიონი პირად ცხოვრებაზე?**

– ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. იმდენად იმპულსური და ემოციური ვარ, ამინდიც კი მოქმედებს ჩემს განწყობაზე. როგორც დედამ გითხრათ, ადვილად არ ვექცევი სხვისი გავლენის ქვეშ. ვერ ვიტყვი, რომ უბედო ვარ. მყვარებია და ვყვარებივარ. ისეთი დღეები მქონია, ასი ქალი ვერ ინატრებდა. იმედი მაქვს, ჩემი ვარსკვლავიც გაბრწყინდება. მყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე, მასთან გატარებული დღეები დაუვიწყარია, მაქვს სასიამოვნო მოგონებები. შესანიშნავ ოჯახში შევედი, ორ წელიწადში ბევრი რამ ვისწავლე მათგან. ისევ მიყვარს დედამთილი, მამამთილი, ვმეგობრობ მულთან. როცა მენატრებიან გავრბივარ მოსანახულებლად. როცა რაიმე მჭირდება, ჩემს ყოფილ მეუღლეს გიორგის ვურეკავ. ამას იმიტომ კი არ გიამბობთ, რომ ვინმემ ჩემზე თქვას, ეს რა კარგი გოგო ყოფილაო, ან რა ორიგინალურად აზროვნებსო, სინამდვილეა. ბუნებრივად მოხდა ყველაფერი. იყო გაუგებრობა და დავშორდით. არ ვნანობ, კანონზომიერად მიმიაჩნია, განა ღირს, ცხოვრება გაიმწარო?

ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა ყველანი კარგად მყავდნენ, ჯანმრთელად. ჩემი ოცნებაა, ბევრი კარგი სიმღერა შევასრულო. ვუყვარდე და მოვწონდე ჩემს მაყურებელს, თუმცა ქალისათვის მთავარი ოჯახი, დედობაა, მას ვერაფერი შეედრება.

***

სიყვარულით გარემოსილი, ლალი და მიმზიდველი ლიზა ბაგრატიონი არ ჩქარობს პირადი ცხოვრება აიწყოს, კმაყოფილია ბედით, სულაც არ ნანობს ღირსეული ოჯახის – ლეონიძეების ყოფილ რძლობას. რაღაცაზე იქნებ გულიც ტკივა, არ გვიმხელს, თუმცა მოჭარბებულად გულახდილია, ნამდვილი თანამედროვე ქალია. მოკრძალებით, დამახასიათებელი ღიმილით მთხოვა, ლიზიკო არ დაწეროთ, არ მიყვარს. დიდი ბებიის სახელი – ლიზა ბაგრატიონი მქვიაო.

ნამდვილად კარგად ჟღერს!

**ნანული ბუკია**



# მესამე ათასწლეულის მხატვარი

რუსუდან ფეტვიაშვილის სამშობლოში ხატვის ნიჭით დღეს ალბათ ძნელად თუ გააკვირვებ ვინმეს, მაგრამ როცა ნორჩი შემოქმედის, 12 წლის ავთანდილ გახოკიძის ნამუშევრებს ეცნობი, არ შეიძლება უნებლიეთ არ წამოგცდეს ღვთისადმი სამადლობელი.

ავთანდილი სამტრედიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმის V I I კლასის მოსწავლეა. სამი წლიდან ხატავს. მნახველის დიდ მოწონებას იმსახურებს ფანქრითა და ფუნჯით შესრულებულ მის ნამუშევართა მრავალფეროვანი თემატიკა: პეიზაჟები და ნატურმოტები, პორტრეტები და თიხაში გამოძერწილი ფიგურები. ნიჭიერი ბიჭუნა ამჟამად გატაცებულია მითოლოგიური თემებით, მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებაზე. ავთოს პირველი პერსონალური გამოფენა 8 წლის ასაკში, 1995 წელს სამტრედიის სახვითი ხელოვნების გალერეაში შედგა. ამავე წელს ნორჩი მხატვარი ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეაში მოწყობილ საერთაშორისო კონკურსში „ჩემი საფრენი აპარატი“ და გამოფენაში „ბუნება და ძეგლი“ მონაწილეობდა, ხოლო მომდევნო წელს, ქუთაისში დავით აღმაშენებლის სახელობის მოედანზე მოწყობილ ცარცით ხატვის ბავშვთა კონკურსში გაიმარჯვა.

შარშან ავთომ სამტრედიის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში ოთხმოცი ფერწერული ტილო გამოფინა, რომლებიც კომპოზიციისა და ფერის განსაკუთრებული გრძნობით, უშუალობით, ფორმის პლასტიკის გადმოცემისა და პერსონაჟთა ხასიათების გახსნის უნარით, მხატვრული პალიტრის მრავალფეროვნებითა და უშრეტი ფანტაზიით გამოირჩეოდა.

წლეულს ქუთაისის ბავშვთა სურათების გალერეაში მოწყობილ I სამხარეო გამოფენაზე წარმოდგენილმა ნორჩი მხატვრის ნამუშევრებმა – მწვანედ მოხასხასე მდელოებმა, კუდბათქუნა მელიებმა და ლამაზმა ვეფხვებმა, კოხტად ყელმოღერებულმა ირმებმა და ფაფარაშლილმა ლომებმა, საოცრად დახვეწილმა „სამმა გრაციამ, „პიანისტმა ქალმა“, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მნახველზე. აი, როგორ შეაფასეს ნიჭიერი ბიჭუნას შემოქმედება ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულეებმა:

„... ავთო უნიკალური „კომპოზიტორია“. მისი ურთულესი კომპოზიცია – სიუჟეტები, კლასიკურ ლაკონურობასთან ერთად შესანიშნავი ხატოვან-სახოვანებით გამოირჩევა... ჭეშმარიტად დიდი ტალანტის დიდად განათლების ბავშვია... ძვირფასია მისი სამხატვრო ძიებანი, დამაჯერებელია მისი პროფესიული მისწრაფებანი. ამ ძიებებსა და ნიჭს მოფრთხილება უნდა“.

**გია ბულაძე**

... ხატვის უზომო სიყვარული, კომპოზიციისა და ფერის გრძნობა, ფორმის პლასტიკის გადმოცემისა და პერსონაჟთა ხასიათების გახსნის დიდი უნარი საინტერესოს ხდის მის მრავალფეროვან პალიტრას“...

საქართველოს დამსახურებული მხატვარი – **ლეონარდო შენგელია**

„...საქმე გვაქვს ჭეშმარიტად თვითმყობად ნიჭთან. ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე იშვიათად შევხვედრივარ ასეთ ნიჭიერსა და საოცარი შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდას“.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი – **მ. ახობაძე**

„... შენ ახალი ათასწლეულის, ახალი საუკუნის მომავალი ადამიანი და შემოქმედი ხარ... მეამაყება, მწამს და მჯერა შენი...“

იმერეთის გუბერნატორი – **თეიმურაზ შაშიაშვილი**

ნორჩ შემოქმედს, რომელსაც ფერწერასთან ერთად განსაკუთრებით იზიდავს ისტორია, პოეზია და ქართული საგალობლები, სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს. მათგან უახლოესი – პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობაა.

წარმატებები ვუსურვოთ და გზა დავულოცოთ ნორჩ მხატვარს, რომლის ნიჭი სრულად მესამე ათასწლეულში უნდა გაიფურჩქნოს!

**მანანა იმესაშვილი**

**ავთანდილ გახოკიძის ნამუშევრების რეპროდუქციები იხილეთ გარეკანის IV გვ-ზე**

ნიჭსა – გზა ფართო



# შენი რაშები

*მწერალი ციალა არდაშელია დიდი ხანია მუშაობს მითოლოგიურ თემებზე. პიესა „შენი რაშები ჭიხვინებენ, აქილევს!“ ამორძალთა დედოფლის პენთესილეას (ცისიას) და აქილევსის ურთიერთობის მითოსურ ამბებზეა აგებული.*

*ამორძალთა დედოფალი, რომელიც პელაზგი ტროელების მხარეზე იბრძვის და თავადაც პელაზგია, ორთაბრძოლაში იწვევს უძლეველ აქილევსს. აქილევსიც წარმოშობით პელაზგია, მაგრამ ბერძენთა მოკავშირე გახლავთ. ორთაბრძოლაში აქილევსი კლავს ამორძალთა დედოფალს, მაგრამ მასში დიდი სულიერი ძვრები ხდება. ამ კათარზისის შემდეგ იგი უკვე აღარ არის უწინდელი აქილევსი.*

*პიესა სრულად გამოქვეყნდება კრებულში „დრამატურგია“.*

*ვბეჭდავთ ნაწყვეტს პიესის პირველი მოქმედებიდან.*

*ტროაში მებრძოლი ამორძალების მეთაურებს და იათნანიდან ჩამოსულ დეიდას, დედოფალ მზეონას თავის გულისნადებს უმხელს ამორძალთა ლაშქრის წინამძღოლი, დედოფალი ცისია, ანუ იგივე პენთესილეა. ტროას მეფის ასული, მისანი კასანდრა ცდილობს, ჩაუშალოს დედოფალ ცისიას განზრახული.*

Dედოფალი ცისია – მაშ ასე, ჩემო თანამებრძოლნო, ძვირფასო დობილებო და შენ, საყვარელო დეიდავ და გამზრდელო უდედურს დედის მაგიერობა რომ გამიწიე – უნდა გაუწყოთ განზრახვა ჩემი:მე-იათნანის დედოფალი ორთაბრძოლაში ვიწვევ აქილევს – ჰექტორის მკვლელს და ილიონელთა მოსისხლე მტერ, აქილევსს, მირმიდონელთა უფლისწულს და დანაელთა მოკავშირეს: დე, იარაღმა გადაწყვიტოს ჩვენი ბედი თუ უბედობა ამ ცისქვეშეთში! (ყველანი წამოცვივდებიან):

– აქილევსსო!? აქილევს უნდა შეებრძოლო, დედოფალო?

დედოფალი მზეონა: (შეძრწუნებული) –ყურმა ხომ არ მომატყუა, შვილო ცისია! ხომ არ მომესმა- ვის ვიწვევო, შემოგევლე? რა ბრძანე დია?

დედოფალი ცისია: (მშვიდად) – აქილევსს ვიწვევ ორთაბრძოლაში! გასაგებად ვთქვი მგონია. (სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. სახეზე ყველას გაოგნება ახატია. დედოფალი მზეონა თავზარდაცემული დგას. ამ დროს კარვის კალთას შემოგლეჯს კასანდრა და კივილით მივარდება ცისიას):

კასანდრა: – არ გაბედო, არ გაბედო, დედოფალო!

დედოფალი ცისია: – კასანდრავ?! მეფის ასულო?

კასანდრა – არ გაბედო-მეთქი, ცისია! (ტირილით ჩაეხვევა) – გესმის? ხელი აიღე განზრახულზე! გულშიც არ გაივლო მსგავსი რამე!.. შენ ხომ გჯერა, შენ ხომ მაინც გჯერა ჩემი? (გულამოსკვნით ქვითინებს და ეხვევა ცისიას, წამიერი დაბნეულობა გაუვლის):

დედოფალი ცისია: – კასანდრავ, გთხოვ დამშვიდდე! მეფის ასულს სავარძელი მოართვით ჩქარა! წყალიც! ცოტა მოსვი, გეთაყვა, გული დაიწყნარე. დაშოშმინდი!..

კასანდრა: – ჯერ მომისმინე!.. მერე იქნებ დავწყნარდე კიდეც!.. წინასწარ გეტყვი: უკვე ყველაფერი ვიცი, რაიც გაგიზრახავს. ვაიმე, ნეტამც არ ვიცოდე!

დედოფალი ცისია: – მეფის ასულო, რას მეზრახები?

კასანდრა: – იცი რასაც გეზრახები!.. აქილევსთან შენი ჩხუბი არამცდაარამც არ ეგების! ეგ სიშლეგეა! უგუნურობაა! სხვა არაფერი!

დედოფალი ცისია: (განცვიფრებული) – შენ... საიდან სცანი კასანდრავ, განზრახვა ჩემი?

კასანდრა: – დიახ, ჩემო დედოფალო! ამოვიცანი შენი გულისთქმა, თუმცა კი არვის აღარ სჯერა ჩემი მისნობის, მაგრამ უნდა დამიჯერო!.. შენთან პირისპირ მსურს საუბარი (ასისთავები წამოიშლებიან, გასასვლელისაკენ გასწევენ).

დედოფალი ცისია: – დეი, შენ დარჩი! (კასანდრას) დეიდაჩემთან არაფერი მაქვს დასამალი (ცისია, მზეონა და კასანდრა მარტონი რჩებიან).

კასანდრა: – რაკილა ხედავ, რომ ამოვიცან შენი განზრახვა, რჩევაც უნდა დამიჯერო...

დედოფალი მზეონა: (აწყვეტინებს) – სწორედ ახლა, შენს მოსვლამდე გაგვიმჟღავნა სურვილი თვისი. თავზარი დაგვცა ამ ამბავმა. კასანდრავ, შვილო, ეგების შენ დაგიჯეროს და როგორმე ხელი აიღოს შლეგურ ზრახვებზე! (მზეონას ტირილი აუვარდება).

კასანდრა: – ცისიავ, თუ გესმის ვის, ვის უნდა შეებრძოლო? იმ მხეცს და ნადირს? სისხლით უძღებ კაციჭამიას? ვის წინაშეც ძრწოდა ჰექტორიც, უშიშარი, ლომგული გმირი? ხომ იცი, რომ განწირულია განზრახვა შენი? განა არ იცი, რომ ველარა ძლევ მხეცს, დედოფალო?.. მე ღმერთების ჩაგონებით, დედა-ღვთაება ნანას სურვილით, ამ ორთაბრძოლას მტკიცედ გიკრძალავ!

დედოფალი ცისია (ფიქრიანად) – მაშ, დია-ღმერთის სურვილია, არ შევერკინო მირმიდონელს?

კასანდრა: – არა-მეთქი, დედოფალო!.. უაზრობაა, თვითმკვლელობაა სურვილი შენი! ცის ბინადარნი, დიდი ნანა-უზენაესი ჩვენი ღვთაება, გიკრძალავენ ამ ორთაბრძოლას!

დედოფალი ცისია: – მაშ, ვით მოვიქცე?.. შენ რას მირჩევ?

კასანდრა – საჩქაროდ უნდა გაეცალო აქაურობას. თან წაიყვანე ლაშქარი შენი და დაბრუნდი იათნანაზე. დიდხანს იცოცხლებ,სვებედნიერო. ოჰ, ცისია, დამიჯერე, გემუდარები!

დედოფალი მზეონა: – შვილო ცისია, ქურუმთუხუცესმა შოუმაც ხომ ეს დამაბარა, იათნანიდან რომ მოვდიოდი – ცისია უნდა დაბრუნდესო დაუყოვნებლად იათნანაში! ოჰ, დია-ღმერთო! შენი ნებაც ხომ ასეთია!

## ანონიმური შეკითხვები

**– შეიძლება თუ არა სტრესი ვაგინალური ინფექციის მიზეზად იქცეს?**

– დიახ, ყოველ შემთხვევაში სტრესულ სიტუაციაში ხშირად ვითარდება ინფექცია, რადგან ქალის ორგანიზმი ამ დროს დასუსტებულია. ამის მიზეზი შეიძლება დაუბალანსებელი კვებაც გახდეს. დიდი ოდენობით შაქრის შემცველი საკვები ცვლის საშოს ქიმიურ შემადგენლობას. რა თქმა უნდა, ინფექცია შეიძლება პარტნიორისგანაც გადაედოს, რადგან საყვარელი, რა გინდ წრფელი გინდა იყოს, ინფექციისაგან ვერ დაგიცავს. მედიკოსები გვარწმუნებენ, რომ სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა რიცხვი მატულობს.

**– რა უნდა ვქნა იმისათვის, რომ ქმარი ინტიმური სიახლოვის შემდეგ მაშინვე ძილს არ მიეცეს. არა და, რამდენი მაქვს სათქმელი...**

– სამწუხაროდ, მამაკაცები თავიანთ ბიოლოგიურ ბუნებას ემორჩილებიან. სისხლი, რომელიც ამ დროს სხეულის ქვედა ნაწილში დაგროვდა, კვლავ გადანაწილდება მთელ სხეულში და კუნთები დუნდება. გარდა ამისა, ტვინი „სიამოვნების ჰორმონს“ – სეროტონინს გამოჰყოფს, რომელიც საძილე წამალივით მოქმედებს. ასე რომ, ძალიან ნუ გაჯავრდებით ჩაძინებულ ქმარზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭიხვინებენ, აქილევს!

დედოფალი ცისია: – (კასანდრას მიმართავს, თითქოს დეიდის სიტყვები არც გაუგონია) – შესაძლოა, მართლაც ასე უპრიანია, შესაძლოა, ასე სჯობდეს! მაგრამ... ხომ შეიძლება, ღვთაების ნებით, ვძლიო აქილევსს?.. შური ვიძიო ჩემი ძვირფასი მეგობრის გამო?

კასანდრა: – (ლამის კივილით) – ჰექტორი მოკვდა! ჰექტორს ვეღარაფერს ველარ უშველი! არც ტროას ეშველება შენი სიკვდილით!... გევედრები, გემუდარები, გონს მოეგე!

დედოფალი მზეონა: – შვილო ცისია, ერთი წამითაც ვით გაივლე გუნებაში რომ მოერევი მას ვინც შიშის ზარს სცემს ირგვლივ ყველას და ყოველივეს! შვილო კასანდრა მართალს ამბობს,: – მსგავსი უაზრო თავგანწირვა არ შეიძლება სწადდეს ღმერთებს!.. გემუდარები, ნუ დააობლებ შენიანებს. ნუ ჩაიდენ, ბრიყვულ საქციელს!..

დედოფალი ცისია: – ჩემო ძვირფასო, ამაზე დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე: აქილევს უეჭველად უნდა შევება! ან ის, ან მე უნდა დავრჩეთ ამ ცის ქვეშეთში! მშვენიერო ჩემო კასანდრავ, და შენც საყვარელო, ნულარ ვიუბნებთ ანი ამაზე!

დედოფალი მზეონა: – ეს სიჯიუტე ამდაგვარი რას ნიშნავს, შვილო? რის მაქნისია ეს უაზრო თვითშეწირვა?

დედოფალი ცისია: – დეიდავ ჩემო, საყვარელო, თვითშეწირვა უაზრობა არასოდეს იქნება! რამეთუ მას გულის კარნახით სჩადიან და არა ვინმეს დავალებით. და კიდევ, აზრი ყოველთვის აქვს სიმართლის ქომაგობას, მისთვის თავის გამოდებას...

დედოფალი მზეონა: – მერედა, ვისთან, ვისთან ცდილობ სიმართლის დაცვას? იმ ურჩხულთან?

დედოფალი ცისია: – მე ჩემი უნდა აღვასრულო – დანარჩენი ღვთაებამ ჩვენმა უკეთ იცის, იმან განსაჯოს!

დედოფალი მზეონა: – თუკი სწორედ ღვთაების სურვილს ეურჩები? ნუთუ მაცილმა გონება ისე დაგიბნელა, რომ ველარ არჩევ-რა სჯობს შენთვის შენი ქვეყნისათვის, ბოლოსდაბოლოს?

დედოფალი ცისია:– აქილევსმა არც მიიღოს ეგებ ჩემი გამოწვევა? მაშ, წინასწარ რისთვის ვტეხთ განგაშს?

კასანდრა: – ჩემო ძვირფასო მეგობარო/ უზენაესმა ღვთაებამ ჩვენმა კარგად უწყის როგორ მიყვარს მრავალტანჯული ჩემი ტროა, თვისტომნი ჩემნი, ჩემი ძმები, ის ბედოვლათი, ქარაფშუტა პარისიც კი, დები, მშობლები! უზომოდ მიყვარს ილიონის უბრალო ქვაც კი. მისი მცენარე, თითოეული ფოლორცი, შუკა, ხევი, ბორცვი, სახლი, სასახლე, თითოეული ილიონელი, ვაჟკაცურად რომ ერკინება ამ სასტიკ ურდოს გადამთიელთა და ვაჟკაცურად იღუპებიან: მიყვარს და ეს გრძნობა გრძელ ღამეებს მათევინებს, გული მიკვნესის, სული წრიალებს: არ მსურს მოისპოს ჩემი ტროას სახსენებელი! მოისპოს ჩემი ჭირთამთმენი, ამაყი ხალხი, სტუმართმოყვარე, მოლხინარი მამაცი ერი! (გაჩუმდება ცრემლმორეული). მაგრამ... შენ რისთვის უნდა შეეწირო ბედკრულ ტროას? ჰექტორის სისხლი შენ კი არა, უნდა მართებდეს ყოველ ტროელს, უწინარესად ჩემს ძამიას, „სახელოვან" ალექსანდროს ანუ პარისს!..

დედოფალი ცისია: – კარგად მესმის შენი გულისთქმა, მეფის ასულო! მეც სიყვარულმა ჩამომიყვანა აქ, თქვენს მხარეში! და ამიტომაც... (კასანდრა აწყვეტინებს)

კასანდრა: – ვუწყი მშვენიერო დედოფალო, რომ გიყვარს აქაურობა ტკივილებამდე, შენი ბავშვობაც ხომ მეტწილად აქ გაატარე! შენთვისაც, მშობლიურია, ეს ყველაფერი და მაინც... ცოდვისშვილები ვართ ყველანი. თითოეული ჩვენგანი მამა-პაპათა ცოდო-ბრალს ზიდავს თავის ზურგით, მერმე ვუმატებთ ჩვენსას გულუხვად და აგრერიგად დამძიმებულნი შევჩივით მერმე ცას და ქვეყანას. გვიკვირს და დიდად გაგკვირვებია ღმერთების რისხვა და გულისწყრომა ულმობელი! პაპაჩემის სიხარბემ და სისასტიკემ აკი მრავალი ილიონელი შეიწირა! ახლა პარისის ბედოვლათობა, ქარაფშუტობა გამხდარა მტერთა შემოსევის წყარო-საბაბი. უგუნურებამ და უკეთურობამ ჩემი ძმისამ რამდენ ვაჟკაცს დაუბნელა მზე. თუ შური ვინმემ უნდა იძიოს, უწინარესად იმ ვაჟბატონმა! პირველობას რაკი ჩემულობს, დროა იკმაროს სხვათა სიცოცხლის ჩალად ჩაგდება!

დედოფალი მზეონა: – დიდო ნანავ! პირველობა სურს ნუთუ პარისს?

კასანდრა: დიახ, დიახ. მაგ ბედშავს ასე მიაჩნია, ძალაუფლება მას დარჩება ილიონში!

კასანდრა ტრანსში ვარდება. კასანდრა გულწასული ეცემა ძირს. მას მივარდებიან მზეონა და ცისია. წყალს ასხურებენ, მოასულიერებენ. ცისია ჯამით აწვდის წყალს: კასანდრა ყლუპ-ყლუპით სვამს და თან ბუტბუტებს: მხოლოდ მცირე... მხოლოდ მცირე ნაწილი თუ გადარჩება, ვაგლახ, ვაიმე!

დუმილი ჩამოვარდება ერთ ხანს: კასანდრა თავს აწევს, ვედრებით შეხედავს ცისიას:

კასანდრა: ჩემო ძვირფასო მეგობარო!.. ღმერთების რისხვა გარდუვალია ტროას თავზე! (ყრუდ აქვითინდება) ცისია და მზეონა ეფერებიან, აწყნარებენ. შემდეგ ცისია ტაშს შემოჰკრავს. შემოდის მოახლე.

დედოფალი ცისია: – ბაია! მიხმე ახლავე მოკონას!

(კასანდრა ტირილს შეწყვეტს, შეშფოთებით და მოლოდინით შეაცქერდება დედოფალს, ხანაც სახეგაქვავებულ მზეონაზე გადააქვს მზერა. მზეონა დაძაბული მოლოდინით უყურებს დისწულს. შემოდის ამორძალი მოკონა).

მოკონა: – მიხმე დედოფალო?

დედოფალი ცისია: – ჰო, დაგიძახე! დაუყოვნებლივ გასწევ ბანაკში მირმიდონელთა! აქილევსს, მათ ბელადს ეახლები და გადასცემ ჩემს დანაბარებს: რომ დედოფალი იათნანისა ამორძალი პენთესილეა – (შავი სამოსის გამო ასე მიხმობენ თურმე დანაელნი) ვიწვევ ბრძოლაში გმირ აქილევსს, გამთენიისას, დიდ მუხასთან, სკაიას ბჭესთან!

თუ არ ინება მობრძანება, ჩავთვლი, რომ მშიშარაა კურდღელივით. გასწი ახლავე! ნუ დაყოვნდები!

(კასანდრა და მზეონას თავზარდამცემი შიში და სასოწარკვეთილება აღბეჭდვიათ სახეებზე).

დედოფალი ცისია: – ჩემო ძვირფასნო, ნუ შეძრწუნდებით! სხვანაირად ვერ მოვიქცევი! ასე მკარნახობს გული ჩემი, აზრი, გონება!.. ბედისწერის განაჩენი ვერ შემაკრთობს! სიკვდილის შიშით ხელს არ ავიღებ განზრახულზე. ვერა-მეთქი! რამეთუ გრძნობა ღირსებისა და მოვალეობის არყოფნაზე უფრო მაღლა დგას! იგი უფრო ფასეულია და სიცოცხლეზე მეტად მიღირს, მეძვირფასება!

**ციალა არდაშელია**

*სიყვარულის თანამამრავლები*

## გულახდილ საუბარს დროის შერჩევა უნდა

სიტყვა – ვერცხლია, დუმილი – ოქრო. ეს შეგონება ქალს კარგად უნდა ახსოვდეს. განსაკუთრებით მაშინ, როცა თავის პარტნიორთან გულახდილ საუბარს აპირებს ურთიერთობაში გაჩენილ პრობლემებზე. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მომენტის ოპტიმალურად შერჩევას. რა დასამალია და, ზოგ ქალს „ავი ნიჭი" აქვს იმ დროს წამოიწყოს პრობლემური საუბარი, როცა ქმარი მშიერია და საჭმლის გარდა არაფერზე შეუძლია ფიქრი, ან ფეხბურთზე მიდის მეგობრებთან ერთად, ან მყუდროდ მოკალათდა ტორშერთან გაზეთის წასაკითხად ანუ სწორედ მაშინ, როცა მამაკაცი თავისი პირადი თავისუფლების რეალიზაციას აპირებს.

მოთმინებით დაელოდეთ მომენტს, როცა ქმარი თქვენთან საუბრისათვის განეწყობა, გაიხსნება. მხოლოდ ამის შემდეგ წამოიწყეთ საუბარი და ნელ-ნელა გადადით იმაზე, რაც გაღელვებთ. თუ ამ წესებს არ დაიცავთ, ბუზღუნა და თავის მომაბეზრებელ ცოლად ჩაგთვლიან და მართალიც იქნებიან.



**მამაკაცის დამოკიდებულება სექსთან**

თავისი ცხოვრების ყოველ ათ წელიწადში მამაკაცს სექსთან დამოკიდებულება ეცვლება. პირველ ფაზაში 15-დან 30 წლამდე მამაკაცი გვაგონებს ავტორალი „ფორმულა 1"-ის მრბოლელს, როცა იგი გაზზე მეტად და მეტად აჭერს ფეხს და სიჩქარეს უმატებს. ამ პერიოდში ისინი ძალზე დაკავებულნი არიან თავის თავით და მაინც და მაინც დიდი ყურადღებას ვერ აქცევენ პარტნიორს. თუ კაცი 30-40 წლისაა, ქალი უნდა გადაეწყოს „მშიერ დიეტაზე", რადგან თავის ენერგიას მამაკაცი სამუშაოს, უკეთეს შემთხვევაში შვილების აღზრდას ახარჯავს. ქალი მოთმინებით უნდა აღიჭურვოს.

40 წლის შემდეგ მამაკაცს უვითარდება ერთგულებისა და თანაგრძნობის უნარი, რადგან ტესტოსტენორის დონე ყოველდღიურად 1 პროცენტით იკლებს, ის ნაკლებ დამოკიდებული ხდება თავის გრძნობებზე, მეტი ყურადღებით ეკიდება შეგრძნებებს, სიამოვნებას განიცდის საინტერესო საუბრისაგან, ნაზი ალერსისაგან, ერთად დროის ტარებისაგან, რომელშიც აუცილებლობით არ მოიაზრება სექსი.

ჟურნალი „ლიზა", 1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი დიდი სესილია

სესილია თაყაიშვილი ყველასათვის მახლობელი და საყვარელი ადამიანი, შემკული იყო მაღალი სულიერებითა და ნიჭიერებით. ამ თავისთავადი და განუმეორებელი მსახიობისათვის ამპლუა არ არსებობდა: იგი გასაოცარი სრულყოფილებით თამაშობდა როგორც სახასიათო-კომიკურ, ისევე ტრაგიკულ როლებს.

ამის ჭეშმარიტი დასტურია კინოფილმი და სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". ოლღა ბებიას სახე დაამშვენებდა ნებისმიერი ქვეყნის სცენასა თუ ეკრანს, ასევე – გოროზი დედოფალი ელისაბედი შექსპირის „მარიამ სტიუარტში", ძიძა „რომეო და ჯულიეტაში", გოგლა ლეონიძის მოთხრობების მიხედვით შექმნილი ფილმი „ნატვრის ხე". ჩვენი დროის უდიდესი რეჟისორის თენგიზ აბულაძის ეს ფილმი არის ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი გვირგვინი. აქაც ბებიას ტრაგიკული და განუმეორებელი სახე შექმნა ქალბატონმა სესილიამ. სახე მოხუცისა, რომელიც უძლურია წინ აღუდგეს შეუგნებელ, გამძვინვარებულ ბრბოს, ასე სასტიკად რომ მოექცა მის შვილიშვილს, სიწმინდითა და სისპეტაკით აღვსილ ულამაზეს გოგონას, რომელსაც ლია ქავჟარაძე ასრულებს. რა სრულყოფილია აქ დიდი სესილია, რა სულის შემძვრელია, რა შემზარავია მისი უსიტყვო ტრაგედია, აყვანილი განუმეორებელ სიმაღლემდე. ამის შემდეგ კი ის საოცარი ქალი ასინეთა ფილმიდან „დათა თუთაშხია", ან მისი უკანასკნელი ნამუშევარი ელდარ შენგელაიას ფილმში „ცისფერი მთები"... გამოიყენა კი სრულად ეს უდიდესი ნიჭიერება ქართულმა კინოხელოვნებამ? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ მაინც რამდენი საინტერესო სახე შექმნა ამ დიდმა ქალბატონმა, რამდენი განსხვავებული ხასიათი, მან ღირსეულად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე, სამშობლო კი მის წინაშე ვალში დარჩა. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.



ბევრმა არ იცის, როგორი იყო ქალბატონი სესილია ცხოვრებაში. ამიტომ მინდა ცოტა რამ მოგითხროთ მის მშვენიერ ადამიანურ თვისებებზე, რაც არანაკლებ საინტერესო იქნება ჩემი ახალგაზრდა კოლეგებისათვის და, რაც მთავარია, მკითხველისათვის.

სრულიად ახალგაზრდა სესილია და ბატონი ვასო გოძიაშვილი შეუღლებულან. გენიალურ მსახიობებს შეეძინათ ვაჟი დავით გოძიაშვილი. მან სპეციალობად გეოლოგობა აირჩია და არა მსახიობობა. მსახიობების შვილებს თეატრი ანდამატურად იზიდავს, მაგრამ დათომ თავს „უშველა" – არ გაება თეატრის სიყვარულის მახეში. ასე იყო თუ ისე, ოჯახი დაიშალა და სრულიად ახალგაზრდა ქალი პატარა ბიჭით მარტო დარჩა. დაიწყო მატერიალური თვალსაზრისით მძიმე, მაგრამ შემოქმედებითად საინტერესო ცხოვრება ქალისა, რომელიც იყო არა მარტო დიდი მსახიობი – არამედ თავდადებული დედაც. ბატონმა ვასომ და ქალბატონმა სესილიამ კარგად იცოდნენ ერთმანეთის ფასი და უდიდეს პატივს სცემდნენ ერთმანეთის ნიჭს, მაგრამ, სავალალოდ, ერთად ცხოვრება არ გამოუვიდათ.მსახიობები ცოტა ჯიუტები ვართ და ორი საოცრად დიდი მსახიობი ერთად ძნელი შესათავსებელია. ასე მიდიოდა ქალბატონი სესილიას ცხოვრება – ეკონომიკურად დუხჭირი, შემოქმედებითად კი თეატრალური გამარჯვებებით აღსავსე. მოუსვენარი, მშფოთვარე, დიდი ენერგიით დამუხტული სულ ახლის ძიებაში იყო – რა კარგი როლიც უნდა მიეღო, უკმაყოფილოდ იტყოდა: „რა არის ეს, ვერაფერი გავიგე, აქ არაფერია სათამაშო"! მართალიც იყო – ის არასოდეს თამაშობდა, იგი ცხოვრობდა!

ერთხელაც ასე წამოიწყო რეპეტიციაზე. ბატონ შალვა ღამბაშიძეს სიცილი აუტყდა – არ დაუჯეროთ მაგას, ასე იყო წინა სპექტაკლზე, ყველას გაგვიფუჭა ხასიათი, გულით ველარ ვიმუშავეთ, პრემიერაზე კი ყველას გვაჯობა. ამას ძალით გვიკეთებს, ჩვენი ჩაფლავება უნდაო.

ყველანი გულიანად იცინოდნენ. მან მართლაც აჯობა ყველას...

ყველა სპექტაკლში ყოველთვის გამორჩეული ბრძანდებოდა. საოცრად კეთილი, ამავე დროს ამაყიც, ის გრძნობდა იმ დიდ სიყვარულს, რასაც მაყურებელი მის მიმართ იჩენდა.

თეატრში ახალი მისული ვიყავი. მარჯანიშვილის გარდაცვალების დღისათვის უნდა აღედგინათ გუცკოვის „ურიელ აკოსტა". ქალბატონი ვერიკო საზღვარგარეთ გადაღებებზე ბრძანდებოდა. დამიძახეს იუდითის როლის შესასრულებლად. დრო ძალზე ცოტა იყო – სულ შვიდი დღე. წარმოუდგენლად ვღელავდი. დაიწყო წარმოდგენა. ჩაიარა პირველმა სურათმა. მეორე სურათს ვიწყებ მე. ვზივარ სცენაზე (კიბეებზე). ისმის მუსიკა. აი, უნდა გაიხსნას ფარდა. ვკანკალებ, აღარ მახსოვს არც ერთი სიტყვა, თითქოს ტვინზე რაღაც გადამეფარა. საშინელ ბინდში მიდის მუსიკა. ახლოვდება ჩემი მუსიკალური ფრაზა... კიდევ ერთი წამიც და წამოვვარდები, გავიქცევი სცენიდან. ეს რომ მომსვლოდა, ალბათ, აღარასოდეს შევდგამდი ფეხს სცენაზე. და აი, საოცრება – მესმის ოდნავ ჩახლეჩილი ხმით მშვიდი კარნახი: „ცხოვრების სიბრძნე... ცხოვრების სიბრძნე მიუწვდომელი თილისმა არის" – ჩემი პირველი ფრაზა. რა იყო ეს ღმერთო! ქალბატონი სესილია მკარნახობდა! დავიწყე და... ისე დამთავრდა წარმოდგენა, არაფერი შემშლია – არც ტექსტი, არც მიზანსცენა. გამოვედი კულისებში, ქალბატონი სესილია სკამზე იჯდა. თურმე მთელი სპექტაკლის მანძილზე ფეხი არ მოუცვლია. ჩავეხუტე და ავტირდი. არ მახსოვს, რას ვბურტყუნებდი. მახსოვს მხოლოდ ჩემი შეკითხვა – როგორ მიხვდით, რომ შეიძლებოდა ასეთი რამ მომსვლოდა-მეთქი. გაეცინა, მომეფერა – შე დურაკო (ძალიან უყვარდა ასეთი მიმართვა სიყვარულით), მე მსახიობი ვარ და ვიცი, რა საშინელებაა სცენაზე პირველი როლის თამაში და ისიც – ასეთი როლის. კარგი გოგო ხარ, კარგი მონაცემები გაქვს. იცოდე მსახიობმა რამეს რომ მიაღწიო, უმძიმესი შრომაა საჭირო!

ასეთი კეთილშობილება მხოლოდ გამორჩეული ადამიანების თვისებაა. შეიძლება იყო ნიჭიერი, დიდი მსახიობი, მაგრამ გაკლდეს ის, რაც ცხოვრებაში მთავარია – ადამიანების სიყვარული და მათი დახმარების სურვილი.

საოცარი მეგობრობა იცოდა. შეეძლო პირში თქმა, თუ რაიმე არ მოეწონებოდა, დაგვტუქსავდა, მაგრამ ბავშვივით აყოლაც შეეძლო. – ეს რა ლამაზი კომბინე გაცვიათ! – უთხრეს გოგონებმა ერთ- ერთი სპექტაკლის წინ, როცა ტანსაცმელს იცვლიდა.

– სპექტაკლის შემდეგ პაემანზე მივდივარ! – განსაკუთრებული სერიოზულობით გვიპასუხა.

ყველას გულიანად გაგვეცინა.

– რა გაცინებთ, თქვე დურაკებო, კი არ დავბერებულვარ. თვითონ ჩემმა თაყვანისმცემელმა მომართვა ეს პერანგი. ამაზე კიდევ უფრო გავმხიარულდით, გულიანად ვხარხარებდით, რადგან ყველამ ვიცოდით, რა უმაღლესი მორალის ქალი ბრძანდებოდა. მისთვის დათო სალოცავი ხატი იყო და მისი სიყვარულის მოზიარედ არავის გახდიდა.

ძალიან უყვარდა რძალი, დათოს მეუღლე ნელი და მათი ორი გოგონა. იყო პერიოდი როცა დათო სერიოზულად ავადმყოფობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. მოსკოვში მკურნალობდა. ჩემი ძმა მაშინ იქ მუშაობდა, ყველაფერზე იზრუნა, დაეხმარა. რომ იცოდეთ, რანაირი მადლიერი იყო! წერილის მიწერა მინდა, მისამართი მომეციო.

ერთხელ მოსკოვში ვიყავით გასტროლებზე. თავისუფალი დღე გვქონდა. – დოდოშკა, შენ მოსკოვი კარგად იცი, გამომყევი, ბავშვებისათვის და ნელისათვის რაღაცეები მინდა ვიყიდო. გორკის ქუჩაზე ინგლისელები თუ ამერიკელები აგვეკიდნენ, სადაც შევედით ყველგან შემოგვყვნენ. თარჯიმანი ახლდათ. ქალბატონმა სესილიამ მითხრა, არ გაბედო, რუსულად არ დაელაპარაკოო. მივხვდი, მათი გათამაშება მოინდომა. ერთ-ერთ მაღაზიაში თარჯიმანი აიძულეს ეკითხა ჩვენთვის, თუ ვინა ვართ. ჩვენ, რასაკვირველია გაოცებულები ვუყურებთ, ვითომ არ გვესმის, რას გვეკითხებიან... ბოლოს თარჯიმანი მიხვდა, რომ რუსული არ გვესმის. უნდოდა ამოეცნო, თუ ვინ ვიყავით: „ესპანიოლ", „ფრენჩ", „დოჩ"... ჩვენ უფრო დავჭყიტეთ თვალები. რომ ვერაფერი გაგვაგებინეს, ერთმა მათგანმა ჩაიქნია ხელი და წავიდნენ. ალბათ იფიქრეს, ვინ არიან ეს უპატრონოები, რომ არც ერთ ენაზე არაფერი ესმითო, – თქვა სესილიამ სიცილით.

21739

სასტუმროში რომ დავბრუნდით, ქალბატონი ვერიკო გვეკითხება – სად დაიკარგეთ, მე შენ გეტყვი, დიდი ფულიანი ხალხი ხართ, რას ყიდულობდით ამდენსო?

ქალბატონმა სესილიამ საოცარი პოზა მიიღო და უპასუხა:

– გადავრიე მთელი მოსკოვი, უცხოელები და აქაურებიც უკან მომდევდნენ, ვინ არის ეს „რიჟა კრასავიცაო"? – თან კვდებოდა სიცილით.

ბოლო დროს ძალიან დაღლილი ჩანდა. თეატრში თითქმის აღარ დადიოდა. უკანასკნელ წლებში მეტისმეტად აქტიურად მუშაობდა კინოში და ძალიან გადაიქანცა. მხარში ედგა შვილს. ოჯახის ბურჯი ისევ სესილია იყო.

როცა ავად გახდა, ავედი სანახავად. ვთხოვე კონსულტაცია და რჩევა მოეცა ერთი როლის ირგვლივ, რაზეც იმხანად ვმუშაობდი. რამდენიმე რეპეტიცია გამატარა და ძალზე კმაყოფილმა მითხრა: – შენ ამ როლში უფრო ძლიერი იქნები, ვიდრე ჯარისკაცის ქვრივში იყავი... შემდეგ, როცა შევჩივლე, უარი მითხრეს სპექტაკლში შეყვანაზე-მეთქი, სასტიკად გაცხარდა: აი, ამიტომ აღარ მინდა თეატრი, გამოხედვაც აღარ მინდა იქითო...

მაგრამ თეატრი მაინც მისი სიცოცხლე იყო – დათო და თეატრი.

დაიღალა ყოველგვარი ფიქრით და შრომით ეს უდიდესი ენერგიის ქალი. ბოლოს ბავშვივით უმწეო გახდა. ბოლო ფილმის გადაღებისას უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. ბატონი ელდარი წუხდა. ძლივს დაამთავრა ფილმი და სულ ცოტა ხნის შემდეგ მისი უსუფთავესი ნეტარი სული ზეციურ ცხოვრებას შეუერთდა.

ჩემო დიდო სესილია, გმადლობ, რომ არსებობდი, გმადლობ, რომ შემეძლო შენს გვერდით ყოფნა. ვერასოდეს დაგივიწყებ. უდიდესი თაყვანისცემით

შენი დოდო ჭიჭინაძე

# შესული ბევრი იყო, გამოსული – ცოტა

ყინავდა. ქუჩაში ხალხი კანტიკუნტად თუ დადიოდა. ლესელიძის ქუჩა ლამის ჩავირბინე. „ძველი გალერეის" კარი შევაღე და გარეთ დარჩა ზამთრის სიცივეც, უშუქობაც და ყოველდღიური პრობლემებიც. იმ დღეს „ძველ გალერეაში" შვიდი მომხიბვლელი დიასახლისი მასპინძლობდა სტუმრებს.



ოლიკო რუხაძეს, ეკა ხაბურზანიას, თეა დურმიშიძეს, თამარ ჩხენკელს, ეკა ჟურულს, ქეთი ნავროზაშვილს და ანი ნატროშვილს თავიანთი სულის ნაწილი, ფიქრები თუ ოცნებები გამოეფინათ. კარი გამუდმებით იღებოდა. სტუმრებს ძლივს იტევდა საგამოფენო დარბაზი.

ეს არ იყო მხოლოდ გამოფენა. ეს იყო შეხვედრა ხელოვნებასთან და იმ ადამიანებთან, რომლებსაც ძალუძთ ცივ, უსახურ დღესაც კი გვაჩუქონ ღიმილი და დაუვიწყარი წუთები. თუმცა, როგორც ეკა ჟურულმა მითხრა, ეს დღესასწაული მათ საკუთარ თავსაც აჩუქეს, მხატვრებიც ხომ ადამიანები არიანო, – დასძინა ღიმილით.



არჩვეულებრივი ადამიანები, – დავუმატებდი, – რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ორიგინალური, ნატიფი ხელოვნება, რაზეც გამოფენილი ტრიკოტაჟის მოდელები, ფერწერის, ხატწერის ნიმუშები, ბატიკა და სხვადასხვა სახის კომპოზიციები კარგად მეტყველებდა.

ახალგაზრდა მოდელიერს ოლიკო რუხაძეს კარგად იცნობენ ქართული მოდის სამყაროში. იგი ძირითადად ტრიკოტაჟის მოდელირებაზე მუშაობს. დიზაინერმა ამჯერადაც საინტერესო მოდელები წარმოადგინა. მოწონება დაიმსახურა მისმა გრაფიკულმა ნამუშევრებმა და კომპოზიციებმა.



– მოდელიერი ხატვის გარეშე წარმოუდგენელია. ხატვა ჩემთვის სულის მოთხოვნილებაა. დღეს ადამიანისათვის აუცილებელია თავშესაფარი, სადაც პრობლემებს, განცდებს ცოტა ხნით მაინც გაექცევა და თავს შეაფარებს.

ოსტატობით გამოირჩეოდა ანი ნატროშვილის ხახულის ხატის კარედის ასლები. მნახველებს იზიდავდა ნახევრადძვირფას ქვებზე – სარდიონზე, ტოპაზზე, აქატზე – ზეთის საღებავებით შესრულებული წმინდანების გამოსახულებები.

ეს ნამუშევრები ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპია მხატვრისათვის, რომელიც ოცნებობს იმუშაოს ტიხრულ მინანქარზე, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, დღემდე არ მიეცა.

ძირითადად, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჰაეროვანი, გამჭვირვალე ბატიკა. მათ შორის მხიარული ფერებითა და მსუბუქი განწყობილებით გამოირჩეოდა ეკა ხაბურზანიას ნატურმორტები და „მატარებელი", რომელიც თითქოსდა მხიარული და ჭრელაჭრულა ბავშვობისაკენ მიგვაქროლებდა!



– დღეს ადამიანებს სევდა და მოწყენილობა კლავთ. რაღაც ხომ უნდა იყოს მხიარული. ჰოდა, ეს პრობლემა მხიარული ფერებით გადავწყვიტე, – ამბობს ეკა.

– გამოფენის დარბაზში ხალხის ტევა აღარ იყო. რომ იტყვიან, „ძველ გალერეაში" შესული ბევრი ვნახე, გამოსული – არავინ. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. თუმცა ალბათ ნახევრად ხუმრობით, რადგან იქიდან წასვლა მართლაც არავის უნდოდა. გარეთ კი ყინავდა. ქუჩაში თითქმის აღარავინ დადიოდა...

მარინე ნაკაიძე

თამარ ჩხენკელის, ეკა ხაბურზანიას, თეა დურმიშიძის და ეკა ჟურულის ნამუშევრები.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ყველაფერი „ცისფერსისხლიანებს“ გვბრალდებოდა“



ქალბატონი ელისაბედ მაყაშვილი იმ დიდი ოჯახის შთამომავალია, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მასპინძლობისათვის რომ ამოწყვიტეს (ქაქუცა ლიზას ბიძაშვილის ნათლია იყო) მაყაშვილები თურდოს ხევის პირას ცხოვრობდნენ, სოფელ რუისპირში, თელავთან ახლოს. მათი სახლი ოთხსათოფურიანი ციხე-ბურჯითა და მაღალი გალავნით შემოვლებულ ეზოში იდგა. სახლის გვერდით აღმართული კარის ეკლესია გამუდმებით ზეცისკენ უხმობდა თავის მრევლს... ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ იყო, ლიზას ბავშვობის გარიჟრაჟზე... მერე „წითლებმა“ დაადუმეს ეკლესია და იქაურობა წითლად შეღებეს „ცისფერსისხლიანთა“ სისხლით. ლიზას ახსოვს საშინელი განაჩენი: თავადიშვილები ძირფესვიანად უნდა გავწყვიტოთ, თორემ ძეძვისა არ იყოს, რამდენიც უნდა კაფო, მაინც ამოიყრის და მათი ნაშიერნიც ისეთივენი გაიზრდებიან, როგორი სისხლიც უდგათო.

ლიზას დედა – თამარი სოფლის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად – თავს ევლებოდა აღსაზრდელებს, მათ მშობლებსაც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. დაუფასდა კიდეც სიკეთე, – ბავშვების გადამალვაში გლეხები დაეხმარნენ, ზოგი მცირეწლოვანი ხურჯინში ჩასვეს და ისე გააპარეს...

ლიზას ორი უმცროსი ძმა ჰყავდა, რომელთაგან ერთი – თეიმურაზ მაყაშვილი საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი გახდა აკრობატიკაში, ამავე დროს, იყო საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. მისი დაკუნთული სხეული არსენა ოძელაშვილის ძეგლად გამოაქანდაკეს, – დიდი მომავლის ახალგაზრდა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, თეიმურაზის სპორტული კარიერა წინ აღარ წასულა, – სამამულო ომში დაეცა ბეჭდაუდებელი ფალავანი.

ქალბატონ ელისაბედს გუშინდელივით ახსოვს მძიმე წარსული, – ახსოვს, სოფლიდან გამორეკილები როგორ შეიკედლეს თელავში კეთილმა ადამიანებმა; ახსოვს, შვიდწლედის დამთავრებისას კომკავშირში რომ არ მიიღეს თავადიშვილობის „ბრალდებით“; ახსოვს, საშუალო სკოლაშიც, საზეიმო სხდომებზე რომ არ იკარებდნენ „ცისფერსისხლიანობის“ გამო, – ისიც მწარედ ახსოვს, ერთხელ, შესვენებისას, ბავშვებმა თამარ მეფეზე რომ იმღერეს და, როგორ თუ მეფე ახსენეთო, სამი დღე საკლასო ოთახის კარი აუჭედეს, – გაოგნებული იხსენებს, როგორ „დაასაფლავებინეს რელიგია“ ბავშვებს სოფელ გულგულაში, აღდგომის მეორე დღეს; – ერეკლეს სასახლიდან გამოასვენებინეს ხატებით სავსე კუბო, რომელიც იდგა იმ ოთახში, სადაც დაიბადა და აღესრულა პატარა კახი, თელავში ხელით ატარებინეს, რიყესთან კი სამი ურემი აეხიდათ, – პირველზე „მიცვალებული“ დაასვენეს, დანარჩენ ორზე ბავშვები დასხდნენ, თუმცა ლიზა და კოტე ყარალაშვილი ჩამოყარეს ურმებიდან – „ცისფერსისხლიანები“ ხართო. საერთოდ, თუ რამე გაფუჭდებოდა, ყველაფერს „ცისფერსისხლიანებს“ აბრალებდნენ, და სულ ამ ზედმეტი სახელით იხსენიებდნენ კეთროვანებივით. ერთ გოგონას, გვარად ვახვახიშვილს, მართლა დასჯერებია, რომ ცისფერი სისხლი ჰქონდა და ნიძლავზე ხელიც კი გაუჭრია, წითელი სისხლის დანახვაზე კი მწარედ აღრიალებულა არა ტკივილის, არამედ გაწბილების გამო.

ქალბატონი ელისაბედი ღიმილით იხსენებს გიორგი ერისთავის სტუმრობას, რომლისთვისაც თამადას შეუძახია: ერისთავო! ღვინოს რატომ არ სვამო, – ერთ მეინახეს ჩაულაპარაკია: ეგ ერისთავი კი არა, ვირისთავიაო. შეზარხოშებულ ერისთავს მიუგია: სანამ ერი იყო, ერისთავი ვიყავი, ახლა კი ვირები მომრავლდნენ და ვირისთავი გავხდიო. რაც შეეხება „ბაში-აჩუკში“ მოღალატე მაყაშვილის ისტორიას, ეს ამბავი ასე მომხდარა: თბილისში ერთ განთქმულ ოჯახში თამადობდა თურმე მაყაშვილი. იმავე სუფრაზე მიწვეული ყოფილა აკაკი, რომელიც ქალთა საზოგადოებაში ოხუნჯობდა თურმე. თამადას ერთხელ მიუცია შენიშვნა, მეორედ, მესამედ... ბოლოს კი, საერთოდ, გაუშვია. აკაკის დაუქადნია: მაყაშვილო! შენ ამ სუფრაზე მომჭერი თავი, მე კი მთელი საქართველოს წინაშე მოგჭრი თავსო.

ლიზას დღემდე გული სწყდება, უმაღლესი განათლების მიღებაზე თავადიშვილობის გამო რომ უთხრეს უარი; – ნიჭიერი ქალიშვილი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქალაქის კოოპერატივში მოეწყო ბუღალტრად, დედამისმა დიდი ხნის უმუშევრობის შემდეგ რუსულ სკოლაში დაიწყო მუშაობა და საოცარი ის არის, რომ რეპრესირებული ოჯახის დიასახლისი ბოლოს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

ლიზას ყმაწვილქალობაში ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი იგზავნებოდა თელავში სამუშაოდ. ერთი მათგანი გერმანული ენის მასწავლებელი ალექსანდრე მილორავა იყო, რომელმაც თავადიშვილობით არ „დაიწუნა“ მაყაშვილის ასული და მშვენიერი ოჯახი შექმნეს. სამი შვილი შეეძინათ, რომელთაგან – მედეა, მამის პროფესიას დაეუფლა – გერმანულს ასწავლის თბილისის უცხო ენათა უნივერსიტეტში, ლიანამ ბებიის პროფესია აირჩია – რუსული ენის მასწავლებელია, მერაბ მილორავა კი თელავის გამგეობის აპარატის უფროსია, რძალი – ნათელა მათემატიკას ასწავლის. შვილიშვილები სხვადასხვა პროფესიის არიან, მაგრამ საერთო ის აქვთ, რომ ყველა მათგანი მღერის, შთამომავლობით მოსდგამთ ეს ნიჭი მაყაშვილებიდან.

ბოლშევიკები ძალიან ეცადნენ „ცისფერსისხლიანთა“ ამოძირკვას, მაგრამ არა თუ საქართველოში ვერ გაუხმეს ფესვი, მაყაშვილების გენმა გერმანიაშიც კი იხარა, – ლიზას შვილიშვილი ირმა გერმანელ ცუფანს გაჰყვა ცოლად და პატარა მიხაილს და მარიამს მეორე მშობლიურ ენასაც ასწავლის.

ქალბატონი ელისაბედი ბედნიერი დედა და ბედნიერი ბებიაა. დიდებულ წინაპართა შთამომავალს თავადაც საამაყო შთამომავლობა ჰყავს... კვიპაროსებით დამშვენებულ მის ეზოში ზამთარ-ზაფხულ ათასგვარი ყვავილი ყვავის, ოღონდ ეგ კია, ლიზას ისევ თავისი მშობლიური კარმიდამო ენატრება, რომლის ხსოვნა გულში აგრერიგად ჩარჩენია.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი 1997 წლის დეკემბრის მიწურულს სრულ სიღატაკეში გარდაიცვალა. გვამი კი მეზობლებმა წყლითა და ფეკალური სიბინძურეებით დატბორილ მისსავე ბინაში 3 იანვარს აღმოაჩინეს.

ვალენტინა კარავაევა 77 წლის იყო. ბოლო როლი კინოში მან 45 წლის ასაკში ერასტ გარინის ფილმ „ჩვეულებრივ სასწაულში“ შეასრულა, პირველი მთავარი კი 21 წლისამ – რაიზმანის „მაშენკაში“, რისთვისაც სტალინური პრემია დაიმსახურა და ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და პერსპექტიულ მსახიობადაც აღიარეს, რაიზმანის მომდევნო სურათში – „მოსკოვის ცა“ იგი ვეღარ მოხვდა, რადგან გადაღებებზე მიმავალი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და საშინლად დასახიჩრდა...

ხანგრძლივი დეპრესია, დიდხანს ნალოდინევი უშედეგო პლასტიკური ოპერაცია და კვლავ... დეპრესია, რომლიდანაც მხოლოდ ქორწინებამ გამოიყვანა.

1945 წელს კარავაევა ცოლად ინგლისელ მზვერავს, ჩაპმენს გაჰყვა და საცხოვრებლად ლონდონში გაემგზავრა.

მომდევნო ოპერაცია მსახიობს უკვე ციურიხში გაუკეთეს, მაგრამ ვერც იქაურმა ექიმებმა შეძლეს კარავაევას გარეგნობის საბოლოოდ აღდგენა და ქალსაც სხვა რა დარჩენოდა, შვეიცარიის რუსული სათვისტომოს თვითმოქმედ თეატრში დაიწყო მუშაობა.

სურ კანონებსა და ტრადიციებს, 2 მილიონიან მემკვიდრეობაზე ეუბნებოდნენ უარს. საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბარებულმა კარავაევამ, თავადვე განაცხადა უარი მემკვიდრეობაზე, სამინისტროს მესვეურთ კი უთხრა, თუ ამ პროცესის მოგება შეგიძლიათ, თანხა საავადმყოფოების და ბავშვთა სახლების ასაშენებლად გადარიცხეთო და ამაყად თავაღერილი გაეშურა ბინისაკენ, სადაც იატაკზე დაგებული ლეიბი, ფანჯრის რაფაზე შემოდგმული კეფირის ნაკლული ბოთლი და ტანსაცმლიანი ჩემოდნები ელოდა...

შიშისა და უნდობლობის გამო, კარავაევას რეჟისორები თეატრში არ იწვევდნენ, ამიტომაც საკმაო ხნის მანძილზე მხოლოდ დუბლიაჟით იყო დაკავებული, ახმოვანებდა გრეტა გარბოსა და ლილიან გიშს. მოგვიანებით მოსსოვეტის თეატრში მიიღეს, მაგრამ მძიმე ხასიათის გამო, დიდხანს არ გააჩერეს.

და ბოლოს, როცა კინოში მუშაობის იმედი გადაეწურა, ვალენტინამ თავისი უბადრუკი ოთახი სცენად აქცია, თექვსმეტმილიმეტრიანი ძველისძველი კამერა შეიძინა და მის წინ, მთელი ოცდასამი წლის მანძილზე ნინა ზარეჩნაიად, კარმენად, ანა კარენინად, მარინა ცვეტაევად იქცა, პარტნიორობას კი კედელზე მიმაგრებული მსახიობი მამაკაცების ფოტოსურათები უწევდა.

# მსახიობი ქალის სევდიანი ამბავი






შინ მარტო რომ არ დარჩენილიყო, ჩაპმენს ყველა საქმიან მოგზაურობაში თან დაჰყავდა ცოლი და ისიც ნელ-ნელა მაღალი წრის ელეგანტურ ქალბატონად იქცა – უცხო ენები შეისწავლა და ძვირფას ტუალეტებსაც გაუგო გემო. ამის მიუხედავად, ქალს მაინც უზომოდ ენატრებოდა მოსკოვი, კინო, თეატრი და შინ დაბრუნებაზე ოცნებობდა.

1950 წელს მან მეუღლეს საბჭოეთში დაბრუნების ნებართვა და განქორწინება სთხოვა. ჩაპმენს უარი არ უთქვამს, თუმცა გააფრთხილა, უცხოელ მზვერავზე ქორწინებისა და საზღვარგარეთ ხუთწლიანი ცხოვრების გამო, დაგაპატიმრებენო. ქალს არაფრის გაგონება არ სურდა. ნახევარი წლის მანძილზე იგი თითქმის საელჩოს კიბეებზე ცხოვრობდა და სამშობლოში დაბრუნებას ითხოვდა. ბოლოს მისი ვედრება შეისმინეს და კარავაევა მოსკოვში დაბრუნდა (გამგზავრების წინ მეუღლემ ორი ამპულა ძლიერმომქმედი შხამი გამოატანა, რათა წამების შემთხვევაში თავი ამ გზით ეხსნა). დედაქალაქში მას ბინა უკვე აღარ ჰქონდა და ქალიც ღამის გასათევად ბინძურ, პაწაწინა ოთახებს ქირაობდა. საშინელმა სიღატაკემ, უმუშევრობამ და დაპატიმრების შიშმა კარავაევას დევნის მანია დამართა და ისე გაწამდა, რომ საწამლავი გაახსენდა. მაგრამ, დახეთ ბედის ირონიას, დიდი ოდენობით შესმული შხამი ორგანიზმმა არ მიიღო.

საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ კარავაევას კულტურის სამინისტრომ მშვიდობის პროსპექტზე მდებარე საცხოვრებლად უვარგისი ბინა გამოუყო (მშენებლობაში დაშვებული ხარვეზების გამო, მასში მთელი კორპუსის ფეკალური წყლები იყრიდა თავს.) მალე კი მის სახელზე ლონდონიდან ჩაპმენის მშობლების ადვოკატის ოფიციალური უწყება მოვიდა (ჩაპმენი 1952 წელს ალპებში ავტოკატასტროფაში დაიღუპა), რომლის თანახმადაც მათი ვაჟის ცოლს, რომელიც არ იცავდა ინგლი-

დიახ, ოცდასამი წლის მანძილზე იგი ამჟღავნებდა ფირს, აფასებდა საკუთარ ნამუშევარს, თავიდან თამაშობდა. აწარმოებდა დღიურს, წერდა ლექსებს, მოთხრობებს და არავის უჩვენებდა – ელოდა, როცა ვინმე თავისით აღმოაჩენდა და, შესაძლოა, ფილმსაც გადაიღებდა.

მთელი ამ ხნის მანძილზე კარავაევა მცირე პენსიით ცხოვრობდა და არავისაგან იღებდა დახმარებას – სიამაყე არ აძლევდა ნებას. 23 წელიწადი ეჩხუბებოდნენ მეზობლები დატბორილი ოთახების გამო და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შეიტყვეს, რომ ამ ბინაში თურმე საერთოდ არ შეიძლებოდა ცხოვრება.

... ეს სევდიანი ისტორია 1998 წლის 3 იანვარს დასრულდა, როცა კიდევ ერთხელ დატბორილმა მობინადრეებმა სახლმმართველობას მიმართეს და ერთობლივი ძალით შეანგრიეს მსახიობი ქალის ბინის კარები. იმ დღიდან ვალენტინა კარავაევას ახალი კინემატოგრაფიული სიცოცხლე დაიწყო...

**P.S.** *ამ რამდენიმე ხნის წინ ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი ფარაჯანოვმა გარდაცვლილი მსახიობის ბინაში მის მიერ გადაღებული კინოფირები, დღიურები, ლექსები, მოთხრობები და კარავაევას მიერ ჩაწერილი როლების აუდიოკასეტები აღმოაჩინა. რეჟისორმა ეს უნიკალური მასალა ახალ ფირზე გადაიტანა და კარავაევასავე ხმით გაახმოვანა. ყველაფერი ზუსტად ისე გამოვიდა, როგორც მსახიობ ქალს სურდა. ახლა ფილმი მზადაა და მას ალბათ მალე იხილავს მაყურებელი.*

თარგმნა **მანანა იმესაშვილმა**
„კინო პარკი“, თებერვალი, 2000
(იბეჭდება შემოკლებით)

# შემთხვევა მდინარე ობზე



*მწერალი ლევან გოთუა თავისი ცხოვრების მანძილზე გადასახლებაში სამჯერ იყო.*

*პირველად სულ ახალგაზრდას „სოლოვეცკი მონასტირში“ უკრეს თავი, შემდეგ შორეულ ციმბირში, ნარიმის ბანაკში გაამწესეს, ბოლოს კი კომის რესპუბლიკის ვორკუტის ბანაკში მოხვდა.*

*ამ სამ ბანაკს შორის ლევანი ყველაზე მძიმე და აუტანელი რეჟიმის ბანაკად – ნარიმს თვლიდა. იქ ყველა პატიმარი სიკვდილთან მუდმივ ჭიდილში იყო და სიცოცხლე იშვიათად თუ იმარჯვებდა.*

*ჩვენ გვინდა შემოგთავაზოთ ნარიმიდან გამოგზავნილი ლევანის წერილი, სადაც ის აღწერს ერთ კურიოზულ შემთხვევას, რომელიც მას გადახდა.*

**„ჩემო კარგებო!**

12. VIII. 1933 წ.

ჯანმრთელობით კარგად ვარ. ვცხოვრობ უცვლელად ბანაკური ყოფით. მინდა გიამბოთ პატარა ტრაგიკომედია, რომელიც მე აქ შემემთხვა.

აგვისტოს ერთ დილას, ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, ბანაკის ერთი ნაწილის პატიმრები წამოგვყარეს, გაგვამწკრივეს და მდინარე ობის მიმართულებით წაგვრეკეს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ჩვენი ნაწილი ნარიმის ბანაკიდან აყარეს. არ ვიცი სხვა პატიმრები როგორ ხასიათზე დადგნენ, მაგრამ მე ჩემი მცირედი ბარგის იქ დატოვებას ძალიან ვნაღვლობდი. ეს ხომ ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები იყო, რის გარეშე ყოფნა მე უკვე აღარ შემეძლო.

უნდა გამოგიტყდეთ, ბარგის დატოვება და ჩემი უწიგნოდ დარჩენა ისევ მძიმე ცხოვრების დაწყებას მიქადიდა. ეს ჩემთვის მეორე უბედურების დასაწყისად მესახებოდა. თვითონ წარმოიდგინეთ, ბანაკში დროს რომ ვიხელთებდი, წიგნს, გაზეთს თუ ჟურნალს რამდენჯერმე გადავიკითხავდი ხოლმე. ამით თითქოს გულს ვიოხებდი და დიდ შვებას ვგრძნობდი. ოცნება და ნატვრა ფრთას გაშლიდა, თითქოს მეც იქ ვიყავი. ვერეოდი ჩემი სამშობლოს ცხოვრებისეულ მაჯისცემაში, კეთილდღეობაში თუ ჭირ-ვარამში, თითქოს მეც საქართველოს კეთილსაქმობით აქ ვცხოვრობდი. ამ ფიქრებით გართული ზანტად მივაბიჯებდი მდინარე ობის ხრიოკ, ნამდვილად ობმოკიდებულ ჭაობიან სანაპიროზე. პატიმრები დუმდნენ, ალბათ აუგის მოლოდინში.

ნავსადგომთან მიგვიყვანეს, რომელიც მთლიანად დანგრეული აღმოჩნდა, წყალდიდობას წაულეკია. ესე იგი, ერთადერთი დამაკავშირებელი წერტილი ცოცხალ ცხოვრებასა და ჩვენთან, გარიყულებთან, განყვეტილიყო. ბევრს გაგვიხარდა, რომ ახალ ეტაპს გადავურჩით. შიში, რომელიც გულში მქონდა დაგუბებული, ამ დაობებულ ბილიკზე გამიქარწყლდა.

ქვის ლოდები შევაგროვეთ, ტყიდან უზარმაზარი მორები მოვზიდეთ და რამდენიმე საათი კარგა მაგრად ვიმუშავეთ. ნავსადგური მთლიანად აღვადგინეთ და გავამაგრეთ. შუადღე უკვე გადასული იყო, ცხელოდა, როდესაც წყალში ბანაობის უფლება მოგვცეს. ყველა ავწრიალდით, ასეთი შესაძლებლობა ჩემი იქ ყოფნის მთელ პერიოდში ერთხელ მოგვეცა და ალბათ უკანასკნელადაც.

რახან ასეთი სასიკეთო ბრძანება იყო, პირუბანი, ჭუჭყიანი პატიმრების ტანიდან ოფლისა და ჭუჭყისაგან ფერშეცვლილი საცვლები და ტანისამოსი სწრაფად გავიხადეთ და ასე უსაპნოდ რეცხვას შევუდექით, გავწურეთ და ცხელ ქვიშაზე გასაშრობად დავფინეთ.

ამდენმა ტიტველა გასაცოდავებულმა, გაწამებულმა, გაძვალტყავებულმა კაცმა წყალში შეტოპა და უსაზღვრო შვება იგრძნო. ერთ წუთში დაგვავიწყდა ჩვენი გაჭირვება, პატიმრობა, ურდულები. წყალში მოპოვებულმა თავისუფლებამ ფრთები გაგვაშლევინა.

და ობის მკერდში ვიჭრებით ხმაურით,
გულო გალაღდი, შეასკდი ტალღებს.
დავკარგეთ სივრცის და დროის საზომი,
დღეს ღამე ბევრის საკირეს აანთებს.

საცოდავი, დაკნინებული ხალხი გალაღდა, ზოგმა გაცურა, ზოგმა ჩაყვინთა, ზოგი ნაპირთან ჭყუმპალაობდა.

მე შიშველ ტანზე წყლის სისველე საამოდ მომხვდა, ამაღელვა და ამაფორიაქა. ცდუნებას ველარ გაუძელი, გული და მხარი მერჩოდა. ხან მხარულით და ხან მოგვერდულით წინ სწრაფვა ვერ შევაჩერე. რამდენჯერმე ჩავყვინთე და ამოვყვინთე. წყალზე ვიტრიალე, დავწექი, დავისვენე. წყალმა გამალალა, გამამხნევა. ლურჯ-ნაცრისფერი პირქუში ობი ისე მდორედ მიედინებოდა, მოძრაობა სულ არ იგრძნობოდა. გარშემო თითქოს ჰაერის მოძრაობაც შეჩერებულიყო. სიოს ნატამალი არ ჰქროდა. დრო ვერ განვსაზღვრე, წყალში რამდენ ხანს დავყავი, ვილაღე. ცურვით გული რომ მოვიჯერე, ნაპირს გადავხედე, იქნებ ბანაკში დაბრუნების დროც მოვიდა მეთქი.

დახეთ უბედურებას! არც მარჯვნივ და არც მარცხნივ ნაპირი არ ჩანდა. ყურთასმენა გავამახვილე, არსაიდან ძახილი ან რაიმე ხმაური არ მოისმოდა – ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მე და ობი აღმოვჩნდით მარტო. საშინლად ავღელდი, შევკრთი. მხარი მეცვალასაით გავცურო, უკვე აღარ ვიცი, რომელია მარჯვენა ნაპირი. რაც ძალი და ღონე მქონდა ყვირილი და ძახილი დავიწყე. არსაიდან პასუხი, არსაიდან ჩამიჩუმი.

წინ გავცურე, მერე ისევ შემოვტრიალდი, უკან გამოვცურე. დიდ საგონებელში ჩავვარდი. მართალია ცურვა კარგად ვიცოდი, ობის სიგანეც (7-8 კილომეტრი) მახსოვდა, შესვენებით და ნელი ცურვით იმის დაძლევის იმედიც მქონდა, არ მეშინოდა, მაგრამ რამდენხანს მოვუნდებოდი ამ მანძილის დაფარვას, ეს არ ვიცოდი. შესაძლებელია თავზე დამლამებოდა კიდეც ასე წყალში. ამასთან დაკავშირებით ცუდი (ორჭოფული) აზრებიც შემომეპარა. არ ვიცოდი მარცხენა ნაპირის ადგილმდებარეობა, ახლომახლო სოფლების არსებობა, მაცხოვრებელი ხალხის ეროვნება და სხვ. ასე უყურადღებობას თავს ვერ ვაპატიებ. იმ ნაპირზე ვინ დამიჯერებს, რომ ჩემი იქ გაჩენა, ასე შიშველისა, წმინდა შემთხვევითობაა. უდავოდ ბანაკიდან გაქცევის მცდელობად ჩამითვლიდნენ. მიდი და უმტკიცე რამდენიც გინდა. ვინ დაგიჯერებს? ერთ წუთში თავში ბევრმა აზრმა გამიარა, იმაშიაც კი დავიჭირე თავი – იქნებ მართლა გავიქცე ბანაკიდან, ამისთანა შესაძლებლობა არასდროს არ მექნება-მეთქი. ცდუნება დიდია, მაგრამ გადაწყვეტა ძნელი აღმოჩნდა. იმ წუთშივე წარმოვიდგინე სამუდამოდ სამშობლოს დაკარგვა, თქვენი ღალატი, მუდმივად შიშის ქვეშ ყოფნა, არალეგალურად სადმე ღრმა რუსეთში სხვისი საბუთებით და სახელით ცხოვრება და არსებობა ბედის წყალობით.

იმ შემთხვევაში თუ ვინაობა გაირკვეოდა, ცოცხალი თავით არ ჩავბარდებოდი ჩეკას. ასეთი გამწარებული ცხოვრების ისევ თავიდან დაწყებას უკვე ველარ ავიტანდი. თვალწინ წარმომიდგა ისევ თქვენი აწიოკება, ოჯახის მთლიანი განადგურება.

ყველაფერი აირია და დაირია თავში, აიწონ-დაიწონა.

– ეს რა მომივიდა, როგორ მოვიქცე? – უკვე ხმამაღლა ვწუხდი, ჩემს თავს ვსაყვედურობდი.

არა, მე მაინც მარჯვენა ნაპირი მირჩევნია. აქედან ეს ნაპირი ბევრად ახლოა. და შესაძლებელია ჩემთვის ამჟამად მართებულიც იყოს. უცებ პირველად გამიღიმა ბედმა. მეგონა, მომეჩვენა, მაგრამ ეს სინამდვილე იყო – მშიერმა და ალბათ დაკარგულმა კოღომ კარგა ლაზათიანად მიკბინა ზურგზე. მაშინვე მოვეგე გონს: ეს უდავოა, რომ კოღო უფრო ახლოს მარჯვენა ნაპირიდან იქნებოდა, მით უფრო, რომ ჩვენი ნაპირის ჭაობებში ასეთი კოღო ბევრია და ეს კბენაც „შინაურულად“ მენიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმწუთშივე კოლომ ზურგი შემაცვლევინა. ბევრი ცურვის შემდეგ ნაპირს მივადექი. ფეხი მიწას რომ დავადგი სიცოცხლის ძალის მომატება ვიგრძენი. ჩემ მიერ ნარიმში არაფრად დაფასებულ სიცოცხლეს იმ წუთშივე დიდი ფასი დაედო. როგორი ძლიერია სიცოცხლის ძალა! მიუხედავად იმისა, რომ ამ სანაპიროზე შიშველი ვიყავი, ველური კაცივით, სულ მარტოდ-მარტო, მშიერ-მწყურვალი, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, ხარობდა.

ნავსაყუდარის ძებნა დავიწყე. ისიც მოვიფიქრე, რომ მდინარის შინაგანი დინება მაინც ქვევით ჩამათრევდა, ამიტომ ნაპირს ზევით ავყევი, ბევრი ვიარე, სანამ მივადექი ნაცნობ ადგილებს. ტანსაცმელი, რა თქმა უნდა, იქ არ დამხვდა. მზე უკვე დიდი ხნის გადასული იყო და დღეს ბინდი დაეტყო. ტყეში შევიარე ფოთლებით შიშველი ადგილები დავიფარე და ბანაკისაკენ მიმავალ ბილიკს სწრაფად გავყევი. აქ კი ისეთი უცნაურობა შემხვდა არასდროს არ მოველოდი – თოფიანმა კაცმა, ბანაკის დარაჯმა კარი არ გამიღო და ციხეში არ შემიშვა.

– აქედან გამეცალე, თორემ გესვრიო, და თოფი დამიმიზნა.

– შე დალოცვილო, მე ციხეში შეშვებას გთხოვთ, თქვენი ტუსაღი ვარ, იქედან გამოშვებას კი არა.

– ჩემთვის სულერთია. ვინა ხარ. არ შემოგიშვებ, წადი გამეცალე.

კარებთან ატეხილ აურზაურზე მოვიდა უფროსი ზედამხედველი. მე რომ დამინახა, არ ესიამოვნა.

განა შენ ობში არ დაიხრჩე? ასე გვითხრეს პატიმრებმა. ჩვენ ამ ბანაკიდან ჩამოგწერეთ და ახლა მკვდარი სული ხარ, შენი ტანსაცმელი სხვას ჩავაცვით. რაღა გიყოთ? ბანაკისათვის მკვდარი სული ხარ. საერთოდ კი მიკვირს, იქიდან როგორ გამოცურე.

მერე ბანაკის უფროსის ბრძანებით შემიშვეს და ვილაცის ჭუჭყიანი და პატარა ზომის ტანსაცმელი ჩამაცვეს. ჩემი ზომის ძველი ფეხსაცმელი ველარ მიშოვეს, ამიტომ დიდხანს ფეხშიშველი დავდიოდი.

ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ როგორც უდისციპლინო და ურჩი პატიმარი, ერთი კვირით იზოლატორში ჩამაგდეს. ჯერ შემოშვება არ უნდოდათ, მერე კი დამსაჯეს. ეს ნამდვილად დიდი ტრაგიკული კომედია გათამაშდა.

ყველაზე მძიმე უბედურება აქაური პარადოქსებია: ტუსაღთა სიკვდილი, მათი განადგურება და ჩამოწერა ბევრად იოლია, ვიდრე მათი ცოცხლად შენახვა.

ჩემს შესახებ ბანაკში დიდი მითქმა-მოთქმა დატრიალდა, ყველანი გაკვირვებული და გაოცებული გადასცემდნენ ერთმანეთს, რომ მე ობი გადავცურე, წარმოიდგინეთ აქედან არ გავიქეცი და ისევ უკან წამოვედი ბანაკში. აქ კი აღარ მიშვებდნენ – მკვდარი სული ხარო.

მის ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, ყოყლოჩინობდნენ ბევრნი, ყაჩაღად გავვარდებოდი, გავმდიდრდებოდი და დიდ საქმეებს დავატრიალებდი. იგი ამხელა მდინარეს შეებრძოლა, ჩეკას კი ვერაფერი მოუხერხაო, ისე ეშინიაო. სადღაც ეს ნათქვამი მენიშნა კიდეც, სიმართლესაც შეეფერებოდა, ვინაიდან ჩეკა XX საუკუნის რაღაც საშინელ საოცრებას წარმოადგენს, არნახულს და არგაგონილს.

გკოცნით თქვენი ლევანი!

**პუბლიკაცია მოამზადა თამარ გოთუამ**

# პოეზია

## ნინო ბეჟარაშვილი

### მოლოზანა

დაიწურა, დაღვინდა
თოქმა-თოქმა მტევნები,
მხოლოდ ერთი, პატარა
მოლოზანას კუპხალი
შერჩენია ვაზის რქას,
იყურება მწუხარი.
სილამაზით, სინაზით
ვერ მოსიბლა ვერავინ.
არ მოწყვიტეს საბრალო
უმწიფარი მტევანი.
რად დაყოვნდი, სად იყავ,
მოლოზანა პაწია?
ალბათ გზაში მომავალს
ქარი წამოგეწია.
გაგყინა და გაგთოშა,
მზე წაართვა ყვავილებს,
მაინც არ დაიდარდო,
გულში ჯავრს ნუ გაივლებ.
ამა, რა ექნათ, განგებამ
თუ კი ასე ინება?
მალე მოვა ზამთარი,
თოვლქვეშ ჩაგეძინება
და შენს სევდას წაიღებს
დრო და ჟამის დინება.
დაიწურა, დაღვინდა
თოქმა-თოქმა მტევნები,
მხოლოდ ერთი საწყალი
მოლოზანას კუპხალი,
მარტოობით დაღლილი,
იყურება მწუხარი.

### თოვლი

თოვს, თოვს, თოვს
გზის თავში და ბოლოს,
არავინ ჩანს არსად.
შენ შემომხვდი მხოლოდ.
სათეთქლებთან ვერცხლის
თეთრი შუქი გშვენის,
კარგი იყო მაშინ
ყმაწვილობა ჩვენი.
გახსოვს სკოლის ეზო?
თოვლი თეთრი, წმინდა,
შენ მესროდი გუნდებს,
მე კი მწყინდა, მწყინდა.
რამდენია თოვლი,
შეგროვდება მთებად,
თუ დამაყრი გუნდებს,
აღარ მეწყინება!

**X. მოლოზანას ჩვენში ეძახიან გვიან გამოტანილ ვაზის ყვავილს, რომელიც დამწიფებას ვერ ასწრებს, სხვაგან, სხვა სახელი ჰქვია.**

## მერაბ მეტრეველი

### დედა

მესიზმრა მხოლოდ თვალებით,
უხმოდ მკითხავდა ამბავს,
იქიდან აქეთ ღიმილი
დედას შეეძლო ალბათ.
სულს ადგა დიდი ნათელი,
გამომეღვიძა როცა,
მარტოდენ დედას შეეძლო
იქიდან აქეთ ლოცვა.
შორი ქვეყნიდან მზირალი
იქნება უკეთ გვხედავს,
ვინა სთქვა დედის სიშორე
თვითონ ჩვენშია დედა.
თანმდევი კუბოსკარამდი
ამ წუთისოფლის ხვატში
ხან სიზმრად მომევლინება,
ხან გამიელვებს ცხადში.
ჩემში თრთის, ჩემში მდუღარებს,
ჩემში ტანჯვითვე იწვის
და თითქოს ქრება წყვდიადი
ჩემი წილხვედრი მიწის.
ჩემთვის ისევე მზეობენ
მისი ჭაღარა თმები,
გულში თუ სუსხი ჩამიდგა
იქიდან აქეთ ვთბები.

# მსოფლიოს უმდიდრესი ქალბატონები

**1. ელის უოლტონი**, აშშ (16 მილიარდი დოლარი). სავაჭრო მაგნატის სემ უოლტონის ქალიშვილი და მემკვიდრე, უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი, სათავეში უდგას კომპანიას, რომელსაც მისი საყვარელი ცხოველის სახელი ჰქვია. 13 წლიდან იწყებს ცხენების მოშენებას, ამისათვის ორი წლის წინ შეიძინა რანჩო ტეხასში, 3000 აკრის ფართობით. ელისს მედიდურობა არ ახასიათებს: როცა 1998 წელს სიმთვრალისათვის მართვის უფლება ჩამოართვეს, ჯარიმაც გადაიხადა და საზოგადოებრივ სამუშაოსაც ასრულებდა. დამთავრებული აქვს ტრინიტის კოლეჯი. მისი ორივე ქორწინება განქორწინებით დამთავრდა.

**2. დედოფალი ელისაბედი II**, დიდი ბრიტანეთი, (450 მილიონი დოლარი. მთელი ქონება კი ხელოვნების ნაწარმოებთა და დედოფლის ძვირფასეულობათა ჩათვლით, შეფასებულია 16 მილიარდ დოლარად). უყვარს თევზეული, ჩაის სმა და სენდვიჩი კიტრით, უყვარს ცხენები. არ უყვარს ყავა, ფეხბურთი და პირად ცხოვრებაში სხვისი ჩარევა. ამაყობს 4 შვილით.

**3. ლილიან ბეტანკური**, საფრანგეთი (13,9 მილიარდი დოლარი). ზარშან სათავეში ედგა კომპანიას „ლ'ორეალი", მაგრამ ახლა ჩამოსცილდა საქმეს. „ლ'ორეალი" მამამისმა ეჟენ შულლემ შექმნა 1936 წელს. ლილიანმა თავისი კარიერა 15 წლიდან დაიწყო მამის ქარხანაში, ლილიანის საყვარელი გამონათქვამია: „ფული ბევრ ვალდებულებას გაკისრებს, მაგრამ ბევრ შესაძლებლობასაც გიქმნის".

**4, 5. ბარბარა ენტონი-კოქსი, ელი ჩემბერს-კოქსი**, აშშ (10,6 მილიარდი დოლარი ცალ-ცალკე), მათი მამა, ყოფილი რეპორტიორი, 1899 წელს ყიდულობს ერთ გაზეთს, შემდეგ – მეორეს. დღეს ელი და ბარბარა მედიაკორპორაციის აქციების 98 პროცენტის მფლობელები არიან, რომელშიც შედის 16 გაზეთი, კაბელური ტელევიზია (3 მილიონ კლიენტზე მეტი), რადიოსადგური და ტელეარხები. ელი საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში არ ყოფილა ჩაბმული, ბარბარა კი პრეზიდენტ კარტერის დროს აშშ-ის ელჩი იყო ბელგიაში.

**6. დედოფალი ბეატრიქსი**, ნიდერლანდები (5,2 მილიარდი დოლარი), ქვეშევრდომთათვის საყვარელი. ბეატრიქსი 20 წელია მართავს ქვეყანას და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს. დედოფალი დემოკრატია, სიმდიდრე არ უკვირს. „როლლს-როისს" ურჩევნია „ფორდი". ჰყავს სამი ვაჟი. უფროსი –ვილჰელმი ტახტის მემკვიდრეა.

**7. დორის ფაიგენბაუმ-ფიშერი**, აშშ, (4,3 მილიარდი დოლარი). ქმართან, დონალდო ჯორჯ ფიშერთან ერთად 1969 წელს დაარსა კომპანია, რომელიც ერთერთი უმსხვილესი გახდა ტანსაცმლის წარმოებაში. ამჟამად ჯორჯი სათავეში უდგას კორპორაციას, დორისი კი მუშაობს მის ბიზნეს-კონსულტანტად. ჰყავთ სამი შვილი. ძირითადად ჯინსის ტანსაცმელს უშვებენ, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 1700 მაღაზიაში იყიდება და უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობს.

**8. აბიგაილ ჯონსონი**, აშშ (4,2 მილიარდი დოლარი), მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი. იგი 35 წლისაა. სათავეში უდგას სააქციონერო ფონდების კორპორაციათა ჯგუფს. ჰარვარდის კურსდამთავრებულია. გათხოვილია, ჰყავს ორი შვილი. მამამისი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია. მას ამ პოსტზე შვილი შეცვლის. ერთხელ თქვა: „მომწონს შვილთან ურთიერთობა, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა მართოს კომპანია". აბიგაილი სულ არ ჰგავს მილიარდერის ქალიშვილს. ის წყნარი, გაწონასწორებული და თავმდაბალია, – არავითარი ძვირფასი კოსტიუმები.

**9. ჟაკლინ ფოგელ-მარსი**, აშშ (4 მილიარდი დოლარი), კორპორაცია მარსის ვიცე-პრეზიდენტი. კორპორაცია უშვებს უამრავი სახელწოდების შოკოლადს. მარსი – ოჯახური საწარმოა. კომპანიის პრეზიდენტები ჟაკლინის ძმები არიან. ჟაკლინი ორჯერ განქორწინდა, ჰყავს სამი შვილი.

**10. ნინა ვანი, ჰონკონგი** (4 მილიარდი დოლარი), ჩინელი, დაიბადა რუსეთში. ხელმძღვანელობს ჰონკონგში უმსხვილეს სამშენებლო კომპანიას, რომელიც მშენებლობის გარდა უძრავი ქონებითა და ინვესტიციებითაა დაკავებული. ეს ყველაფერი ქმარმა, ტედი ვანმა დაუტოვა, რომელიც ტერორისტებმა მოკლეს.

# მკითხველი გვირჩევს

**სადაც ფქვილს ინახავთ**

თუ იმ კარადაში სინესტე გაჩნდა, დააწყვეთ იქ დაფნის ფოთლები.

**ფეხსაცმლის ძირი**

თუ სრიალებს, ქუჩაში გამოსვლის წინ წაუსვით უმი კარტოფილი.

**ჩრჩილს აფრთხობს**

ლიმონის კანს არ ვაგდებ. ვაშრობ. ვაწყობ ბამბის ქსოვილის პატარა პარკში და ტანსაცმლის კარადაში ვკიდებ. ჩრჩილსაც აფრთხობს და საამო სუნსაც აყენებს.

**წყლის ლაქა**

თუ ტანსაცმელზე წყლის ლაქა დააჩნდა, ძალიან ადვილია მისი მოშორება. იმ ადგილზე მაგრად გაუსვით ვერცხლის კოვზი.

**მაღალი ლარნაკის გასარეცხად**

ვიწრო და მაღალი ლარნაკი ძნელი გასარეცხია. მე კვერცხის ნაჭუჭს ვნაყავ და ვყრი ლარნაკში სარეცხ საშუალებებთან ერთად. კარგად ვანჯღრევ და გადმოვღვრი. ლარნაკი გაკრიალდება.

**ბუზი ვერ შემოვა**

თუ ფანჯრის ჩარჩოს ძმრით გაწმენდთ.

**ბეწვის ქურქები**

კარგად შეინახება მატერიისაგან შეკერილ შალითაში. შალითაში უნდა ჩაყაროთ თუთუნი და ცოტა შავი პილპილი.

**ტყავის პალტო**, პიჯაკი, ქურთუკი, ავეჯის გადასაკრავი კარგად იწმინდება კვერცხის ათქვეფილ ცილაში დასველებული ნაჭრით.

**ლიმონი კარგად შეინახება**

თუ ჩააწყობთ წყლით სავსე ქილაში და წყალს ყოველ 6-7 დღეში ერთხელ გამოუცვლით. ასე შენახული ლიმონი ინარჩუნებს თავის ყველა ღირსებას.

**ნატის ფეხსაცმლით**

თუ წვიმაში მოხვდით და ფეხსაცმელი დასველდა, აღმოუჩინეთ მას „სასწრაფო დახმარება". ფაქიზად გაწმინდეთ მშრალი ნაჭრით, შიგ ჩატენეთ გაზეთები და ისე გააშრეთ. მსუბუქად გადაუსვით ზუმფარის ქაღალდი.

**თუ გსურთ მურაბის ტაშტი ბრწყინავდეს**

აიღეთ მწვანე მჟაუნა და ცოტა სოდა. მჟაუნა ჯაგრისად გამოიყენეთ და კარგად გაუსვით სპილენძის ჭურჭელს. სარკესავით იკრიალებს და ოქროსფერს დაიბრუნებს.

**მაცივარი თოვლივით თეთრი რომ იყოს**

კბილის ფხვნილი შეურიეთ ნიშადურის სპირტს. თხელი ფაფის მსგავსი მასით კარგად გაწმინდეთ მაცივრის ზედაპირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰაერში კი ირხეოდა თოკი...

## აფხაზეთი, ჩვენი სატკივარი

ოჯახში უფროსი ქალიშვილი იყო და ამდენად მეორე პატარა დედაც – უმცროსების გამზრდელი და დედის პირველი მომხმარე. კურორტოლოგიის ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში ყველა პატივს სცემდა გამრჯე, უწყინარ და კეთილ ექთანს. შინაც ჯარასავით ტრიალებდა. ყველაზე მეტად კი ამქვეყნად ნაბოლარა ძმა უყვარდა, სამი ქალიშვილის მერე რომ გაჩნდა ოჯახის მომავალ ბალავრად და გვარის გამგრძელებლად.

... გაზაფხულის იმ ავბედით დღეს დილიდან ბესლეთში საოცარი სიჩუმე იდგა. ზედა უბნის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ჭანბას ქუჩაზე ჩამოსულიყო – მეზობლის გასვენებაზე. შუადღისას თვითმფრინავის გუგუნი გაისმა. არა, არ ჰგავდა იგი ჩვეულებრივ გუგუნს, რაღაც შემზარავი ხმა ჰქონდა. აი, თვითმფრინავიც გამოჩნდა, ტყვიისფერი; დაბლა მოფრინავდა, სოფლის შუაგულს გადაუარა.

– ჩვენია, თორემ ასე დაბლა როგორ დაეშვებოდა, – ივარაუდა ერთმა.

– არა, ხმა ცუდის მომასწავებელი აქვს, ყური მიუგდეთ, – ამბობდნენ სხვები და, მართლაც, გუგუნს თითქოს თან სდევდა შორეული ზარების ექო და წივილი, გამოუცნობი, ცივი. თვითმფრინავიდან სამი ნივთი დაეშვა, ქოლგასავით გაიშალა. და ნათლად გამოჩნდა ქვეშ ჩამოკიდებული სამი შავი სხეული. და, ვიდრე ერთ ადგილს გარინდული ადამიანები რამეს მოისაზრებდნენ, სამმა გამაყრუებელმა აფეთქებამ შეატორტმანა სოფელი. აფეთქების ტალღამ გრიგალზე უსწრაფესად მოთხარა ხეები, ორსართულიანი სახლები გადააყირავა და ნანგრევების გროვად აქცია. სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით და შემდეგ... კივილი... კივილი... ივერიის ქუჩაზე 12 წლის ბიჭუნა ეგდო მოკლული; ახლოს, შესახვევში ხანდაზმული მამაკაცი ღაფავდა სულს. მედეა, ოჯახის უფრო ქალიშვილი ნაბოლარა ძმას გადაჰფარებოდა. ხერხემალგადატეხილი უსულო დის ქვეშ დაჭრილი, მაგრამ გადარჩენილი გვარის გამგრძელებლის სიცოცხლე ბჟუტავდა. ვინ თქვა, სიკვდილის წინ მთელ განვლილ სიცოცხლეს წარმოიდგენსო ადამიანი! მედეასთვის იმ წუთებში ძმა იყო განვლილი სიცოცხლეც და მომავალი სიცოცხლეც. მან მუ ვეფხვივით ისკუპა და ძმას გადაეფოფრა, ძმას, ონკანთან ჩაცუცქული უცოდველი თვალებით რომ შეჰყურებდა ფოლადისფერ ურჩხულს.

... თეთრ საქორწინო კაბაში მორთული მიაბარეს მიწას მედეა, მედეა ჩაჩანიძე.

... დიახ, იყო გაზაფხულის ის ერთი და შემდეგ კი მრავალი საშინელი დღე სოხუმის განაპირა სოფელ ბესლეთში, დაჭრილები, მოკლულები, ნანგრევები, ხანძრები და, რატომღაც, იმ დღიდან ხშირად მახსენდება ღობეზე მისრესილი მოზვრის ნაგლეჯები, პალოზე კი ირხეოდა თოკი... მთელი, დაუზიანებელი...

**მერი თოდუა**

## შეუკვეთეთ სასურველი სიზმარი

თურმე შესაძლებელი ყოფილა ძილის წინ ჩვენ თვითონ შევუკვეთოთ ჩვენ თავს სიზმარი, ის კი არა, სიზმრის სიუჟეტიც ჩვენი სურვილით წარვმართოთ.

ამ საქმის სპეციალისტები („სიზმარი დაკვეთით“) თვლიან, რომ ეს მარტო სიამოვნება კი არა, ჯანმრთელობის საწინდარიცაა. ვთქვათ, თქვენ ირჩევთ სიზმარს თემაზე „ახალი წელი“. სიზმრის ახსნის წიგნში წერია: თუ ქალწული სიზმარში ახალ წელს ხედავს, ესე იგი ბედნიერად გათხოვდება. მნიშვნელობა აქვს სიზმრის დეტალებს. ვთქვათ, მორთული ნაძვის ხე ნიშნავს სწრაფ და ბედნიერ ამბავს. ლამაზად გაწყობილი მაგიდა – სასიამოვნო ნაცნობობას. თითოეულ კერძს თავისი მნიშვნელობა აქვს. ვთქვათ, სუფრაზე მოიტანეს ინდაური – ეს ნიშნავს მოგებას. ქათამი – ოჯახის წევრთა მომატებას, მაგრამ იხვი ვაშლის გარნირით – არაკეთილმოსურნე გაგიჩნდებათ. ბატი – საქმეში უსიამოვნებას, გარნირად კარტოფილი – ნიშნავს – რაიმეს მოიგებთ.

თუ ქალიშვილს ბრინჯი ესიზმრება – ბედნიერი და უზრუნველყოფილი ოჯახური ცხოვრება ელის. ღვინის დასიზმრება მამაკაცებისათვის საიმედო მეგობარს, ხოლო ქალისთვის მდიდარ და ლამაზ საქმროს მოასწავებს, არაყი – ფულის გაფლანგვას, წვენები – შემოსავალს ნიშნავს. არ გირჩევთ სიზმრად კოკა-კოლას ხილვას. ეს მდიდარი თაყვანისმცემლის დაკარგვაა, მაგრამ სიზმარში ჭიქა რძისგან თავი არ შეიკავოთ, რადგან იგი შორი და საამო მოგზაურობის ნიშანია. ნუ გაამახვილებთ ყურადღებას ჭურჭელზე, რადგან თეფშები რაღაც ხლაფორთია, ჩანგალი – საყვარელთან განშორებას, დანა – ჩხუბს, ხოლო ფუჟერები, ბაკლები, სირჩები დიდ უსიამოვნებათა სიმბოლოა.

კარგია ყვავილები, რომლითაც საზეიმო სუფრას მორთავთ. ასეთი სიზმარი თაყვანისმცემელთა სიმრავლეს ნიშნავს.

სიზმარში საჩუქრის გაცემას მისი მიღება სჯობს, რადგან საჩუქრის მიღება – ბედნიერებას, გაცემა კი ცხოვრებაში კარგი შანსის ხელიდან გაშვებას გვიქადის.

მართალია, ზოგ სპეციალისტს არა სჯერა წინასწარმეტყველური სიზმრისა, მაინც მიაჩნიათ, რომ ჩვენ შეგვიძლია „დავისიზმროთ“ ნათელი, საინტერესო, ფერადი სიზმარი. განვეწყოთ ამისათვის, ხოლო ეს რომ მოხდეს, საჭიროა რამდენიმე წესის დაცვა.

ნუ დაიძინებთ საწოლში, რომელიც წიგნის კარადის ან წიგნის თაროების გვერდით დგას, ნუ დანაყრდებით ძილის წინ, ნუ დაიძინებთ ოთახში, სადაც ტემპერატურა 17 გრადუსზე ნაკლებია. ეცადეთ, დაწვეთ თავით აღმოსავლეთის ან ჩრდილოეთისაკენ. დაძინებამდე ერთი საათით ადრე მირთვით ჭიქა თბილი რძე ან გვირილის ჩაი ერთი კოვზი თაფლით და სასიამოვნო სიზმარი უსათუოდ გეწვევათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედამთილის ბრალია?..

ის-ის იყო მე და ნატო ბაზრიდან გამოვედით, რომ ერთი ახალგაზრდა მოკრძალებით გადაელობა ნატოს და მიმართა:

– თქვენ ნატო დეიდა არა ბრძანდებით?

– დიახ, მაგრამ მე რომ ვერ გიცანით, რომელი ხართ, შვილო?

– რომელი ვარ? თქვენ და თქვენმა დაქალმა 10 თვის რეზო რომ მიმატოვეთ, ატირებული, აწივლებული და გაიქეცით, ისა ვარ!..

– რეზო? რეზიკო, შემოგევლოს ნატო, მოდი გაკოცო. რამხელა ვაჟკაცი გამხდარხარ. – ნატომ ხელები შემოხვია და კოცნა უნდოდა, მაგრამ რეზომ აიცილა, ნატოს ტირილი აუვარდა.

– ნუ ტირით, მე მაგით თავს ვერ შემაცოდებთ. ათი თვის ბავშვი ატირებული მიმატოვეთ და გაიქეცით, უკან არ მოგიხედავთ. გაოგნებული მამაჩემი თურმე დამყურებდა და გაგიჟებული ჩემთან ერთად ტიროდა. მარტო დედაჩემის კი არა, თქვენი გულქვაობაც მაოცებს, როგორ ჰგავდით ერთმანეთს.

– არა, შეჩერდი, მე არა ვარ დამნაშავე. ვინ მომისმინა? ..

ახლა როგორ მიცანი? ხომ არასოდეს გინახივარ, – ჰკითხა ნატომ.

– ბებიაჩემმა ერთხელ მაჩვენა, დედაშენის დაქალია, რომელიც მაშინ ახლდა თან, შენ რომ მოგიშორა თავიდანო. ორჯერ მინდოდა მოსვლა, ვერ გავბედე, თავს ვერ მოვერიე. დღეს კი ბედნიერი კაცი ვარ, სათქმელი რომ გადმოვანთხიე. ახლა რისთვის იცრემლებით, იქნებ იმისათვის, რომ ახლა იგრძენით სინდისის ქენჯნა? ახლა გესმით ოცდაოთხი წლის წინანდელი ჩემი ტირილი...

– გეყოფა, რეზიკო, მე მაშინ არც ის ვიცოდი სახლიდან რატომ წამოგიყვანა. დამიჯერე, რეზო, მე აღარ ვარ მზიას მეგობარი. მე მაშინ დავკარგე მზია, მერე კი მას ღმერთმა მიუზღო სამაგიერო.საკუთარი შვილი არ აღირსა. ერთი გოგონა იშვილა, 10 წლის, ამაგი გამოეცალა ხელიდან. მეორე იშვილა, თვითონ ვერ გაიხარა – 45 წლის ასაკში დაიღუპა და ის გოგონა დაობლა. ღმერთი სჯის ყოველივეს. ეს დალოცვილი ბუნების ძალა ყველას დანაშაულს ხედავს, თვითონ უხდის სამაგიეროს. ქმრის სიმდიდრემ ვერაფერი უშველა, ყოველნაირ დარდგამოვლილი ღმერთისაგან დასჯილი წავიდა.

რეზიკო უსმენდა. მერე თავი დაიქნია, მხარზე ხელი მოხვია და წყნარად უთხრა: – მადლობელი ვარ, რომ ინფორმაცია მომაწოდე. ის გულგამოცლილი ქალი აღარ არსებობს!.. – და უცებ მოსწყდა ადგილს.

მე ისე ვღელავდი, თითქოს იმ ოცდაოთხი წლის წინ მათი მოწმე ვყოფილიყავი.

– ნატო, მომიყევი, რა მოხდა, რატომ დატოვა ეს მშვენიერი ბიჭი?! – ჰოო, მოგიყვები... თუმცა არც ისე იოლია იმ დღის გახსენება. ათი თვის რეზიკო ხელში ჰყავდა აყვანილი. ტანსაცმლის ფუთა მზიამ ხელში მომაჩეჩა და მითხრა: – ახლა ერთ ადგილას უნდა წამომყვე, შენ კი ხმა არ ამოიღო, გესმის? არ ჩაერიო. – ერთი სადარბაზოს კართან მივედით, ღილაკს თითი დააჭირა. – ვინ არის? – მოგვესმა შიგნიდან. – დათო, მე ვარ, ვაჟიშვილი მოგიყვანე!

კარი გაიღო და დათო გამოვიდა. მზიამ უცებ მიაჩეჩა ხელში ბავშვი, ფუთა ფეხთან დაუგდო, მაგრად მომქაჩა და სირბილით წამომიყვანა! ვერაფერი გავიგე, რა ხდებოდა. ბავშვმა რომ დაინახა, დედა გარბოდა, იწივლა. უკან რომ მოვიხედე, პაწია ხელებს იშვერდა და მისი ტირილი მიგვაცილებდა.

– მზია, რა ჰქენი, ბავშვი მიატოვე? ტირის! – კი, მივატოვე. ეგ ჩემი აღარ არის, მამამისისა და მისი ქოფაკი ბებია ლიდასია, გესმის? მათ გაზარდონ.

ხელი მოვკიდე და შევანჯღრიე, – რას ამბობ, სამუდამოდ ტოვებ? გადაირიე? მხეცო!

– მხეცები ეგენი არიან, ჩემთვის აღარ არსებობენ.

– რეზიკო რომ ტირის!..

იტიროს. მამა იქა ჰყავს და შხამიანი ბებია!..

ნაბიჯი შევანელე, ჩამოვშორდი. როგორ მინდოდა ყვირილით ქვეყანა შემეძრა, რომ მზიამ, ჩემმა დაქალმა, შვილი მიატოვა. ღმერთი დასჯის, ღმერთი.

იმ წუთიდან მზია სამუდამოდ დავკარგე.

დავინტერესდი, რა მოხდა, რატომ მოიქცა ასე სასტიკად?

ნატომ მიამბო: როცა დათო მზიას ირთავდა, დედამთილს სარძლო არ უნდოდა. ვაჟმა დედას ანგარიში არ გაუწია. დედამ ისინი ბინიდან გაყარა. ბინა დაიქირავეს. ბოლოს ძალიან გაუჭირდათ. მზიამ ვერ აპატია, რომ დათოს დედამ გული არ გაუღო რძალს. მზიას დაქალს მდიდარი მაზლი ჰყავდა, რომელსაც მზია უყვარდა. მზიამ სამაგიერო მიუზღო დათოს, უდანაშაულო ბავშვი კი მსხვერპლად მიიტანა. ქალმა ახალი ოჯახი შექმნა. ფული და ქონება არ აკლდა, მაგრამ რეზიკოს ცრემლები ღმერთმა არ აპატია.

– მზიას დასაფლავებაზე თუ იყავით?

– ვიყავი, მაგრამ არ გამოვჩნდი, ჩუმად ვითუთქებოდი. ახლა კი ამ ბიჭმა როგორ ამაფორიაქა. მიყვებოდა და ცრემლებს ვერ ერეოდა. რას იზამ, ღმერთი ყველაფერს ხედავს.

**დოდო ზურაბაშვილი**

## გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7. მაგნოლია. 8. იპოდრომი. 9. ბაგრატიონი. 12. ფლორა. 13. ფლანგი. 14. გენუა. 17. ბანკეტი. 18. კალორია. 19. დივიზია. 21. პლანეტა. 25. ქნარი. 26. მოდელი. 27. ისარა. 30. გასტრონომი, 31. ტრავესტი. 32. რამაზანი.

**შვეულად:** 1. სათაფლია. 2. ალთაი. 3. ჩაკრულო. 4. მიტინგი. 5. დონინა. 6. ომნიბუსი. 10. ბრაკონიერი. 11. პელოპონესი. 15. ატელიე. 16. რაკელი 20. იანიჩარი. 22. ტრილეენი. 23. კოხტაია. 24. პლენერი. 28. ფარსი. 29. იმამი.

**ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში – მ. კოსტავას ქ. № 14, V სართული.**




რედაქციის მისამართი: 380096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის ტელეფონი: 99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 24. 04. 2000.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 05. 2000.
ქაღალდის ზომა 60X90 $^{1}/_{8}$,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი 800.
შეკვეთა 433

# სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი



„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი", – ეს სულის მაცხოვნებელი სიტყვები ყოველდღე იგალობება ეკლესიაში აღდგომიდან ამაღლებამდე. ეს სიტყვები დაუსრულებლად ღაღადებს, რომ მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა, თავისი სიკვდილით, საყოველთაოდ დაამარცხა სიკვდილი... იესო ქრისტემ თავისი ჯვარცმითა და აღდგომით საუკუნო სიცოცხლე მიანიჭა კაცობრიობას.

ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნის შემდეგ ყოველი დაბადებულისათვის ჩაიკეტა სასუფევლის კარი; მაცხოვარმა კი თავისი სისხლით გამოისყიდა პირველი კაცის და ყველა მისი შთამომავლის ცოდვა – ჯვარზე აიტანა თითოეული ჩვენგანის უკეთურება და თავისი აღდგომით საყოველთაო აღდგომა იწინასწარმეტყველა. უფალმა ღმერთმა უკიდურესად დაიმდაბლა თავი, უკვდავი და დაუსაბამო მოკვდავი, ადამიანური სხეულით შეიმოსა და უსასტიკესი წამება დაითმინა, რათა ჩვენთვის განეხვნა ღვთაებრივი სინათლით სავსე სასუფევლის კარი.

იესო ქრისტეს დედამიწაზე ცხოვრება, მისი თითოეული სიტყვა თუ მოქმედება ღრმა და მრავალაზროვანია. იესო, ძირითადად, იგავებით საუბრობდა, – ერთხელ თქვა: დანგრეულ ღვთის ტაძარს სამ დღეში აღვადგენო, – ხალხმა ეს პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და ჯვარზე გაკრულს დაცინვით ეუბნებოდნენ: „ტაძრის დამანგრეველო და სამ დღეში ამშენებელო, იხსენი შენი თავი; თუ ღვთის ძე ხარ, გადმოდი ჯვრიდან". (მათე – 27;40) ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ იგავით უფალმა თავისი სულის ტაძრის – ჯვარზე გაკრული ნაწამები სხეულის მესამე დღეს აღდგინება იწინასწარმეტყველა. თავისი აღდგომის შესახებ იწინასწარმეტყველა კიდევ, როცა იონას სასწაული გაიხსენა ძველი აღთქმიდან, – როგორც იონა იყო სამი დღე და ღამე ვეშაპის მუცელში, ასევე ძე კაცისა იქნება დედამიწის გულში სამ დღე და ღამესო. რასაკვირველია, მწიგნობრები და ფარისევლები, რომლებიც ნიშანს ითხოვდნენ იესოსაგან მისი ღვთაებრიობის დასამტკიცებლად, ვერ ჩასწვდნენ პასუხის სიღრმეს, ან კი როგორ მიხვდებოდა ამპარტავნობით დაბნელებული მათი გონება, რომ ჯვარცმული მაცხოვარი არა თუ თავად აღდგებოდა მესამე დღეს, არამედ მთელ კაცობრიობასაც აღადგენდა იმ ბრწყინვალე დღეს, როდესაც ძე კაცისა მეორედ მობრძანდება დედამიწაზე, ამჯერად უკვე ანგელოსთა დასთა თანხლებით – მთელი თავისი დიდებულებით. ამ დღის შესახებ არა ერთხელ გაუფრთხილებია მაცხოვარს თავისი მოწაფეები, არა ერთი ნიშანი უთქვამს... იოანე მახარობელს კი, უფლის ამაღლებიდან მრავალი წლის შემდეგ, ღვთაებრივი გამოცხადება ჰქონდა ბოლო ჟამის შესახებ, – ეს გამოცხადება ღვთისმეტყველებაში „აპოკალიფსის" სახელითაა ცნობილი.

ჩვენ ახლა აპოკალიფსის პერიოდში ვცხოვრობთ, – წმიდა მამების განმარტებით, ბოლო ჟამის ბოლო პერიოდია, ოღონდ არავინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება დროის ეს მონაკვეთი; ღვთისათვის ხომ დრო არ არსებობს, მის წინაშე ყოველივე აწმყოა, ამჟამიერი, მისთვის ყველაფერი ხილულია – ათასი წლის წინ დამარხული საიდუმლო და ათი ათასი წლის შემდგომი საოცრებაც, – ათასი წელი ღვთის წინაშე ისევეა, როგორც დღე ერთი.

მაცხოვარმა თავის აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე ოთხი დღის დამარხული ლაზარე აღადგინა. ამით კიდევ ერთხელ დაანახვა კაცობრიობას, რომ უფლის ძე იყო და ხელეწიფებოდა ყოველივე...

ჯვარცმის წინა საღამოს, საიდუმლო სერობაზე, იესომ ფეხი დაბანა მოწაფეებს და ამით ურთიერთმომსახურების, თავმდაბლობის და თანადგომის მაგალითი მისცა. მერე აიღო პური, აკურთხა, დაამტვრია და თქვა: მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი, მისატევებლად ცოდვათა; შემდეგ აიღო ღვინო და თქვა: სვით ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა!

ამის შემდეგ შეწუხებულმა თქვა: ერთი თქვენგანი გამცემს მე. მაცხოვრის გვერდით მისი უმრწემესი მოწაფე – იოანე იჯდა, რომელსაც თვალით ანიშნა პეტრემ, ჰკითხე, ვინ გაგცემსო, (ამის გამო იოანე ღვთისმეტყველს მკერდს მიყრდნობილსაც ეძახიან,) – იესომ მიუგო: ვისაც ახლა თეფშში ამოწებულ ლუკმას მივცემო, – ამოაწო ლუკმა, მიაწოდა იუდა ისკარიოტელს და უთხრა: წადი და დროზე გააკეთე, რასაც აკეთებო. რაკი იუდას ყულაბა ებარა, მოწაფეებს ეგონათ, მოწყალების გასაცემად ან საყიდლებზე გზავნისო, იოანე კი მიხვდა, ვინც იყო იუდა.

იუდას წასვლის შემდეგ იესომ ისევ სიყვარულზე და პატივისცემაზე იქადაგა, პეტრემ საუკუნო ერთგულება აღუთქვა, მაცხოვარმა კი უთხრა: სანამ მამალი იყივლებს, სამჯერ უარმყოფო. ამის შემდეგ იესო გეთსამანიის ბაღში გავიდა და ლოცვა დაიწყო, – სისხლის ცრემლებით ევედრებოდა მამა-ღმერთს, თუ შესაძლებელია, ამარიდეო ხვალინდელი სატანჯველი; ბოლოს კი მორჩილად თქვა: მამაო, როგორც შენი ნება იყოს, ისე განსაჯეო.

გეთსამანიის ბაღში მლოცველ იესოს თავს დაესხა მღვდელმთავრების და ფარისევლების გამოგზავნილი რაზმი. პეტრემ მახვილი იშიშვლა და მარჯვენა ყური ჩამოათალა მღვდელმთავრის მონას. იესომ მახვილი ჩააგებინა და გააფრთხილა, მახვილის ამღები მახვილითვე წარწყმდებაო, მერე ხელი შეახო მონას და ყური გაუმთელა. მიუხედავათ ამისა, მაინც ხელ-ფეხშებორკილი გაიყვანეს ბაღიდან. იმ ღამეს სამჯერ შეიცნეს პეტრე, პეტრემ კი სამჯერვე უარყო იესოს მოწაფეობა, – მესამე უარყოფის შემდეგ ანაზდად მამალმა იყივლა. თავზარდაცემული სიმონ-პეტრე შორიახლო გავიდა და მწარედ ატირდა. მას შემდეგ, მთელი ცხოვრების მანძილზე, პეტრე მოციქული, ყოველ განთიადზე, მამლის ყივილისას ცხარე ცრემლებით ტიროდა იესოს უარყოფას.

მღვდელმთავრების და პილატეს წინაშე წარდგენის შემდეგ იესოს აჰკიდეს ჯვარი და გაუყენეს გოლგოთის ძნელად სავალ გზას. მის გვერდით ორი ავაზაკი გააკრეს ჯვარზე, რომელთაგან ერთი კიცხავდა და ეუბნებოდა: თუ მართლა ღვთის ძე ხარ, იხსენი შენი თავი და ჩვენც გვიხსენიო. მეორემ კი აღიარა იესოს ღვთაებრიობა და სთხოვა: მომიხსენეო შენ სასუფეველში.

ღმერთი იმდენად გულმოწყალეა, სიცოცხლის ბოლო წუთებშიც რომ მოინანიოს ადამიანმა, მაინც აპატიებს და აცხოვნებს. ოღონდ ეს მონანიება არ უნდა იყოს წინასწარ გათვლილი, – ზოგი ადამიანი ფიქრობს: ყველაფერს ჩემი სურვილის მიხედვით გავაკეთებ და სიცოცხლის ბოლოს მოვინანიებო. ჯერ ერთი, არავინ იცის, როდის ეწევა აღსასრული, მეორეც, სინანულის გადადება ცოდვაა, ცოდვის ჩადენა შემდგომში მონანიების მიზნით კი უფრო დიდი ცოდვაა და „პილატეს ცოდვის" სახელითაა ცნობილი. (პილატემ იცოდა, იესო რომ უცოდველი იყო, მაგრამ მაინც სასტიკი განაჩენი გამოიტანა მის მიმართ).

ჯვარცმის შემდეგ მცველები დააყენეს მაცხოვრის საფლავთან, რათა მოწაფეებს „არ მოეპარათ" მისი გვამი და არ ეთქვათ: მკვდრეთით აღსდგაო.

... უფლის განგებას კი რომელი „მცველი" აღუდგება წინ, – კვირას, გამთენიისას, ანგელოზმა გადააგორა აკლდამის ლოდი და ქრისტე აღსდგა მკვდრეთით. მცველები შიშისაგან პირქვე დაემხვნენ, – თუმცა, მღვდელმთავრებმა ბევრი ვერცხლი მისცეს ქრთამად და ათქმევინეს – მოწაფეებმა მოიპარესო.

მარიამ მაგდალინელი და სხვა მენელსაცხებლე დედები მესამე დღეს, განთიადზე უფლის საფლავთან რომ მივიდნენ და ლოდი გადაგორებული დახვდათ, ატირდნენ, ეგონათ უფალი მოუპარიათო, ანგელოზმა კი ახარა: ქრისტე აღსდგაო.

მაცხოვრის საფლავზე შემდგომში ეკლესია ააშენეს ქრისტიანებმა და დღემდე, ყოველ აღდგომის ღამეს, ამ ეკლესიის საკურთხეველში ზეციდან გარდამოსული ცისფერი ცეცხლით თავისთავად ინთება კანდელები და კელაპტრები. არის ასეთი მოსაზრება: როცა აღდგომას მაცხოვრის საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლი აღარ გადმოვა, მაშინ იქნება საყოველთაო აღდგომა – მეორედ მობრძანდება მაცხოვარი და განგვიკითხავსო.

ღმერთმა ინებოს, რომ განკითხვის ჟამს, მაცხოვრის მარჯვნივ აღმოვჩნდეთ, რათა საუკუნო სიცოცხლისათვის აღვსდგეთ უკუნისამდე!

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

ფასი 1 ლარი





12 წლის მხატვრის
ავთო გახოკიძის ნამუშევრები

მასალა იხ. მე-13 გვერდზე



